




# ენერგეტიკის განვითარება სოფლად

COOPERATIVE AGREEMENT NO. 114-A-00-05-00106-00

ენერგოეფექტიანობის პოტენციალი  
საქართველოში და მისი აღვისების  
ღონისძიებები



მომზადებულია ორგანიზაციის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ მიერ კომპანია Winrock International-ის შეკვეთით ქვეპროტრაქტის 5708-07-04 შესაბამისად, თებერვალი, 2008

# ენერგოეფექტიანობის პოტენციალი საქართველოში და მისი აზისების ღონისძიებები

მიწოდებულია: USAID/კავკასიის ოფისი  
ათონელის ქ. 25  
0105, თბილისი, საქართველო

მომზადა: პროგრამამ “ენერგეტიკის განვითარება სოფლად”

მმები კაკაბაძეების ქ. 26, თბილისი  
0105, საქართველო  
ტელ: +995 32 50 63 43  
ფაქსი: +995 32 93 53 52

ენერგოეფექტიანობის პოტენციალი  
საქართველოში და მისი ათვისების  
ღონისძიებები

მომზადებულია WEG- მიერ, ვინროკ ინტერნეიშენალისტვის  
5708-07-04 კონტრაქტის თანახმად

2007წ სექტემბერი

## სამადლობელი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ფონდის “შსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”. სამუშაოში მონაწილეობდნენ შემდეგი სპეციალისტები:

პ.ცინცაძე – ენერგოეფექტიანობის ინსტიტუციური საკითხები საქართველოში.

თ.მიქაელეგიანი – ენერგოეფექტიანობის ტექნიკური პოტენციალის შეფასება.

თ.ჯიშგარიანი და ო.კილურაძე – ენერგოეფექტიანობის პოტენციალი არასაყოფაცხოვრებო სექტორში.

დ.ჩომახიძე – საქართველოს 2006 წლის ენერგეტიკული ბალანსი.

კ.ქელიქიძე – ენერგომოხმარების ეფექტიანობის შსოფლიო გამოცდილება.

გ.ვაშავაძე – საერთაშორისო ასპექტები და ნახშირადის გაფრქვევების კვოტებით ვაჭრობა.

ი.ავალიანი ენერგოეფექტიანობის სტრატეგიული ასპექტები.

მ.მარგველაშვილი – ენერგეტიკული ბალანსები, ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების ეკონომიკური შეფასება და პოლიტიკის კრიტერიუმები.

ჩვენ გვინდა მადლობა მოვუხადოთ, სს თელასის, სს “ენერგო-პრო ჯორჯიას”, შპს “კახეთის გამანაწილებელი ენერგოკომპანიის”, სს “ყაზტრანსგაზ-თბილისის”, შპს “იტერა ჯორჯიას”, ესკოს და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას, რომელთა მოწოდებულ ინფორმაციასც ეყრდნობა წინამდებარე ანგარიში. იმ სპეციალისტებს, ვინც დახმარება გაგვიწია პროექტზე მუშაობისას:

- გიორგი აბულაშვილს და მანანა დადიანს, ენერგოეფექტიანობის დარგში თავიანთი ცოდნის და გამოცდილების გაზიარებისათვის.
- დავით თვალბეგიშვილს – ნახშირადის გაფრქვევის კვოტებით ვაჭრობის და “სუფთა განვითარების მექანიზმის” შესახებ კონსულტაციების გაწევისათვის.
- ბიძინა ჭყონიას, სოსო ნატროშვილს და მალხაზ ბროლაძეს (ესკო), ელექტროენერგეტიკული ბალანსის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისათვის და რჩევებისათვის.
- ვაჟა მესხიშვილს (სემეკ), ბუნებრივი გაზის ბალანსების შესახებ ინფორმაციისა და რჩევებისათვის.
- ბორის კოუროძეს და ენვერ ჩიჩუას ელექტროენერგეტიკულ ბალანსებთან დაკავშირებული კონსულტაციებისათვის
- გიორგი ბეჟანიშვილს და ლევან ავალიანს (სს “ენერგო-პრო ჯორჯია”) ინფორმაციული მხარდაჭერისათვის.
- თემურ მირველაშვილს(სს “ყაზტრანსგაზ-თბილისი”) ბუნებრივი გაზის განაწილების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისათვის.
- თინა ალადაშვილს და გიორგი მარუაშვილს მთელი პროექტის განმავლობაში მხარდაჭერისათვის

მადლობას ვუხდით 2007წლის 12 სექტემბერს, სასტუმრო “თბილისი მარიოტში” ჩატარებული სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების და კონსტრუქტიული კრიტიკისათვის, რამაც დადგითი გავლენა იქონია წინამდებარე ნაშრომის ხარისხზე.

გვინდა განსაკუთრებული მადლობა მოვუხადოთ, პორსტ მეინექენს, ინგა ფხალაძეს, ბუბა ცირეკიძეს, ნინო ლაზაშვილს და სოფო გენგიურს ვინროვ ინტერნეიშენალიდან, ასევე თამუნა ბარაბაძეს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის განყოფილების ენერგეტიკის და გარემოსდაცვითი ოფისიდან, მთელი პროექტის განმავლობაში გაწეული დახმარებისათვის და მუდმივი მხარდაჭერისათვის.

WEG - შსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

[www.weg.ge](http://www.weg.ge)

# სარჩევი

## შესავალი

### თავი 1 - რეზიუმე

- |      |   |      |
|------|---|------|
| 1.1. | შესავალი  | 1.1  |
| 1.2. | ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის განაწილების<br>გაუმჯობესება                        | 1.2  |
| 1.3. | ვარვარების ნათურების შეცვლა ფლუორესცენტური<br>ნათურებით                               | 1.2  |
| 1.4. | ეფექტური შეშის ღუმელების გამოყენების ხელშეწყობა                                       | 1.3  |
| 1.5. | ენერგიის დაზოგვის მოთხოვნების ჩართვა სამშენებლო<br>კოდექსში                           | 1.3  |
| 1.6. | ანალიზის მეთოდი და კრიტერიუმები   | 1.4  |
| 1.7. | საკანონმდებლო ღონისძიებები ენერგოეფექტურობის<br>პოტენციალის სათანადო გამოყენებისათვის | 1.5  |
| 1.8. | დაუყოვნებელი ქმედებები  | 1.6. |
| 1.9. | შემდგომი გამოკვლევები   | 1.6  |

### თავი 2 - ენერგოეფექტიანობის საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო

- |      |  |      |
|------|--|------|
| 2.1. | ენერგოეფექტიანობის ამაღლების აქტუალობა                   | 2.1  |
| 2.2  | “სუფთა განვითარების მექანიზმი” (სემ)                     | 2.4  |
| 2.3  | საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური გარემო                 | 2.6  |
| 2.4. | კანონმდებლობის სრულყოფა და ენერგოდაზოგვის<br>სტიმულირება | 2.8  |
| 2.5. | ენერგოუსაფრთხოება და სამშენბლო კოდექსი                   | 2.9  |
| 2.6. | ენერგოეფექტიანობის ამაღლებით მიღებული სარგებელი          | 2.10 |
| 2.7. | მუნიციპალური პროგრამები                                  | 2.11 |
| 2.8. | საბანკო სექტორის გააქტიურება                             | 2.12 |
| 2.9. | გამანაწილებელ ენერგოკომპანიებში კომერციული               |      |

დანაკარგების შემცირება	2.13
2.10. საგადასახადო და საბაჟო შეღავათები	2.15

### თავი 3 - მსოფლიო გამოცდილება ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის სფეროში

3.1. ენერგოეფექტურობის, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტიანობის განმარტების პრობლემა	3.1
3.2. პოლიტიკური და ინსტიტუციური ზომები	3.1
3.2.1. ეკონომიკური ინსტრუმენტები	3.2
3.2.1.1. ენერგოშემცველების ფასების ზრდა, როგორც ენერგოეფექტიანობის სტიმულირების ფაქტორი	3.2
3.2.1.2. ეკონომიკური სტიმულირება	3.3
3.2.1.3. შეღავათების დაფინანსება	3.4
3.2.1.4. ენერგეტიკული მომსახურების კომპანიები (ემკ)	3.4
3.2.1.5. სახელმწიფოს როლი	3.5
3.2.2. საინფორმაციო ინსტრუმენტები	3.6.
3.2.3. რეგულირების ინსტრუმენტები	3.8.
3.2.4. დასკვნები და რეკომენდაციები	3.9
3.3.4. ენერგო ეფექტურობა ბულგარეთში	3.17
3.4. ენერგოეფექტური მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება	3.19
3.4.1. ენერგოეფექტური შენობების პროექტირება და მშენებლობა	3.19
3.4.2. ეფექტიანი ელექტროტექნიკა	3.24

### თავი 4 - საქართველოს ენერგეტიკული ბალანსები

4.1. 2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი	4.1
4.2. ელექტროენერგიის ბალანსი	4.5
4.2.1. ელექტროენერგიის 2006 წლის ბალანსი	4.5
4.2.2 2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მოდელი	4.8
4.2.3. ჰიდროელექტრორესურსების სიჭარბე	4.12
4.3. ბუნებრივი გაზის ბალანსი	4.15
4.4. საქართველოს ენერგეტიკული დამოკიდებულება და კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მოდელი	4.19
4.4.1. კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მოდელი	4.19
4.4.2. ენერგოდამოკიდებულების პარამეტრები	4.22
4.5. მოხმარება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით	4.25

**თავი 5 - ენერგომოხმარების ეფექტურიანობის გაზრდის პოტენციალი  
საქართველოში**

5.1.	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი საყოფაცხოვრებო სექტორში	5.1
5.1.1	ელექტროენერგიის მოხმარების თავისებურებები საქართველოს	
5.1.2	საყოფაცხოვრებო სექტორში	5.1
5.1.3	საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები და მათი	
5.1.4	ელექტროენერგიის მოხმარების მახასიათებლები	5.2
5.1.5	ელექტროენერგიის მოხმარება საყოფაცხოვრებო სექტორში	5.4
5.1.4.	ანალიზის მეთოდი და ძირითადი შედეგები	5.4
5.1.5.	განათება	5.10
5.2.	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი ბუნებრივი გაზის მოხმარებაში	5.12
5.2.1.	ბუნებრივი აირის მოხმარების თავისებურებები საყოფაცხოვრებო სექტორში	5.12
5.2.2.	გათბობა	5.14
5.2.3.	დათბუნება	5.15
5.3.	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი არასაყოფაცხოვრებო სექტორში	5.18
5.3.1	მიღება	5.18
5.3.2.	სირთულეები	5.18
5.3.3.	ანალიზის მეთოდი	5.21
5.3.4.	შედეგები	5.23.

**თავი 6. - ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების შეფასება**

6.1.	ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების კლასიფიკაცია და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები	6.1
6.2.	ნათურების შეცვლა, როგორც ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიება	6.3
6.2.1.	წინა ისტორია და მთავარი პარამეტრები	6.3
6.2.	ეკონომიკური შეფასება სამომხმარებლო დონეზე	

(მიკრო დონე)	6.5
6.3. ეკონომიკური შეფასება სახელმწიფოს დონეზე (მაკრო დონე)	6.6
6.3.1. გადაცემის და განაწილების დანაკარგები	6.6.
6.3..2. ენერგიის საგარეო დამოკიდებულების ეფექტი	6.6
6.3.3. ენერგოდაზოგვის ზეგავლენა ელექტროენერგიის საშუალოშეწონილ ტარიფზე	6.9
6.3.4. ენერგოდაზოგვის ხარჯი	6.10
46.3.5. საგარეო საკაჭრო ბალანსისა და საბიუჯეტო ხარჯების წელილი 6.11	
46.3.6. ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირება 6.12	
6.3.7. გავრცელების სისწრაფე	6.12
6.4. დასკვნა	6.14

## **თავი 7. - დასკვნები და რეკომენდაციები**

## შესავალი

საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის ივნისს დამტკიცებული “ენერგეტიკის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით”, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრულია “სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სფეროებში ენერგოეფექტიანობის ამაღლება, ქვეყანაში ენერგოეფექტიანობის ამაღლების საკანონმდებლო და ინსტიტუციული ჩარჩოების ჩამოყალიბება”. ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, ენერგოეფექტიანობის და ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ კანონების დამუშავებაში დახმარების გაწევის მიზნით, თხოვნით მიმართა ვინროკ ინტერნეიშენალს. წინამდებარე ნაშრომი შესრულდა ფონდი “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”-მიერ ვინროკ ინტერნეიშენალისთვის. ეს სამუშაო წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიის და ღონისძიებების ჩამოყალიბებისათვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, რაც საბოლოოდ გამოყენებული უნდა იქნას ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონპროექტის მომზადების დროს.

სამუშაო ძირითად ესება ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს ენერგიის მოხმარების სფეროში და მასში მხოლოდ ზედაპირულად არის განხილული ენერგიის წარმოების, გარდაქმნის, გადაცემის და განაწილების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები. ასევე არ განვიზილავთ ნავთობპროდუქტების მოხმარებას ტრანსპორტისა და სამრეწველო სექტორში, ისევე როგორც ბუნებრივი გაზის გამოყენებას სამრეწველო ნედლეულის სახით.

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა სამი თვეში და შესაბამისად არა გვაქვს პრეტენზია, იმაზე რომ იგი სრულად ასახავს ენერგიის მოხმარების ეფექტიანობის ყველა საკითხს. დროის სიმცირის და ენერგოკომპანიებიდან მიღებული ინფორმაციის ხარისხის გამო ვერ მოხერხდა ზუსტი სტატისტიკური ანალიზი და მონაცემთა შედარება-შეკვერება,. ზოგიერთ შემთხვევაში სადაც მონაცემები აშკარად არარეალური იყო, მოგვიწია მათი შესწორება სხვა მონაცემებზე დაყრდნობით. ვამჯობინეთ მეტი დრო დაგვეთმო მეთოდებისა და პრინციპებისათვის, რაც შემდგომი კვლევების დროსაც შეიძლება იყოს გამოყენებული, ამავე დროს ვეცადეთ სიფრთხილე გამოგვეჩინა დასკვნებში, რათა ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო თავი აგვერიდებინა ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი დასკვნებისგან.

ნაშრომში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

**ენერგოეფექტურობა** – მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების და მოწყობილობის გამოყენებით, ნაკლები ენერგეტიკული დანახარჯებით, იგივე მოცულობის და ხარისხის ენერგეტიკული მომსახურების და პროდუქტის მიღება;

**ენერგოდაზოგვა** – ნაკლები ენერგიის და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენება, რაც ძირითადად ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ენერგომოხმარების ჩვევებს და ოპერატორულ რეჟიმებს ასახავს;

**ენერგოეფექტიანობა** – აერთიანებს წინა ორ ცნებას და ნიშნავს ნაკლები ენერგიის გამოყენებას რომელიმე ამ ფაქტორის გამო.

# თავი 1 - რეზიუმე

## 1.1. შესავალი

ბოლო პერიოდში ენერგიის ფასების ზრდამ და იმ რისკის შემცირების აუცილებლობამ, რომელიც განპირობებულია ენერგიის გარე მომწოდებლებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხით, ასევე ენერგიის განაწილებისას მისი საფასურის ამოღების დონის ამაღლების აუცილებლობამ, მოითხოვა საქართველოს მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო სექტორების ენერგეტიკული ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა. ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და ევროსტრუქტურებში ინტეგრირებაზე აღებული გეზის შესაბამისად წინამდებარე სამუშაო ხელს შეუწყობს მთავრობას და განსაკუთრებით ენერგეტიკის სამინისტროს, განახორციელოს აქტიური ქმედებები ქვეყანაში ენერგოეფექტურობის განვითარებისა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების გაფართოების მიმართულებით. ენერგეტიკის სამინისტრომ მიმართა Winrock International-ს, რომელიც ახორციელებს “სოფლად ენერგეტიკის განვითარების პროგრამას”, დაეხმაროს მას ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ახალი კანონის მომზადებაში. სამუშაო სრულად ეხმაინება ასევე ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს საქართველოში ენერგოეფექტურობის პროექტების განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბებას.

წინამდებარე შესწავლა არის წინმსწრები ნაბიჯი ენერგოეფექტურობის სტრატეგიის და პრიორიტეტების ჩამოყალიბებისათვის, რაც საბოლოოდ უნდა აისახოს ენერგოეფექტურობის კანონში. ის გვაძლევს ენერგოეფექტურობის პოტენციალის პირველადი შეფასების შედეგებს ენერგომოხმარების სხვადასხვა სფეროში, რითაც ქმნის სწორ ორიენტირებს, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში, შემდგომი შესწავლის გაგრძელებისა და სტრატეგიული კურსის განვითარებისათვის.

ეფექტურობა საზოგადოდ და ენერგოეფექტურობა მათ შორის, არის განვითარებული საზოგადოების მახასიათებელი ნიშანი და იგი საზოგადოებისგან და სახელმწიფოსგან მოითხოვს:

- სახელმწიფო სამთავრობო სტრუქტურების უკეთ ორგანიზებას;
- მთავრობასა და საქმიან წრეებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას;
- ამ სფეროში საბანკო სექტორის ეფექტურ ჩართვას;
- სახელმწიფოს, მეწარმეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას.

საქართველოში არსებობს ენერგოეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელს გახდის:

- შემცირდეს ენერგიის იმპორტი და შესაბამისად გაიზარდოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება.
- შეიზღუდოს ენერგიის ტარიფების ზრდა.
- დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსზე.
- იქონიოს დადებითი გავლენა ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაზე.
- შემცირდეს უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.

## 1.1. ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის განაწილების გაუმჯობესება


ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის განაწილების გაუმჯობესება რჩება უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განაწილების სისტემების ასოლიტური უმრავლესობა არის კერძო მფლობელობაში, იქ ჯერ კიდევ არსებობს მაღალი დანაკარგები, რაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს დადებითი ეკონომიკური ეფექტის მოტანით.

განაწილებული კომპანიების მართვისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით დანაკარგების შემცირების ხარჯზე, საქართველოში შესაძლებელია დაახლოებით 500 მლნ. კუბ. მეტრის ელექტროენერგიის და დაახლოებით 180 მლნ. კუბ. მ. ბუნებრივი გაზის დაზოგვა

## 1.2. ვარვარების ნათურების შეცვლა ფლუორესცენტური ნათურებით

განათების ეფექტურობა ერთ-ერთი პრიორიტეტებული ღონისძიებაა, რომელსაც მინიმალური დანახარჯების პირობებში გააჩნია მაღალი პოტენციალი, როგორც ეკონომიკური მახასიათებლებით, ასევე ენერგეტიკული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ვარვარების ნათურების შეცვლა ფლუორესცენტური ნათურებით განიხნილება, როგორც ენერგოეფურობის ყველაზე უფრო მომგებიანი და განსახორციელებლად იოლი ღონისძიება. იგი ენერგიის მომხმარებლებისათვის უზრუნველყოფს ინვესტიციის მაღალ უპაგებას, რაც თვალნათლივ ჩანს ნახ. 1-1-ზე.

ნათურის შეცვლის ეკონომიკური ეფექტი  
ნათების საშუალო ხანგძლივობის მიხედვით



### ნახ. 1.1. ნათურების შეცვლის უკუგების პერიოდი და ამოგების შიგა ნორმა

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ენერგოეფურობის ამაღლება ქვეყანაში იწვევს რიგ დადებით შედეგებს:

ელექტროენერგიის ტრანსპორტირების არსებული დანაკარგების პირობებში 1 კვტსთ ელექტროენერგიის დაზოგვა 1.19 კვტსთ ელექტროენერგიის დაზოგვის უკვიველენტურია.

- ეფექტური ელექტროგანათება შესაძლებელს ხდის შემცირდეს ენერგიის ტარიფი. ელექტროენერგიის ეფექტური ტარიფი ზაფხულში შესაძლოა შემცირდეს 0.009 თეთრი/კვტსთ-ით, ხოლო ზამთარში 0.48 თეთრი/კვტსთ სიდიდით;
- დაზოგილი კილოვატსათის ღირებულება ნათურების შეცვლის შემთხვევაში შეადგენს 0.8 თეთრი/კვტსთ. თუ ამ სიდიდეს შევადარებთ ახალ ჰესზე გამომუშავებულ ელექტროენერგიის ტარიფს, რომელიც შეფასებულია როგორც 7-9 თეთრი/კვტსთ.

კნახავთ, რომ დაზოგვით გამოთავისუფლებული ელექტროენერგიის ფასი 10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იგივე რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავების ღირებულება ახალ ჰესზე

- როგორც პირველი ნაბიჯი, 6 მილიონი ნათურის შეცვლა, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსში 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს დაახლოებით 86 მილიონი აშშ დოლარის დადგებით წვლილს, რომლის დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება დაახლოებით 54 მილიონი აშშ დოლარია
- ენერგოეფექტური განათების სრულად განხორციელება შესაძლებელს გაზდის ბიუჯეტიდან სუბსიდირების მოთხოვნა შემცირდეს ყოველწლიურად 26 მილიონი დოლარით.

### 1.3. ეფექტური შეშის ღუმელების გამოყენების ხელშეწყობა

მარტივი შეფასებებით ენერგოეფექტური შეშის ღუმელების ფართოდ გამოყენება შესაძლებელს ხდის წოველწლიურად დაიზოგოს სათბობად გამოყენებული შეშის 30-40%, რაც 1მლნ კუბ.მ-ის ეკვივალენტურია. ეს მნიშვნელოვნად შეაძლებდა გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, როგორც შეშის ჭრის შემცირების, ისე სათბური აირების გამოყოფის შემცირების ხარჯზე.

### 1.4. ენერგიის დაზოგვის მოთხოვნების ჩართვა სამშენებლო კოდექსში

საყოფაცხოვრებოს სექტორში ზამთარში მოხმარებული ბუნებრივი გაზი 80%-ზე მეტი გამოიყენება გათბობისათვის. ეს ფაქტი მიუთითებს შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების აქტუალურობაზე. ამჟამად არ არსებობს ეროვნული სამშენებლო სტანდარტები (უფრო მეტიც, მოძველებული საბჭოთა სამშენებლო სტანდარტებიც კი უგულებელიყოფილია) და შესაბამისად მოთხოვნები სამშენებლო კომპანიების მიმართ.. როგორც შედეგი, საქართველოში ამჟამად მშენებარე საცხოვრებელი ბინების მნიშვნელოვანი ნაწილი მომავალში გახდება ენერგიის გადიდებული დანაკარგების დამატებითი წყარო, რაც გაართულებს ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფას.

ცხრილი 1.1. მოგვყავს ენერგოეფექტურობის ცალკეული ღონისძიებების ტექნიკური პოტენციალის შეფასების ჩვენს მიერ მიღებული შედეგები.

ენერგოეფექტიანობის ღონისძიება	ენერგიის დაზოგვა	
	ელექტროენერგია (გვტ*სთ/წელ)	ბუნებრივი გაზი მლნ. კუბ.მ/წელ
ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირება	500	180
ენერგოეფექტური განათება	350	-
შენობების დათბუნება	50	25-33
ენერგოდაზოგვა (მომხმარებლების ენერგომხმარების ჩვევების შეცვლა)	150	20-30
ენერგიის დაზოგვა არასაყოფაცხოვრებო სექტორში	450 მლნ კვტსთ	
შეშის ეფექტური წვა/გამოყენება	1 მლნ კუბ.მ შეშა/წელ	

ცხრილი 1.1. ენერგოეფექტურობის ზოგიერთი ღონისძიებების ტექნიკური პოტენციალის შეფასება.

სიმარტივისათვის ენერგოფექტურობის ყველა ღონისძიებები დარღება ენერგობალანსების 2007 წლის მოდელს და არა მოხმარებისა და მიწოდების საპროგნოზო დინამიკის კვლევას მრავალწლიანი ინტერვალისათვის.


საქართველოში ამჟამად არსებული ვარვარების ნათურების ფლუორესცენტურით შეცვლის ღონისძიებას პოტენციურად შეუძლია ჩაანაცვლოს დიდი პიდროლელექტროსადგურების მშენებლობის საჭიროება და წარმოადგენს უფრო იაფ და უფრო მოკლე გზას ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის ასამაღლებლად.

## 1.5. ანალიზის მეთოდი და კრიტერიუმები

სამუშაოში მოცემულია ენერგოფექტურობის ღონისძიებების ანალიზის მეთოდიკა, როგორც ცალკეული მომხმარებლის ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. შემოტანილია რამოდენიმე კრიტერიუმი ენერგოფექტურობის ღონისძიებების და პროგრამების განხორციელებით მიღწევადი შედეგების გასაანალიზებლად.


**ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულების პარამეტრი** შემოვიტანეთ იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შეგვედარებინა ენერგოფექტურობისა და ენერგომომარაგების სხვადასხვა ღონისძიებების წვლილი, გარე რესურსებზე ქვეყნის ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირებაში.

ნახ. 1.2.-ზე ნაჩვენებია იმპორტირებულ ენერგორესურსებზე ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველოყოფის დამოკიდებულების ხარისხი და სეზონური ხასიათი.




**ნახ. 1.2. ქვეყნის ელექტროენერგეტიკული დამოკიდებულების სეზონურობა (2006 წლის მონაცემებით)**

მოდელში შესაძლებელი იყო საყოფაცხოვრებო სექტორში განათების დატვირთვის სეზონური ცვლილების გათვალისწინება. ნახ. 1.3-ზე ნაჩვენებია მოდელით მიღებული შედეგები, სადაც გათვალისწინებულია დღის ხანგრძლივობა, ბუნებრივი გარე განათებულობა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, უამინდობა და მოსახლეობის მიგრაცია საზაფხულო არდადეგების და შვებულებების პერიოდში.



**ნახ. 1.3. საყოფაცხოვრებო ელექტროგანათების ბუნებრივი სეზონურობა**  
ორდინატას განზომილება  
მოდელში შესაძლებელი იყო მომხმარებლების ყოფაქცევაზე საინფორმაციო კამპანიის ზემოქმედების შედეგის შეფასება. ნახ. 1-4-ზე ნაჩვენებია ენერგიის დაზოგვის დინამიკა სათანადო ინფორმირებული და არაინფორმირებული მომხმარებელებისათვის.



**ნახ. 1.4. ელექტრონათეურების გამოცვლის ინტენსიურობა სათანადო ინფორმირებული და არაინფორმირებული მომხმარებლებისათვის**

## 1.6. საკანონმდებლო ღონისძიებები ენერგოეფექტურობის პოტენციალის სათანადო გამოყენებისათვის

ქვემოთ მოყვანილია ღონისძიებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს მიერ, რათა შეიქმნას შესაბამისი პირობები ენერგოეფექტურობის პოტენციალის სარეალიზაციოდ:

- ენერგოეფექტურობის კანონის შემუშავება და მიღება (განახლებადი ენერგიის ჩართვით ან მის გარეშე).
- ენერგოეფექტურობის საკითხების წარმმართველი სპეციალიზებული სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა (უკვე არსებული სახელმწიფო სტრუქტურების შიგნით ან მის გარეთ).
- ქვეყნის ენერგოეფექტურობის სტრატეგიის შემუშავება მკაფიოდ ფორმულირებული მიზნებით და სამოქმედო გეგმით, რომელიც შეჯერებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმასთან.
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმების შემუშავება.
- ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე ისეთი სპეციალიზებული ორგანიზაციების ხელშეწყობა როგორიცაა, მაგ., საქართველოს ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაცია, ენერგოეფექტურობის ცენტრი და სხვა.
- სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვის წახალისება და პრაქტიკული ხელშეწყობა;
- ენერგოეფექტიანობის სფეროში სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევების ხელშეწყობა; საინფორმაციო კამპანიის წარმართვა ენერგოეფექტური პროექტების პოპულარიზაციისა და ფართოდ დანერგვა-გავრცელების მიზნით.
- გრძელვადიანი დაგეგმვის პრაქტიკის დანერგვა, მათ შორის ქვეყნის განვითარების სქეტრატეგიაში ენერგოეფექტიანობის ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორების ურთიერთშერწყმისათვის.
- სასწავლო-საინფორმაციო პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია ენერგოეფექტურობაში

## 1.7. დაუყოვნებელი ქმედებები

არსებობს იაფი და მაღალეფექტური ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს არსებული ინსტიტუციონალური სტრუქტურების პირობებში, ხანმოკლე ვადებში, მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ღონისძიებების და დონორთა ჩარევის გარეშე. მაგალითად:

- საყოფაცხობრებო სექტორში საინფორმაციო კამპანიის წარმართვა ვარგარების ნათურების ფლუორესცენტური ნათურებით შეცვლასთან დაკავშირებით,
- სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული შენობებისის ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

## 1.8. შემდგომი გამოკვლევები

არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ მოხსენიებულია წინამდებარე შესწავლაში, მაგრამ სცილდება ამ სამუშაოს ფარგლებს და მოითხოვს შემდგომ საფუძლიან გამოკვლევებს, რომლითაც შესაძლოა გამოვლინდეს ენერგოეფექტიანობის მნიშვნელოვანი დამატებითი პოტენციალი. ვგულისხმობთ ეფექტურობის ღონისძიებებს ელექტროენერგიის გენერაციასა და მიწოდებაში, ეფექტური ტარიფების დადგენას, რეგიონულ თანამშრომლობას და სხვა.

## თავი 2

### ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო

#### 2.1. ენერგოეფექტურობის ამაღლების აქტუალობა

ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა დღევანდელ მსოფლიოში. მას დიდ ყურადღებას უთმობენ, როგორც წამყვანი მაღალგანვითარებული ქვეყნები ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. აღნიშნული ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით და ხელშეწყობით ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკითხებზე მუშაობა დაიწყეს განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის აქტუალობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ენერგოშემცველების (ნახშირწყალბადების) მარაგების შემცირება.
- ენერგოშემცველებზე, თბურ და ელექტროენერგიებზე ფასების მკვეთრი და შეუქცევადი ზრდა.
- ენერგოშემცველებზე მოთხოვნილების ზრდა.
- თითქმის ყველა სახის ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისას გარემოზე მავნე ზემოქმედება.

საქართველოში ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის მიმართულებით პირველი მეტნაკლებად სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა 1994-1995 წელში, როდესაც ევროკავშირის “ტასისის” პროგრამით განხორციელდა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფციის დამუშავება, თუმცა ამ ღონისძიებას რაიმე პრაქტიკული შედეგი ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკითხებში არ მოყოლია. ამ პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის განაწილება უკიდურესად არაეფექტური იყო, საფასურის ამოღება კი კატასტროფულად დაბალი, რის გამოც რეფორმების გატარება ენერგოსექტორში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და ენერგოეფექტიანობის მთავარი სტიმული – ეკონომიკური დაინტერესება, არ მუშაობდა.

საქართველოში, ენერგოეფექტურობაზე მომუშავე მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია არსებობს., 1996-1997 წლებში, “ტასისის” პროექტის ფარგლებში დაიწყო ენერგოეფექტურობის ცენტრის ჩამოყალბება, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1998 წლიდან, როგორც არასამთავრობო და არაკომერციულმა ორგანიზაციამ. იგი დღემდე

ფუნქციონირებს და შეიძლება ითქვას ამ სფეროში ყველაზე წარმატებული სტრუქტურაა. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფარგლებში ჩამოყალიბდა “საქართველოს ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაცია”, რომელმა ასევე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა ენერგოფექტურობის და ენერგოდაზოგვის მიმართულებით. არსებობს კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მაგრამ მათი საქმიანობა ატარებს ეპიზოდურ ხასიათს და რომელიმე კონკრეტული პროექტის ან გრანტის ფარგლებში ხორციელდება.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ბოლო წლებში ჩატარებულმა ინსტიტუციურმა და ფინანსურმა რეფორმებმა, ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ენერგოკომპანიების და ელექტროსადგურების პრივატიზებამ, ენერგოსექტორში ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგომომარაგების იმედიანობა და შეამცირა ენერგოშემცველების (ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის) დატაცების შესაძლებლობა, ამასთან ერთად ენერგოშემცველებზე ტარიფების ზრდამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ენერგოფექტურობის და ენერგოდაზოგვის ამაღლების პრობლემა.

ენერგოფექტინობის მაღალი დონე მიიღწევა, მხოლოდ საზოგადოების მაღალი ორგანიზებულობით და აქტივობით. საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ დანერგოს და განავითაროს ენერგოდაზოგვის და ენერგოფექტურობის ღონისძიებები.

ქვემოთ მოყვანილია ის საერთაშორისო ხელშეკრულებები და დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას აძლევენ საქართველოს და ასევე მისგან მოითხოვენ განავითარონ ენერგოფექტურობის და ენერგოდაზოგვის ღონისძიებები:

- ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება და ენერგეტიკული ქარტიის პროტოკოლი ენერგოფექტიანობის და გარემოს დაცვის საკითხებზე (PEEREA)<sup>1</sup>
- კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია და კიოტოს პროტოკოლი<sup>2</sup>
- ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა<sup>3</sup>
- ევროკავშირის “მწვანე დოკუმენტი”<sup>4</sup>
- ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულება<sup>5</sup>
- საქართველოს და დანიის მთავრობებს შორის გაფორმებული მემორანდუმი 2004 წ. (დანართი 1)

ეს დოკუმენტები საქართველოსთვის ფაქტიურად წარმოადგენენ თავისებურ გზამკვლევებს, იმისათვის, რომ როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანაში დანერგოს და განავითაროს ენერგოფექტიანაობის საკითხები.

<sup>1</sup> <http://www.encharter.org/>

<sup>2</sup> <http://unfccc.int/>

<sup>3</sup> [http://ec.europa.eu/world/enp/documents\\_en.htm](http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm)

<sup>4</sup> [http://ec.europa.eu/energy/green-paper-energy/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/energy/green-paper-energy/index_en.htm)

<sup>5</sup> [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/oj/2006/1\\_198/1\\_19820060720en00180037.pdf](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/oj/2006/1_198/1_19820060720en00180037.pdf)

ენერგოეფექტიანობის და გარემოს დაცვის ასპექტების ენერგეტიკული ქარტიის პროტოკოლი (PEEREA), არის რეალური სამართებლივი ინსტრუმენტი, რომელზეც 1994 წელის დეკემბერში, იმავე 51 ქვეყანამ (მათ შორის საქართველომაც) მოაწერა ხელი, რომელმაც მოაწერეს ხელი ენერგეტიკულ ქარტიას. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ენერგოეფექტიანობის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია და მასთან დაკავშირებული რეგულირების მექანიზმები. ხელმომწერ მსარეებს ეძლევათ შესაძლებლობა და მოეთხოვებათ განვითარონ ენერგოეფექტიანობის და გარემოსდაცვითი სპეციალური პროგრამები ენერგეტიკულ სექტორში.

ენერგეტიკული ქარტიის სამდივნო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის და პროგრამების განხორციელებაში. მან 2006 წელს გამოაქვეყნა ანგარიში<sup>6</sup>, რომელშიც მოყვნილია რიგი შენიშვნები და რეკომენდაციები, აგრეთვე მოცემულია ენერგოეფექტიანობის განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუციონალური მოწყობის ანალიზი. აღნიშნულ ანგარიშში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის პრიორიტეტები და იმ ბარიერების ანალიზი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ენერგოდაზოგვის სტრატეგიის და პოლიტიკის ჩამოყალბებისთვის. საქართველოს და ევროპის ქვეყნების ენერგოდაზოგვის პოლიტიკის და კანონმდებლობის შედარება მოყვანილია 2006 წლის ივნისის “საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები” (“Georgian Economic Trends”)

2007 წლის მაისში საქართველომ გაწევრიანებისთვის მიმართა ენერგეტიკულ თანამეგობრობის ხელშეკრულების ორგანიზაციის (Energy Community Treaty)<sup>7</sup> ეს არის ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრირების კიდევ ერთი ნაბიჯი, ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლებისათვის და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

## 2.2 “სუფთა განვითარების მექანიზმი” (სგმ)

ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პროგრამების განვითარების მნიშვნელოვან სტიმულს და დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კიოტოს პროტოკოლის “სუფთა განვითარების მექანიზმი” (სგმ). არა OECD ქვეყნებისათვის მათ შორის საქართველოსთვის, ის ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობას ნახშირბადის ( $CO_2$ ) საერთაშორისო ბაზარზე, სათბური გაზის ემისიის კვოტების გაყიდვით მოიზიდოს ინვესტიციები ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებში. ამ გზით შესაძლებელია ათობით მილიონი დოლარის მიღება, რომელიც შეიძლება დაბანდებული იქნას განახლდებად ენერგიის წყაროების გამოყენების და ენერგოეფექტურობის ამაღლების პროექტებში. 2012 წლისათვის კიოტოს პროტოკოლის თანახმად OECD-ს ქვეყნებს

<sup>6</sup> In-Depth Review Of Energy Efficiency Policies And Programmes. Energy Charter Secretariat. 2006.

<sup>7</sup> <http://www.energy-community.org/>

მოეთხოვებათ სათბური გაზის გაფრქვევის დაახლოებით 3 მილიარდ ტონამდე შემცირება, რისი საბაზრო ფასი დაახლოებით 20-25 მილიარდი აშშ დოლარია<sup>8</sup>.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 იანვრის №2 დადაგენილების თანახმად, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო დაინიშნა არჩეულ ნაციონალურ ორგანოდ სგმ-სათვის. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 სექტემბრის №172 დადგენილებით, სგმ-ს დასანერგად შეიქმნა საკორდინაციო საბჭო, რომლის თავჯდომარეა გარემოს დაცვის მინისტრი, საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფინანსთა, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები. დამტკიცდა საკორდინაციო საბჭოს სამოქმედო პროცედურები და წესები. ამით საქართველომ შეასრულა, ნახშირბადის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის და სათბური გაზის ემისიის კვოტების გაყიდვის წინაპირობები.

საქართველოს აქვს, ებზ და ენერგოფექტიანობის სგმ პროექტებით ათობით მილიონი დოლარის მოზიდვის რეალური პოტენციალი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სათბური გაზების გამოყოფის 90% მოდის ელექტრო და თბური ენერგიის წარმოებაზე და ტრანსპორტის სექტორში<sup>9</sup>, ამდენად ამ სექტორებში სგმ პროექტების დანერგვა ასევე მეტად ეფექტურია და იძლევა შემდეგ შესაძლებლობებს:

- ელექტროენეგიის წარმოების ეფექტურობის ამაღლება, არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციას და მოდერნიზაციი ჩათვლით,
- ენერგიის განახლებადი წყაროების ტექნოლოგიების გამოყენება,
- ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილებისას გაზის ტექნოლოგიური დანაკარგების მინიმიზაცია.
- ელექტროენერგიის გადაცემა-განაწილებაში დანაკარგების შემცირება და
- ენერგოფექტიანობის ამაღლება საყოფაცხოვრებო სექტორში.

შესაძლებელია აგრეთვე ფინანსირების მოზიდვა ისეთ პროექტებში, როგორიც არის:

- ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, ნაგავსაყრელებიდან და კანალიზაციიდან მეთანის დაჭერა.
- ატმოსფეროდან სათბური გაზის მოცილება ბიოლოგიური სეკვესტრირებით მაგ. ხეების დარგვით, ტყეების მართვითა და აღდგენით.
- ბიოგაზის წარმოება სხვადასხვა ტიპის ბიომასიდან.

საქართველოში ელექტოენერგიის მოხმარების 1 მეგავატსათით შემცირება, გამოიწვევს CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევის შემცირებას დაახლოებით 0.379 ტონით. 1 ტონა CO<sub>2</sub>-ის

<sup>8</sup> State And Trends Of The Carbon Market 2007 , Karan Kapoor, Philippe Ambrosi, World Bank Institute - 2007

<sup>9</sup> Georgia's Initial National Communication Under The United Nations Framework Convention On Climate Change, Tbilisi - 1999

ღირებულება სგმ-ის პროექტების მიზნებისათვის, რაზეც ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს მხარესთან, დაახლოებით 10 აშშ ლოდინია.

თუმცა ნახშირბადის გაფრქვევის შემცირებისთვის მიღებული თანხები, მთლიანად არ წყვეტს პროექტების ფინანსირების ამოცანას, მაგრამ აქედან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადები ზრდის პროექტების განხორციელების შესაძლებლობებს. მართლაც, საიმედო წყაროებიდან მოსალოდნელი გადახდები მყარ ვალუტაში აადვილებს პროექტების ფინანსირების დამატებითი წყაროების მოძღვას.

სგმ-ს გამოყენების შესაძლებლობა სწრაფად კლებულობა, ვინაიდან ის მოქმედებს 2012 წლამდე, ხოლო პროექტების დაწყებიდან პირველი ფინანსირების მიღებამდე დიდი დროა საჭირო.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, დონორები და ინდუსტრიული ქვეყნები სგმ-ს პროექტების დასანერგად ამჟამავებენ განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს ინსტიტუციური და ტექნიკური დახმარების პროგრამებს,. ზოგ ორგანიზაციას აქვს სპეციალური ნახშირბადის ფონდი CO<sub>2</sub>-ის ემისიის კვოტების შესაძენად. მათ შეუძლიათ განახორციელონ პროექტების ექსპერტიზა საერთაშორისო და ადგილობრივ ღონებებზე, მოიზიდონ დაფინანსები წყაროები და ტექნიკურ დახმარებები. 2004 წლის ნოემბერში საქართველოს და დანის მთავრობებს შორის (გარემოს დაცვის სამინისტროების სახელით) ხელი მოეწერა ურთიერთგაგების და თანამშრომლობის მემორანდუმს, სგმ პროექტებში მონაწილეობის შესახებ (იხ დანართი. 1).

ნანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, 2007 წლის ივნისში სგმ-ს საბჭომ საბოლოოდ შეიმუშავა წესები (პროგრამული მიდგომა), რომლის მიხედვითაც განცალკევებული პმცირე პროექტებისგან შემდგარ პროგრამებს შეიძლება მიეცეს სგმ კრედიტები (ქულები). ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა, რაც გზას გაუჩინის ნახშირბადის ფონდიდან ისეთ პროგრამების დაფინანსებას, როგორცაა მაგალითად ეფექტური ნათურების დანერგვა.

ამჟამად საქართველოში ხორციელდება რამოდენიმე სგმ-ს პროექტი, რომლებიც განვითარების სხვადასხვა სტადიებზე იმყოფება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროექტებიდან არის: ნაგავსაყრელი გაზის უტილიზაციის პროექტი თბილისის მახლობლად, რომელშიც ჩართულია იაპონური კომპანია, ენგურჰესის განახლების პროექტი EBRD-თან ერთად, მცირე ჰესების რებილიტაციის პროექტები, სადაც მონაწილეობს მსოფლიო ბანკი და ჩრდილოეთ-სამხრეთ გაზისადენის რებილიტაციის პროექტი, სადაც საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია (GOGC) მუშაობს კერძო ინვესტორთან.

2007 წლის 31 აგვისტოს, საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (მსოფლიო ბანკი), “სათემო განვითარების ნახშირბადის ფონდისა” და საქართველოს “ენერგოეფექტურობის ცენტრ”-ს შორის ხელი მოეწერა ემისიის შემცირების შესყიდვის ხელშეკრულებას. ეს არის “სუფთა განვითარების მექანიზმის”

პირველი ხელშეკრულება საქართველოში.

ხელშეკრულების თანახმად “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო” არის პროექტის განმხორციელებელი ორგანო და USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში “ენერგეტიკის განვითარება სოფლად”, Winrock Int. და PA Consulting-ის მიერ რეაბილიტირებული 9 მცირე ჰესის მიერ, 7 წლის (2008-2015წ) განმავლობაში, დამატებით გენერირებული სუფთა ელექტროენერგიის საფუძველზე მიღებული ემისიის შემცირების სერთიფიკატებს მიყიდის მსოფლიო ბანკს.

## 2.3 საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური გარემო

კიოტოს პროტოკოლის “სუფთა განვითარების მექანიზმის” ამოქმედებით შესაძლებელია ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პროექტებში ფინანსირების მოზიდვა. ამ პროექტების მხარდაჭერის და განვითარების და ზოგადად ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქართველომ უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სამართებლივი გარემო და ინსტიტუციონალური მექანიზმები.

ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის არქონა ამ საკითხებზე საფუძვლიანი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი გარემოებაა. “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონში, რომელიც დარგის ძირითადი საკანონმდებლო აქტია, ენერგოეფექტურობა მხოლოდ 1 მუხლის მე-3 პუნქტშია ნახსენები და ისიც ზოგადად (“ხელი შეუწყოს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის დისპეტჩირების, განაწილების, იმპრტის, ექსპორტის და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების ეფექტიანობის გაზრდას”)<sup>10</sup>, ენერგოდაზოგვა კი საერთოდ არ არის ნახსენები.

ენერგოეფექტურობების და ენერგოდაზოგვის ღონისძიებების ჩამოყალიბებას და წარმართვას კომპლექსური მიღოვმა ესაჭიროება. ის მოითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციის თუ კომერციული აგენტის შეთანხმებულ მოქმედებას, რაც შესაძლებელი მხოლოდ წინასწარ დაგევმილი კომპლექსური მიღოვმით, ერთიანი პროგრამების და გეგმების ფარგლებში. ამიტომ საქართველოში ასევე შესაქმნელია ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის ერთიანი სახელმწიფო პროგრამები და გეგმები.

სახელმწიფოს როლი ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკითხებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის ლიბერალური საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, რომელიც

<sup>10</sup> საქართველოს კანონი “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” 2006წ.

ეკონომიკურ სტიმულს მისცემს ენერგიის ყველა კატეგორიის მომხმარებელს, მათ შორის მოსახლეობას, ინვესტიციები ჩადოს ენერგოეფექტურ და ენერგოდამზოგ მოწყობილობებში და ტექნოლოგიებში. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს საბანკო სექტორი. სახელმწიფოს მხარდაჭერის და ენერგიის მომხმარებლების თანამონაწილეობის პირობებში, ბანკებისთვის ხელსაყრელი და საინტერესო გახდება ენერგოეფექტურ და ენერგოდამზოგ პროგრამებში და პროექტებში შეღავათიანი კრედიტების გაცემა. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მრავალი წელია წარმატებით მუშაობს.

ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების პარალელურად ენერგოეფექტურობაზე და ენერგოდაზოგვაზე უნდა დაწესდეს სახელმწიფო კონტროლი, რაც პირველ რიგში გამოიხატება სამშენებლო და ენერგოდამზოგველობის კოდექსების შექმნაში. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ყველა ახალი მშენებლობა, რათა მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნას ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგი სამშენებლო მასალები, ტექნოლოგიები, მოწყობილობები, აპარატურა და ა.შ. რა თქმა უნდა ამან შესაძლებელია გააძვიროს მშენებლობა, მაგრამ ენერგიის დაზოგვის ხარჯზე საბოლოო ჯამში მომხმარებელი მოგებული რჩება.

ქვეყანაში დღეს არ არსებობს სპეციალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც წარმართავდა ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პოლიტიკას, შეიმუშავებდა შესაბამის პროგრამებს და გეგმებს და კოორდინაციას გაუწევდა მათ განხორციელებას. ენერგეტიკის სამინისტროში ენერგოეფექტურობის საკითხები მიყავს ენერგეტიკული პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, თუმცა მისი საქმიანობა ძირითადად ფოკუსირდება ენერგიის გამომუშავების და მიწოდების გაზრდაზე. ასეთი სტრუქტურა შეიძლება იყოს დამოუკიდებელიც და ასევე შეიძლება იგი შეიქმნას ენერგეტიკის ან ეკონომიკური განვითარების სამინისტროების სტრუქტურებში. 2007 წლის გაზაფხულზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროში (დეპარტამენტის დონეზე) შეიქმნა მსგავსი სტრუქტურა, მაგრამ მისი საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია განახლებადი და არატრადიციული ენერგიის წყაროების სოფლად გამოყენების პროპაგანდაზე, რაც რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ არასაკმარისია.

#### 2.4. კანონმდებლობის სრულყოფა და ენერგოდაზოგვის სტიმულირება

ელექტროენერგიის და გაზის ტარიფები არ არის საკმარისად ორიენტირებული ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის სტიმულირებაზე. ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის ტარიფები დგინდება მარეგულირებელი კომისიის მიერ და ასახავს ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის წარმოების და მათ მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების სრულ ხარჯებს. ენერგიის მიწოდების ხარჯები მკვეთრად განსხვავდება ზამთარში და ზაფხულში, რაც პირდაპირ არ აისახება სამომხმარებლო ტარიფებში იმდენად, რამდენადაც არ არსებობს სეზონური სამომხმარებლო ტარიფები. პირველი ნაბიჯად, რომელმაც რეალური შედეგები

გამოიღო ენერგოდაზოგვის მიმართულებით, შეიძლება ჩაითვალოს 2006 წლის 1 ივნისიდან ელექტროენერგეტიკის სექტორში, მოსახლეობისთვის ე.წ “საფეხურებრივი ტარიფების” შემოღება, რომლის თანახმადაც ელექტროენერგიის მომხმარებელი, რაც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, მით მაღალი ტარიფით უხდებათ მისი საფასურის ანაზღაურება<sup>11</sup>. სს თელასის და სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” მონაცემებით აღნიშნული ტარიფების შემოღებით მოსახლეობის იმ ნაწილში, სადაც ელექტროენერგიის აღრიცხვის ინდიკიდულური სისტემებია დამონტაჟებული ელექტროენერგიის მოხმარება 5-10% -ით შემცირდა, თუმცა საბოლოო დასკვნების გამოტანისთვის დამატებითი ანალიზია საჭირო, იმდენად რამდენადაც ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების მიზეზი “საფეხურებრივი ტარიფების” გარდა შეიძლება იყოს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად გაზიფიკაციის მაღალი ტემპები, ანუ მომხმარებელი ძვირი ელექტროენერგიის გამოყენებიდან, იქ სადაც ეს შესაძლებელია (გათბობა, საჭმლის მომზადება, ცხელწყალმომარაგება და ა.შ) გადადის შედარებით იაფ ბუნებრივ გაზზე.

ამ მოსახრების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ქ.თბილისის გლოდანი-მუხიანის რაიონს, სადაც 2006 წლის პირველ 7 თვეში ბუნებრივ გაზის მოხმარება იყო 1.46 მლნ. კბმ, ხოლო 2007 წლის ანალოგიურ პერიოდში, 3.365 მლნ. კბმ, მომხმარებელთა (აბონენტთა) რაოდენობა 7530 კი არ შეცვლილა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა ამონტაჟებს უფრო მეტ საყოფაცხოვმრებო მოწყობილობებს, რომლებიც მუშაობენ ბუნებრივ გაზზე და უარს ამბობენ შედარებით ძვირი ელექტროენერგიის გამოყენებაზე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ენერგოეფექტიანობის ამაღლება, რაც პირდაპირ უკავშირდება ენერგიის მოხმარების შემცირებას არ ხდებოდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესების ხარჯზე. პირიქით, ენერგიის მოხმარების შემცირებასთან ერთად, ენერგოეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე უნდა გუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები და კომფორტის დონე.

საფეხურებრივი ტარიფების შემოღება ბუნებრივი გაზის სექტორშიც შესაძლებელია ისეთივე ეფექტური აღმოჩნდეს, როგორც ელექტროენერგეტიკის სექტორში, თუმცა თბილისის და რეგიონების გაზგამანაწილებლი კომპანიების ტექნიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი აღრიცხვის სისტემების მოუწესრიგებლობა და კომერციული კარგვების (დატაცების) მაღალი დონე, ჯერ-ჯერობით ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს, ქვეყნის ეკონომიკის რეალობასთან მისადაგებული ტარიფების მოქნილი სისტემის შექმნა, პირველ რიგში კი სეზონური (ზამთარი-ზაფხული) ტარიფების შემოღება. როგორც ცნობილია ზამთარში საქართველოს ენერგოსისტმა დეფიციტურია და დამოკიდებულია ენეგოშემცველების იმპორტზე, ზაფხულის თვეებში პროფიციტული და ვერ ხერხდება დაახლოებით 600-800 მილიონი კვტსთ ელექტროენერგიის ათვისება, ანუ ადგილი აქვს წყლის არამწარმოებლურ დაღვრას, (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესკომ 2007 წელს,

<sup>11</sup> სემკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილება

პირველად ბოლო წლების განმავლობაში, შესძლო დაახლოებით 500 მლნ. კვტსთ ელექტროენერგიის ექსპორტი. ამ ტენდენციას შენარჩუნება და შემდგომი განვითარება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგო სექტორისთვის). ამასთან იმის გამო, რომ ზაფხულში ელექტროენერგია ძირითადად გამომუშავდება ჰესებზე, ტარიფი თითქმის 2-ჯერ იავია ვიდრე ელექტროენერგიის ზამთრის საშუალოშეწონილი ტარიფი (იხ. თავი 4). გასთვალისწინებლია აგრეთვე დღე-ღამის განმავლობაში ენერგოსისტემის არათანაბრი დატვირთვის ფაქტორი. ზამთარში დღის პიკური დატვირთვა 4-ჯერ აჭარბებს ღამის დატვირთვას, ზაფხულში კი 2-ჯერ.

დღის და ღამის პიკური დატვირთვების გათანაბრება ან მაქსიმალური დახსრულება, თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია ენერგოსისტემის მდგრადობის და იმედიანობის თვალსაზრისით. იგი შესაძლებელია მიღწეული იქნას დღის და ღამის ტარიფების დიფერენცირებით (პირველ ეტაპზე საწარმოებისთვის, შემდეგ კი მოსახლეობისთვისაც). ელექტროენერგიის ღამის ტარიფი ნაკლები იქნება ვიდრე დღის ტარიფი, რამაც სტიმული უნდა მისცეს საწარმოებს იმუშაონ ღამის საათებში (მაგალითად ზის დამამუშავებელი საწარმოები), რაც ერთნაირად მომგებიანი იქნება, როგორც ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის ასევე მომხმარებლისათვის.

## 2.5. ენერგოუსაფრთხოება და სამშენბლო კოდექსი

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს მშენებლობის ეროვნული ნორმები და სტანდარტები (სამშენებლო კოდექსი), რომლებიც სამშენებლო ორგანიზაციებს დაავალდებულებდა მშენებლობა აწარმოონ ისეთ სამშენებლო მასალებით და ნორმებით, რომლებიც საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით შენობებში მაქსიმალურად დაზოგავდა ენერგიას განათებაზე, გათბობაზე და კონდიცირებაზე. ცნობილია რომ შენობებში, ამ მიზნით მთლიანად მოხმარებული ენერგიის თითქმის 40% იხარჯება, ამდენად ენერგოუფექტურობის და ენერგოდაზოგვის პოტენციალი ამ სექტორში მნიშვნელოვანია<sup>12</sup>. რაც შეეხება შენობების გათბობისას წარმოქმნილ თბოდანაკარგებს საქართველოში აშენებული შენობების აბსოლიტური უმრავლესობის თერმული წინაღობა მერყეობს  $R=0.62-0.78$  ( $m^2 \cdot {}^0C \cdot W^{-1}$ ) ამ სიდიდის  $R=2.1$  ( $m^2 \cdot {}^0C \cdot W^{-1}$ )-მდე გაზრდა გამოიწვევს შენობათა თბოდანაკარგების განახევრებას აღნიშნული შესაძლებელია მიღწეულ იქნას მაგალითად ქაურეტანის 4სმ შრის დამატებით, თუმცა ამ შედეგის მიღწევა ამ ეტაპზე დიდ ფინანსურ და ტექნიკურ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ ექსპექტთა შეფასებით, შენობების თერმული წინაღობის საშუალოდ  $R=1.62$  ( $m^2 \cdot {}^0C \cdot W^{-1}$ ) – მდე გაზრდა, სრულებით საკმარისია თბოდანაკარგების შემცირების მნიშვნელოვანი ეფექტის მისაღებად.

სწორედ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ იმას, რომ მთელ შსოფლიოში მშენებლობაში უდიდესი ყურადღება ექცევა ენერგოუფექტურობას და ენერგოდაზოგვას.

<sup>12</sup> Energy Efficiency, Energy Security, Renewable Energy: Taking Forward The Gleneagles Dialogue And The G8 St Petersburg Conclusions- Roger Williamson- 2006

შემუშავებულია საერთაშორისო სამშენებლო კოდექსი და საერთაშორისო ენერგოდაზოგვის კოდექსი. ამ მიმართულებით საქართველოში ახლა იღმება პირველი ნაბიჯები, იქმნება ეროვნული სამშენებლო კოდექსი და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მასში სრულყოფილად იქნას ასახული ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკითხები, ამისათვის კი საჭიროა, რომ მის შექმნაში მონაწილეობა მიიღონ შესაბმისმა სპეციალისტებმა.

## 2.6. ენერგოეფექტიანობის ამაღლებით მიღებული სარგებელი

ენერგიის დაზოგვასთან მიმართებაში მომხმარებლების კულტურის ამაღლება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საბჭოთა კავშირის დროს ენერგიის ფასი არ ასახავდა მის რეალურ ღირებულებას, ამიტომ მოსახლეობაში, ისევე როგორც დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ენერგიის მიმართ ფლანგველური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, დაბალია ენერგიის მოხმარების კულტურა, რასაც მიუხედავათ მაღალი ტარიფებისა დღესაც აქვს ადგილი. საზოგადოების ფართო ფენები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები და შედეგად მათ სწორად არ აქვთ გათვითცნობიერებული, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მათვის ენერგიის დაზოგვას, ან როგორ შეუძლიათ უმტკივნეულოდ და მოგებიანად დაზოგონ იგი. ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა საზოგადოებისგან მოითხოვს მაღალორგანიზებულობას, ახალი ჩვევების, ტრადიციების და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას, რაც საქართველოსთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

მომხმარებლების ინფორმირება ენერგოეფექტურობით და ენერგოდაზოგვით მიღებულ სარგებელზე და მისი მიღწევის გზებზე ერთ-ერთი უპირველესი და მნიშვნელოვანი პრობლემაა. მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის, თუ როგორ დაზოგონ ენერგია და რას მოუტონს ეს მათ. საქართველოს ბაზარზე უკვე დიდი ხანია გაჩნდა ენერგოდამზოგი საყოფაცხოვრებო აპარატურა (ნათურები, ტელევიზორები, მაცივრები და ა.შ) ისინი შედარებით ძვირია ვიდრე ჩვეულებრი აპარატურა, მაგრამ ფასთა შორის სხვაობა ენერგიის დაბალი მოხმარების გამო დროში კომპენსირდება და მომხმარებელი მოგებული რჩება.

მომხმარებლების ინფორმირებისთვის ევროკავშირის ქვეყნებმა, მთელ რიგ საყოფაცხოვრებო აპარატურაზე, შემოიღეს სავალდებულო ენერგოეტიკები. მირითადა არსებობს ორი სახის ეტიკეტი: “შედარების ეტიკეტი” და “მოწონების ეტიკეტი”. “შედარების ეტიკეტი” მომხმარებელს აძლევს საშუალებას შეადაროს გაყიდვაში არსებული სხვადასხვა მოწყობილობის ენერგოეფექტურობა “მოწონების ეტიკეტი” უბრალოდ აღნიშნავს ისეთ მოწყობილობას, რომელიც განსაკუთრებით ენერგოეფექტურია. ენერგოეტიკების გამოყენება ბევრ ქვეყანაში, მაგალითად ევროკავშირის ქვეყნებში, კანადაში, ნორვეგიაში, მექსიკაში, აშშ, სამხრეთ კორეაში სავალდებულოა. ენერგოეტიკების გარდა არსებობს მომხმარებელთა ინფორმირების (სწავლების) სხვა მეთოდები და პროგრამები, რომლითაც მოსახლეობას უხსნიან, თუ რა სარგებლობა მოაქვს ენერგოეფექტიანობებაში ჩადებულ

ინვესტიციებს გრძელვადიან პერსპექტივაში. საქართველოში ანალოგიური მუშაობა ჯერ კიდევ დასაწყებია.

## 2.7. მუნიციპალური პროგრამები

მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პროგრამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მაღალმომანი რეგიონებისთვის (მცხეთა-თიანეთი, აჭარა, რაჭა, სვანეთი) სადაც ელექტრონენერგიის, ბუნებრივი გაზის და სხვა ენეგოშემცველების მიწოდება ტექნიკურად რთულია და ძვირი ჯდება. ასეთ რეგიონებში განახლებადი ენერგიის წყაროების (მზე, ქარი და ა.შ.) გამოყენება და მათი ენერგიის მაქსიმალურად ეფექტიანად ხარჯვა, ხშირად ერთადაერთი საშუალებაა ენერგიაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების არქონის გამო განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება და ენერგოეფექტურობის ონისძიებები, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობის იშვიათ ინიციატვებს თუ არ ჩავთვლით, მთლიანად დონორი ქვეყნების და ორგანიზაციების უშუალო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ვითარდება. აქ აღსანიშნავია ჰოლანდიის, ნორვეგიის მთავრობების, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტებით, ენერგოეფექტურობის ცენტრთან ერთად განხორციელებული პროექტები<sup>13</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით PA Consulting-ის<sup>14</sup> და Winrock Int. მიერ განხორციელებული პროგრამები, მათ შორის ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული პროექტი “ენერგეტიკული პროგრამა სოფლად”. ამ პროგრამებმა მკაფიოდ აჩვენა განახლებადი ენერგიის მუნიციპალური და საორმო პროექტების დიდი პოტენციალი საქართველოში.


## 2.8. საბანკო სექტორის გააქტიურება

საბანკო სექტორი არ არის ჩართული ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პროექტებში და პროგრამებში, თუმცა ეს არ არის ბანკების ბრალი რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ ასეთი პროექტები და პროგრამები, იშვიათი გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, არც არსებობს. საბანკო სექტორის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მათ გასცენ სესხები, ბაზარზე არსებულზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით იმ მომენტებელზე, რომლებიც აპირებენ ინვესტირებას ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებსა და დანადგარებში, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შეძლებ, რაც სახელმწიფოს მხრიდან ენერგოეფექტურობას და ენერგოდაზოგვას ექნება შესაბამისი საკანონმდებლო მხარდაჭერა, შემუშავებული იქნება შესაბამისი პროგრამები და პროექტები. იმ ქვეყნებში, სადაც ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა სახელმწიფო დონეზე პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული, საბანკო სექტორიც აქტიურად არის ჩართული და საერთოდ ეს მიმართულება ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნესად იქცა, რაზეც მეტყველებს

<sup>13</sup> დანართი 1 (ენერგოეფექტურობის ცენტრის მასალები)

<sup>14</sup> The USAID/PA Consulting Energy Efficiency and Renewable Energy Program in Georgia

“გართიანებული ერების ორგანიზაციის ბუნების დაცვითი პროგრამის” (UNEP) მონაცემები<sup>15</sup>.



როგორც მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს 2004-2006 წწ. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების გამოყენების სფეროში ჩადებული ინვესტიციები 2 წელიწადში 27 მილიარდი აშშ დოლარიდან, 70 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) გეგმავს საქართველოსთვის 35 მილიონი აშშ დოლარის შეღავათანი საკრედიტო ხაზის გამოყოფას, რომელიც მთლიანად ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების გამოყენების პროექტებზე იქნება ორიენტირებული.

## 2.9. გამანაწილებელ ენერგოკომპანიებში კომერციული დანაკარგების შემცირება

ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი სტიმული არის ძირითადი ენერგოშემცველების (ელექტროენერგია და ბუნებრივი გაზი) მოხმარების ზუსტი აღრიცხვა და საფასურის ამოღება. ბუნებრივია, თუ მომხმარებელს ექნება საშუალება ელექტროენერგია და ბუნებრივი გაზი მოიხმარონ სათანადო აღრიცხვის გარეშე ან გამანაწილებელი ენერგოკომპანიების წარმომადგენლებთან კორუფციული გარირგებების გზით, მათ არავითარი სტიმული არ ექნებათ დაზოგონ ისინი ან ინვესტიცია ჩადონ ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაში.

ბოლო 2 წელია ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვაში და საფასურის ამოღებაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები აღინიშნება. ელექტროენერგეტიკის სექტორში მსხვილი ინდუსტრიული მომხმარებლები, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს პრაქტიკულად სრულად იხდიან.

<sup>15</sup> Global Trends in Sustainable Energy Investment. UNEP 2007.

სადისტრიბუციო კომპანიებს შორის ყველაზე კარგი მდგომარეობა სს თელასშია, რომელიც მთელი სექტორის დაახლოებით 25% შეადგენს. აქ ინდივიდუალური მრიცხველები უყენიათ მომხმარებელთა 95% (დაახლოებით 420 000). 2007 წლის ბოლომდე გამრიცხველიანებული იქნება მთელი ქალაქი. კომერციული დანაკარგები 2007 წლის 1 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 16%, რაც უდაოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში (ენერგო-პრო ჯორჯია), რომელიც ბაზრის თითქმის 35% შეადგენს, კომერციული კარგები ბოლო ორ წელიწადში 20 % -მდე დავიდა. ასეთი შედეგი მიღწეული იქნა ძირითადად ე.წ. “კომუნალური მრიცხველების” გამოყენებით. გარდა ამისა აღრიცხვის მოწესრიგებამ კომპანიაში ზამთრის პიკში მოთხოვნილი სიმძლავრე 650 მვტ-დან 480 მვტ-დე შეამცირა.

კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრები არ შეინიშნება, თუმცა მისი მოხმარება იმდენად მცირეა (3%), რომ იგი საერთო სურათზე რაიმე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ენერგოსისტემის დატვირთვა ზამთრის პიკში, აღრიცხვის მოწესრიგების ხარჯზე 2007 წელს 2005 წელთან შედარებით და 1600 მვტ-დან 1200 მვტ-მდე შემცირდა, რაც ენერგეტიკული დამოკიდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინგადაგმული ნაბიჯია.

კომერციული დანაკარგების (დატაცების) შემცირება და უახლოეს მომავალში საბოლოოდ აღმოფხვრა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო სადისტრიბუციო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არამედ მთელი ენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის, ამიტომ მას განსაკუთრებული როლი ენიჭება.

ჯამური კომერციული დანაკარგები სს თელასში უახლოეს წლებში შეიძლება შემცირდეს 6% -მდე, მთლიანი ელექტროენერგიის შესყიდვიდან, სს “ენერგო-პრო ჯორჯიაში” კი 10%-მდე. ასეთი პროგნოზის საშუალებას იძლევა სს თელასის და სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” საქმიანობის ანალიზი. კომპანიებს შორის დანაკარგების შემცირებების განსხვავება აიხსნება იმით, რომ სს თელასის სამოქმედო არიალი ძირითადად მოიცავს ქალაქის ტიპის დასახლებებს, სს “ენერგო-პრო ჯორჯიასი” კი სოფლის, სადაც გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და კომერციული კარგების (დატაცების) კონტროლი შედარებით რთულია. ცხრილ 2.1 მოცემულია კომერციული დანაკარგების შემცირების ხარჯზე ელექტროენერგიის დაზოგვის პოტენციალი ერთი წლის განმავლობაში.

ენერგიის შესყიდვა	ტექნიკური დანაკარგები	დარიცხვა	კომერციული დანაკარგები	კომერციული დანაკარგები	კომერციული დანაკარგები პერსპექტივა %	დაზოგვა
მლნ.კვტსთ	მლნ.კვტსთ	მლნ.კვტთ	მლნ.კვტსთ	%	მლნ.კვტივა	მლნ.კვტსთ

თელასი	1,955.4	242.5	1,398.8	314.1	16.1%	6.0%	197
ენერგო-პრო-ჯორჯია	2,394.0	358.4	1,468.1	567.5	23.7%	10.0%	328
დაზოგვა სულ მონაბეჭით							525

**ცხრილი 2.1. კომერციული დანაკარგების შემცირების ხარჯზე ელექტროენერგიის დაზოგვის პოტენციალი გამანაწილებელი კომპანიების მიხედვით.**

კვლავ მაღალია კომერციული დანაკარგები ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებში. “ყაზტრანსგაზ-თბილისის” მონაცემებით, დანაკარგი მთლიანი შესყიდული გაზის 42% შეადგენს. კომერციული დანაკარგის 10% -ით შემცირება “ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის” 120 მილიონ კბმ. გაზის ტოლფასია, რაც ბუნებრივი გაზის შესასყიდი საშუალო წლიური ფასის 175 აშშ დოლარი/1000 კბმ. შემთხვევაში, 21 მილიონი აშშ დოლარის ექვივივალენტია.

ინფორმაცია კომერციული დანაკარგების შესახებ, რევიონალური გაზგამანაწილებელი კომპანიებიდან, რომელთა უმრავლესობა “იტერა-ჯორჯიას” ეკუთვნის ვერ მოვიპოვეთ, ამიტომ მათზეც გავავრცელეთ კომერციული დანაკარგების იგივე სტრუქტურა, რაც გვქონდა თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიისთვის და ასეთ შემთხვევაში მათი დანაკარგები 60 მილიონ კბმ შეადგენს.

კომერციული კარგვების შემცირებით, ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებს შესაბამისად, 500 მილიონი კვტსთ ელექტროენერგიის და 180 მილიონი კბმ ბუნებრივი გაზის დაზოგვა შეუძლიათ.

განაწილების სისტემის გაუმჯობესება კვლავ რჩება ენერგოეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად საქართველოში. ამ გაუმჯობესებას ესაჭიროება მნიშვნელოვანი კაპიტალური ხარჯები და შეიძლება რამდენიმე წელი დასჭირდეს. პარალელურად, იმ ადგილებში სადაც დატაცება აღმოფხვრილია, უნდა განხორციელდეს ნაკლებად კაპიტალტევადი და ეკონომიკურად მომგებიანი ენერგოეფექტურობის ღონისძიებები.

## 2.10. საგადასახადო და საბაჟო შეღავათები

საგადასახადო და საბაჟო შეღავათები მნიშვნელოვანი სტიმულია ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პროგრამების განხორციელებისთვის. აქ შესაფასებელია გადასახადების და მოსაკრებლების შემცირებით ერთის მხრივ საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების და მეორეს მხრივ ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის ხარჯზე, საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ეფექტი. მაგალითად ახალი, ენრგოეფექტური და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების და ღონისძიებების

დანერგვის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტების დროებით გათავისუფლება მოგების გადასახადის გადახდიდან ან მისი განაკვეთის შემცირება, ბუნებრივია გამოიწვევს საბოუჯეტო შემოსავლების შემცირებას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნული ღონისძიების შედეგად შემცირდება ენერგიის მოხმარება, რაც შემოდგომა-ზამთრის სეზონზე გამოიწვევს ენერგოშემცველების იმპორტის შემცირებას, რაც თავის მხრივ აამაღლებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის დონეს. მოსახლეობის შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ეფექტის გარდა, შესაძლებელი ექნება საბოუჯეტო სუბსიდიების შემცირებაც, რაც გაიცემა შეჭირვებული ოჯახებისთვის.

არსებობს ენერგოუფექტურული ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებაც წარმატებით შეიძლება საქრთველოში. ქვემოთ მოყვანილი იქნება რამდენიმე მაგალითი მსოფლიო გამოცდილებიდან ენერგოდაზოგვის საკითხებში.

## თავი 3

### მსოფლიო გამოცდილება ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის სფეროში

#### 3.1. ენერგოეფექტურობის, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტიანობის განმარტების პრობლემა

ტერმინების „ენერგოეფექტურობა“ „ენერგოდაზოგვა“ და „ენერგოეფექტიანობა“ კლასიკური განმარტებები არ არსებობს. მას სხვადასხვანაირად განმარტავენ და სხვადასხვა დატვირთვას აძლევენ ინჟინრები, გარემოს დაცვის სპეციალისტები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები, სოციოლოგები და ა.შ., აქედან გამომდინარე არსებობს მათი შინაარსობრივად განსხვავებული კონცეფციები<sup>1</sup>. ამდენად, პირველ რიგში საჭიროა ჩამოვაყალიბოთ „ენერგოეფექტურობის“ „ენერგოდაზოგვის“ და „ენერგოეფექტიანობის“ განმარტება კონკრეტულ კონტექსტში. ასევე მნიშვნელოვანია იმის განმარტება, თუ როგორ მოხდება მათი ინტერპრეტაცია კონკრეტულ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში.

ამ ნაშრომში ზემოთ აღნიშნულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

**ენერგოეფექტურობა** – მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების და მოწყობილობის გამოყენებით, ნაკლები ენერგეტიკული დანახარჯებით, იგივე მოცულობის და ხარისხის ენერგეტიკული მომსახურების და პროდუქტის მიღება;

**ენერგოდაზოგვა** – ნაკლები ენერგიის და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენება, რაც ძირითადად ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ენერგომოხმარების ჩვევებს და ოპერატორულ რეჟიმებს ასახავს;

**ენერგოეფექტიანობა** – აერთიანებს წინა ორ ცნებას და ნიშნავს ნაკლები ენერგიის გამოყენებას რომელიმე ამ ფაქტორის გამო.

„ენერგეტიკის მდგრადი განვითარება“ ზოგადად აერთიანებს ენერგოეფექტიანობას და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას და ფაქტობრივად არის ენერგიის მიღება (გამომუშავება) ეკონომიკურად მომგებიანად და უსაფრთხოდ, ნებისმიერ დროს, გარემოზე მავნე ზეგავლენის გარეშე. ეს უკანასკნელი კი პირველ რიგში გულისხმობს სათბური გაზების ემისიების შემცირებას და კლიმატური ცვლილებების პროცესის სტაბილიზაციას, ძირითადად ნახშირწყალბადების გამოყენების შეზღუდვის და უფრო მეტი ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების გზით.

#### 3.2. პოლიტიკური და ინსტიტუციური ზომები

“ენერგეტიკის მდგრადი განვითარების” პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომის გამოყენება, გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული პოლიტიკის ინსტრუმენტთა და მექანიზმთა ერთობლივი გამოყენებით. ეს ინსტრუმენტებია:

- ეკონომიკური მექანიზმები – ფასწარმოქმნა, ფინანსური სტიმულირება, გადასახადები, მოსაკრებლები, შეღავათები, გრანტები, სუბსიდიები და ა.შ.

<sup>1</sup> <http://www.eia.doe.gov/emeu/efficiency/ee>

- სასწავლო და საინფორმაციო კამპანია, მათ შორის ტრეინინგები, ე.წ “მოწონების ეტიკეტების” გამოყენება და სხვა.
- შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის ჩამოყალიბება.
- დაგეგმვითი (ენერგოუსაფრთხოება)

### 3.2.1 ეკონომიკური ინსტრუმენტები

ეკონომიკური ინსტრუმენტების ეფექტურობა ფასდება მათი გავლენით ენერგეტიკულ ბაზარზე. ეკონომიკური ინსტრუმენტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად - ფასწარმოქმნა (ტარიფების რეგულირება სახელმწიფოს მიერ) და სუბსიდირება.

#### ფასწარმოქმნა

ენერგოშემცველებზე (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი) და მათ მიწოდებაზე, რეალურ დანახარჯებზე და ინვესტირებულ კაპიტალზე ამონაგების გონივრულ დონეზე დაფუძნებული, ეკონომიკურად დასაბუთებული ტარიფების დადგენა, ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების დანერგვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იღებს მომხმარებელი სწორ საბაზო სიგნალს იმისათვის, რომ იფიქროს ენერგოეფექტიანობის ამაღლებაზე. იმ ქვეყნებში სადაც ენერგოეფექტიანობის ამაღლების პროგრამის განხორციელება დაიწყო რაელური ტარიფების დადგენის გარეშე და სადაც ტარიფები ხელოვნურად იყო შემცირებული და არ ასახვდა რეალურ დანახარჯებს, შედეგები სავალალო იყო, ვინაიდან მომხმარებლისათვის არ არსებობდა სტიმული რათა შეუცვალა თავისი ქცევა ან შეეძინა ენერგოეფექტური ტექნიკა და ტექნოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულის სისწორეზე არავინ დაობს, ხშირად ტარიფების დადგენისას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები, საზოგადოების წინააღმდეგობისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსზე ენერგოშემცველების ფასების კორექტირებების გავლენის შიშის გამო, ვერ იღებენ ადექვატურ გადაწყვეტილებებს.

#### 3.2.1.1. ენერგოშემცველების ფასების ზრდა, როგორც ენერგოეფექტიანობის სტიმულირების ფაქტორი

ენერგოფექტიანობის მიმართ ინტერესი გაიზარდა ნავთობის, ბუნებრივი გაზის და სხვა ენერგოშემცველებზე ფასების (ტარიფების) ზრდის გამო. რაც უფრო მაღალია მათი ფასი, მით უფრო დიდია ენერგოეფექტიანობის მიმართ ინტერესი. მე-20-ე საუკუნის ბოლოს ნავთობზე დაბალი ფასების გამო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ენერგოეფექტიანობის ამაღლებას. ბოლო წლებში ენერგოშემცველებზე ფასების ზრდამ კი კვლავ წინ წამოწია ენერგოეფექტიანობის საკითხი.

ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებისათვის აუცილებელია, რომ ფასები (ტარიფები) ენერგოშემცველებზე ზუსტად ასახავდენ ყველა გრძელვადიან ხარჯს. ენერგოშემცველების ფასები (ტარიფები) ხშირად ასახავენ მხოლოდ მთლიანი ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია ენერგიის გამომუშავებაზე და მიწოდებაზე გაწეულ ხარჯებზე და იშვიათად მოიცავენ გრძელვადიან გარემოსდაცვით, პერსპექტიული განვითარების და მომხმარებლებს შორის ჯვარედინ სუბსიდიებთან დაკავშირებულ ხარჯებს. განვითარებად ქვეყნებში, მოსახლეობის დარიბი ფენების არსებობის გამო, სუბსიდიების ერთბაშად და მთლიანად გაუქმება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამასთან სუბსიდიების

შენარჩუნების შემთხვევაში, საჭიროა მათი გამჭვირვალეობის, მიზანმიმართულობის და დროულობის უზრუნველყოფა. ამასთან სუბსიდიების ეტაპობრივი შემცირება და საბოლოო ჯამში მათი მთლიანი გაუქმება ენერგოეფექტიანობის ამაღლების დამატებით სტიმულ წარმოადგენს.

ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი ენერგოშემცველების - ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის მიწოდება-მომარების ზუსტი აღრიცხვა და საფასურის ამოღება. იქ სადაც ეს პრობლემა გადაჭრილი არ არის ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებაც იდენტური, რადგან არსებობს შესაძლებლობა ენერგოშემცველების აღურიცხავად და შესაბამისად საფასურის გადაუხდელად მოხმარებისა.

### 3.2.1.2. ეკონომიკური სტიმულირება

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტთან ერთად, რომლებიც სტიმულირებას უწევენ ენერგოეფექტიანობაში ინვესტიციების ჩადებას, ძირითადად და განსამზღვრელად სახელდება ეკონომიკური და ფინანსური წახალისება. იგი ერთნაირად აუცილებელია, როგორც მომხმარებლებისთვის ასევე ენერგოეფექტური ტექნიკის მწარმოებლებისთვის, რათა მათ განახორციელონ შესაბამისი ტექნიკის და მოწყობილობების მარკეტინგი და დანერგვა.

- ეკონომიკური სტიმულირება არის ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი, რასაც შეუძლია ენერგოეფექტიანობაში ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება. იგი იყოფა ორ ძირითად კატეგორიად – ენერგოეფექტიანობაში ინვესტიციების სუბსიდიებად და შეღავათიან სესხებად.

#### ინვესტიციების სუბსიდიები

ინვესტიციების სუბსიდიების მიზანს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სახსრების უზრუნველყოფა ენერგოეფექტურობის ინვესტიციების სტიმულირებისათვის არსებულ შენობებში და მოწყობილობებში, ან ენერგოეფექტური ტექნიკის მიღებას. პრინციპში, ეს ღონისძიებები ეხება იმ ქმედებებს რომლებიც ეკონომიკურად ეფექტიანია კოლექტიური თვალსაზრისით, რომლებიც სხვაგვარად არ განხორციელდება მომხმარებლების მიერ.

#### შეღავათიანი სესხები

შეღავათიანი სესხები გულისხმობს, საბანკო სექტორში ჩამოყალიბებულ საბაზრო განაკვეთან შედარებით, შეღავათიან საპროცენტო განაკვეთით სესხების გაცემას იმ მომხმარებლებზე, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ასეთი ინვესტიციები შეიძლება იყოს ენერგოეფექტური ტექნიკისა და მოწყობილობების შექმნა, შენობების დათბუნება და სხვა. ამგვარი ღონისძიებები საინტერესოა მომხმარებლთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის.

- ფისკალური სტიმულირება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: გადასახადების შემცირებას, საგადასახადო შეღავათებს და საგადასახადო გამოქვითვებს, დაჩქარებულ ამორტიზაციას. ეს ღონისძიებები ჩვეულებრივ საჭიროებენ სათანადო ასახვას კანონმდებლობაში.

საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო შეღავათები და დაჩქარებული ამორტიზაცია წარმოადგენს ფისკალური სტიმულირების მექანიზმებს. ფისკალური სტიმულირება, ჩვეულებრივ უპირატესობით სარგებლობს ეკონომიკურ სტიმულირებასთან შედარებით, ვინაიდან ის შედარებით იაფია მთავრობისათვის. ის კარგად მუშაობს, თუ გადასახადების ამოლება მაღალ დონეზეა. ფინანსური სტიმულირება რთულად ხორციელდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

### 3.2.1.3. შეღავათების დაფინანსება

ფინანსური და ეკონომიკური შეღავათები ფინანსდება სხვადასხვა გზით. ზოგიერთ ქვეყანაში იქმნება სპეციალური ფონდები, რომლებიც სხვადასხვა წყაროდან იღებენ დაფინანსებას. ამ ფონდების ფინანსური რესურსები მიმართულია კონკრეტული ენერგოეფექტიანობის ამაღლების პროგრამების განხორციელებისათვის. ისინი პირდაპირი ფინანსირების პარალელურად, გასცემენ ფინანსურ გარანტიებსაც. კომუნალური საწარმოები, მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბანკები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ აღნიშნული პროგრამების ჩამოყალიბებაში და ადმინისტრირებაში.

### ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი ბულგარეთში

ფინანსური რესურსების ნაკლებობა და სხვა საინვესტიციო შეზღუდვები წარმოადგენს ენერგოეფექტურობის პროექტების განხორციელების ძირითად ბარიერს ბულგარეთში. ფინანსური რესურსების ნაკლებობა და კერძო ინვესტორების ინერტულობა გამოწვეულია ენერგოეფექტურობის პროექტებში ჩადებული ინვესტიციების მაღალი რისკის შიშით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია დაბალი ინფორმირებულობით. ამ ბარიერის დაძლევის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს, კომერციულ სესხებთან ერთად სახელმწიფო გარანტიების გაცემა ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა. 2005 წლის ივლისში, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა, კერძო სექტორში ენერგოეფექტურობის პროექტების განვითარების დასახმარებლად 20.1 მილიონი აშშ დოლარის სესხი გამოუყო სამ ბულგარულ ბანკს: გაერთიანებულ ბულგარულ ბანკს, ფოსტბანკს და RZB ბულგარეთს. ეს სახსრები სხვა ბანკებისთვისაცაა ხელმისაწვდომია. KIDSF-ის მონაწილეობით, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა, საბაზრო ხარვეზების აღმოსაფხვრელად შეიმუშავა ენერგოეფექტურობის საკრედიტო ხაზი.

კომუნალური კომპანიების მიერ წარმართული ენერგოეფექტურობის პროექტების დაფინანსების ახალ მეთოდს წარმოადგენს "wire charges", რომლის არსეც მდგომარეობს იმაში, რომ ელექტრონურგიის სამომხმარებლო ტარიფში შეტანილია სპეციალური კომპონენტი, რომელსაც ელექტრონურგიის ყველა მომხმარებელი, მოხმარებული ელექტრონურგიის საფასურის გადახდისას, იხდის ავტომატურად. ამ გზით მიღებული სახსრები ირიცხება სპეციალურ ფონდში და ხმარდება ენერგოეფექტიანობის პროგრამების დაფინანსებას. ფონდს აღმინისტრირებას უწევს შესაბამისი ენერგეტიკული კომპანია, სამთავრობო სააგენტო ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

### 3.2.1.4. ენერგეტიკული მომსახურების კომპანიები (ემკ)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ენერგოეფექტიანობის ბაზრის განვითარებაში არის ემკ-ის საქმიანობის გააქტიურება. ემკ უზრუნველყოფებ ტექნიკურ ცოდნას და ენერგოეფექტურობის ინვესტიციების დაფინანსებას, ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული

სარჯების შემცირების გარანტით. განხორციელებული ინვესტიციების საზღაურად ემკ იღებენ წილს ენერგიის დაზოგვის შედეგად მიღებული ფინანსური სარგებელიდან (დაახლოებით 50%). ემკ-ისთვის ენერგოფექტიანობის ამაღლების პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბანკების მიერ მათზე გაცემული კრედიტები, რომელთა გარანტიად (გირაოდ) გამოიყენება პროექტების მოსალოდნელი ფინანსური ეფექტი. დაფინანსების ეს მოდელი ტიპიურია მესამე მხარის დაფინანსებისთვის. კარგად განვითარებული ემკ-ის ინდუსტრიას შეუძლია იფუნქციონეროს კერძო სექტორში შეზღუდული სამთავრობო მხარდაჭერით.

### 3.2.1.5. სახელმწიფოს როლი

ჩინეთის “ეფექტური ტექნოლოგიების ჩანაცვლების პროგრამის” და ბრაზილიის PROCEL პროგრამის შედეგები ცხადყოფენ, რომ სახელმწიფოს როლი ენერგიის დაზოგვაში მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ინიციატივების და სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის თვალსაზრისით. აშშ-ში სახელმწიფოს ინიციატივა, ენერგოდაზოგვის სტიმულირებისთვის, საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის არსებით ელემენტს. ბოლო წლებში, აშშ (კალიფორნიაში) და ბრაზილიაში განვითარებულმა მოვლენებმა – ენერგიის მიწოდების დეფიციტმა და ენერგომეტცველებზე მიუღებელად მაღალმა ფასებმა, ცხადყვეს რომ ენერგოფექტიანობის ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემო კონკრეტულ ბაზარზე შეიძლება წარმოიქმნას სპონტანურად, ნებისმიერ დროს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს ჩარევა ენერგოფექტიანობის ამაღლებაში ინვესტირების სტიმულირებისთვის ახალი შეღავათების (მათ შორის საგადასახადო შეღავათების და საბანკო სესხების ხელმისაწვდომობა) შესაქმნელად არსებითა.

მსოფლიო მასშტაბით ენერგოფექტიანობის პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებისას, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიძლება აღინიშნოს. **ზოგადად ენერგოფექტიანობის პოლიტიკის არსებობა ან არარსებობა განპირობებულია უშუალოდ ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მზადყოფით.** ენერგოფექტიანობის პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული მართვის და ეფექტური საზოგადოებირვი აღმინისტრირების არსებობის პირობებში. იგი გარკვეულწილად დამოკიდებულია ასევე შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაზე. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ცდილობს ენერგოფექტიანობის პოლიტიკის გატარებას, უნდა აცნობიერებდეს ამგვარი ინსტრუმენტების მნიშვნელობას და შეძლოს მათი სწორად გამოყენება.

განვითარებად ქვეყნებში ენერგოფექტიანობის პოლიტიკის განხორციელება, გარდა პირდაპირი ენერგეტიკული ეფექტისა, გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირებისა და ენერგოუსაფრთხოების დონის ზრდისა, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის და სოციალური განვითარების ძლიერ სტიმულს, ზრდის საზოგადოებრივ ცნობიერებას და საზოგადოების ფართო წრეებს ხდის გადაწყვეტილებების მიღების და პოლიტიკის განხორციელების პროცესების მონაწილეებს.

### 3.2.2. საინფორმაციო ინსტრუმენტები

ენერგოეფექტურის ამაღლების სხვადასხვა ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინფორმაციო და ნიშანდების პროგრამები. შედარების და დამტკიცების ნიშნები ხელს უწყობენ მწარმოებლებს გაუმჯობესონ წარმოებული ენერგომოწყობილობები და აპარატურა, ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით. საერთოდ ინფორმაციის ნაკლებობა ითვლება, ენერგოეფექტურის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ბარიერად.

#### ნიშანდება

მომზმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება ახალი მოწყობილობების ენერგოეფექტურობის შესახებ, ენერგოეფექტურის ამაღლების ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ღონისძიებაა. ნიშანდების პროგრამა მიზნად ისახავს მომზმარებელთა ყურადღების მიპყრობას ენერგოდამზოგ ტექნიკაზე. .

ნიშანდების პროგრამები განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით, თუმცა არსებობს ორი ზოგადი მიღვომა:

- შესაბამისობის ნიშნები;
- ენერგომოწყობილობების ენერგოეფექტურობის შედარების ნიშნები;



შედარების ნიშნები  
Energy Star (USA)



E 2000 (CH)


#### Comparison labels



USA



Australia



EU

### სურათი 3.1. დასტურის და შედარების ნიშნების მავალითები

შესაბამისობის ნიშნები ახდენს კონკრეტული ენერგომოწყობილობის ენერგოეფექტურობის კონსტანტირებას (მაგ. energy star აშშ-ში). შედარების ნიშნები საშუალებას აძლევს მომზმარებელს ერთმანეთს შეადაროს გაყიდვაში არსებული ენერგომოწყობილობის

ენერგოეფექტურობა. ევროკავშირის ქვეყნებში, ევროკავშირის დირექტივების თანახმად, შედარების ნიშნების გამოყენება სავალდებულოა.

შედარების ნიშნები თითოეულ ენერგომოწყობილობას ანიჭებს ხარისხის გრადაციას ა-დან ზ- მდე, შესაბამისი ადვილად წასაკითხი ფერადი კოდით (წითელი ზ-სთვის, მწვანე ა-სთვის), სადაც “ა” ნიშნავს ყველაზე ეფექტურს. თავიდან ნიშანდება კეთდებოდა მხოლოდ მაცივრებზე და საყინულებებზე, შემდგომ კი სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკაზეც გავრცელდა (სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები და ლამფები). ამგარი ნიშანდება შედარებით იაფია და ადვილად განსახორციელებელი. მისი დანერგვა დამოკიდებულია ამ ღონისძიების საჭიროების გაცნობიერებაზე და პოლიტიკურ ნებაზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 193 ოფიციალურად აღიარებულ ქვეყნებს შორის, ნიშნდება ჯერ-ჯერობით შემოღებულია ევროკავშირში, შევიცარიაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კორეაში, თურქეთში, მექსიკაში და ეს გასაგებიც არის რაღან ენერგოეფექტიანობის ამაღლებზე ზრუნვა აქტიურად ჯერ-ჯერობით შხოლოდ განვითარებული ქვეყნებიში ხორციელდება.

შედარების ნიშნები უფრო ეფექტურია ვიდრე შესაბამისობის ნიშნები, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს ბაზარზე არსებულ ენერგომოწყობილობებსა და აპარატურას შორის აარჩიონ მათვის, ფასით და ენერგოეფექტურობით ყველაზე მისაღები.

### “ენერგოავტობუსი” – საინფორმაციო ინსტრუმენტის მაგალითი

ავტობუსებს და მატარებლებს საინპორმაციო-სარეკლამო მიზნებისათვის ბევრ ქვეყანაში იყენებებ. მაგალითად, ამგარი ავტობუსები, სახელმწიფო გარემოსდაცვითი სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოიყენებოდა კალიფორნიაში 1990წლებში.

Beyond Petroleum -მა ეს ინსტრუმენტი აზერბაიჯანში გამოიყენეს “კასპიის ენერგოავტობუსის” სახით. მისი საშუალებით, მოსახლეობისათვის რომლებიც უშუალოდ მიღსადენების მახლობლად ცხოვრობენ, ავრცელებენ ინფორმაციას გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და აღტერნატიული ენერგოშემცველების შესახებ. ამავდროულად ის გამოიყენება, როგორც კომუნიკაციის ეფექტური ინსტრუმენტი ქვეყნის ენერგეტიკული პროექტების გასაცნობად.

“კასპიის ენერგოავტობუსი” მოგზაურობს მიღსადენის მიმდებარე ტერიტორიებზე, ჩერდება სოფლებში და უჩვენებს მომხმარებლებს ენერგიის მიღების და გამოყენების ეფექტურ და უსაფრთხო საშუალებებს. გარდა ინფორმაციის მიღებისა მოსახლეობას, ასევე შესაძლებელია უფასო კონსულტაციების მიღება ენერგოდაზოგვის მეთოდებზე, მაგალითად ფანჯრების და კარების თბოზოლაციასთან დაკავშირებით, ასევე ტარდება პრეზენტაციები სკოლებშიც.



### სურათი 3.2. ენერგო ავტობუსის ილუსტრაცია<sup>2</sup>

<sup>2</sup> "Umid" Humanitarian & Social Support Center umid.office@azerin.com

### 3.2.3. რეგულირების ინსტრუმენტები

#### სტანდარტები

ელექტრომოწყობილობების მინიმალური ენერგიის გამოყენების სტანდარტები (MEPS), ადგენერ ბაზარზე არსებული ელექტრომოწყობილობის მინიმალური ენერგოფექტურობის (ან მაქსიმალური ენერგიის მოხმარების) დონეს. ზოგიერთ ქვეყანაში, ისინი განსაზღვრავენ ელექტრომოწყობილობების საშუალო ენერგოფექტურობას გაყიდვების მიხედვით (სამიზნე ღირებულება შვეიცარიაში ან Top Runner Program იაპონიაში). ენერგოფექტურობის სტანდარტების დონეები შეიძლება სხვადასხვა გზით დადგინდეს. ევროპაში, გამოიყენება სტატისტიკური მიღობა – ბაზარზე უკვე არსებული ელექტროტექნიკის ენერგოფექტურობა გამოიყენება საფუძვლად და სტანდარტები მუშავდება მისი 10-15% გაუმჯობესების მისაღებად. სხვა ქვეყნებში, ნორმები ეფუძნება ეკონომიკური მომგებიანობის შეფასებას. მაგალითად აშშ-ში ტექნიკის ენერგოფექტურობის გაზრდა მოითხოვება იმ დონემდე, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციის ამოღებას 3 წელიწადში). 1999 წლის შემდეგ, ევროკავშირის დირექტივით დადგინდა სავალდებულო ენერგოფექტურობის სტანდარტები მაცივრებისათვის.

#### დასკვნები და რეკომენდაციები

ნიშანდების პროგრამებს არ შეუძლიათ მთლიანად გარდაქმნას ბაზარი. მათი გამოყენების პარალელურად საჭიროა მინიმალური ენერგიის გამოყენების სტანდარტების (MEPS) დანერგვა. სტანდარტები საჭიროა არაენერგოფექტური, იაფი ელექტროტექნიკის ბაზრიდან ამოსაღებად რაც მხოლოდ ნიშანდების პროგრამებით ვერ მიიღწევა. მათი საჭიროება ასევე არსებობს იმ ბაზრებზე სადაც მომხმარებელთა შერჩევის კრიტერიუმები მთლიანად გამორიცხავს ენერგოფექტურობას (მაგალითად, ტელევიზორები) ან სადაც მომხმარებლისათვის ტექნიკის შეძენის არჩევანი ძალზე შეზღუდულია.

სტანდარტების შემოღება, და მათი ეტაპობრივად გამკაცრება, შესაძლებელია ნიშანდების პროგრამის გარეშეც, თუმცა ამგვარი სტანდარტების დაწესება ელექტროტექნიკის მწარმოებლებისათვის საკმაოდ რთულია. ენერგოფექტურობის სტანდარტების შემოღება იოლდება, თუ მას წინ უსწრებს ნიშანდების პროგრამის შემოღება, როგორიცა ეს გაკეთდა ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოში საყოფაცოვრებო ელექტროტექნიკაზე MEPS და ნიშანდების შემოღება ხელს შეუწყობს ენერგოფექტურობის განვითარებას. აღნიშნულის გარდა საჭიროა სხვადასხვა ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და წარმართვა.

#### 3.2.4. დაგეგმვის ინსტრუმენტი

ენერგოფექტურობის სტრატეგიის კვლევისას ენერგეტიკული დაგეგმვის ინსტრუმენტები უნდა გამოყენებულ იქნას ენერგომომარაგების დაბალი ფასის და საიმედოობის მიღწევის ფუნდამენტურ მიზნებს. ენერგეტიკის სტრატეგიული დაგეგმვისას უნდა ხდებოდეს ენერგოფექტიანობის ღონისძიებების გათვალისწინება, მათი ღირებულების და ენერგეტიკული შედეგების ჩათვლით. ამით ენერგოფექტიანობა გათვალისწინებულ იქნება ენერგეტიკის სტრატეგიულ დაგეგმვაში უმცირესი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, რითაც საფუძველი შეექმნება ენერგოფექტიანობისათვის ინვესტიციების მოზიდვას და იმის უზრუნველყოფას, რომ ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის მიზნებისათვის ენერგოფექტურობა და ენერგოდაზოგვა უნდა გახდეს საზოგადოების ერთ-ერთი პრიორიტეტი<sup>3</sup>.


<sup>3</sup> Integrated Resource Planning –UNEP 1997

### 3..3. გლობალური ენერგოფექტიანობის ტენდენციები

ენერგოფექტიანობის დონის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ევროკავშირი და იაპონია ენერგოფექტიანობის დონით სამჯერ-ოთხჯერ აღემატება ყოფილი საბჭოთა კავშირის ან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ენერგოინტენსივობის დონე არის ქვეყნის ეკონომიკის ენერგოფექტურობის მაჩვენებელი. ის გამოიანგარიშება, როგორც ენერგიის ხარჯი ერთეული მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაზე. მაღალი ენერგოინტენსივობა ძიუთითებს მთლიან შიდა პროდუქტში ენერგიის მაღალ ხარჯზე.. ენერგოფექტურობის ამაღლება, ევროკავშირში უკვე შეადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილს, მათ შორის ინდუსტრიულ პარტნიორებთან (აშშ), გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან (რუსეთი) და განვითარებად ქვეყნებთან (ჩინეთი და ინდოეთი).

მესამე ქვეყნებთან ენერგოფექტურობის საკითხებზე თანამშრომლობის გაძლიერების ძირითადი მიზეზები მჭიდროდაა დაკავშირებული ევროკავშირის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებთან და ბიზნეს შესაძლებლობებთან, რომლებიც გამომდინარებენ ვეროგაერთიანების წამყვანი როლიდან ამ სფეროში. სხვა მიზეზებს შორის აღსანიშნავია ენერგოფექტურობის მზარდი როლი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, ნავთობის ფასების ბოლოდროინდელი ზრდა და ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილება. ენერგორესურსების სიმცირის პირობებში, განსაკუთრებით ნახშირწყვალბადების მოპოვების მოცულობების გათვალისწინებით, ენერგოშემცველების იმპორტიორი ქვეყნები იმავე ენერგორესურსებზე კონკურენტები ხდებიან, მაგალითად რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი და კასპიის ზღვის რეგიონი. ამდენად, ენერგოფექტურობა წარმოადგენს ინტერესის საგანს ყველა იმპორტიორი ქვეყნისათვის და ეს საკითხები უნდა გაერთიანდეს ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების გლობალურ სტრატეგიაში. დიაგრამაზე 3.7 მოცემულია ენერგიაზე მოთხოვნა ევროკავშირში, რაც ნაწილობრივ კმაყოფილდება ენერგოფექტურობის პოლიტიკის შემოღებით. 3.7 დიაგრამაზე მოცემული ტერმინით “ნეგაჯოული”, აღინიშნება 1971 წელთან შედარებით ენერგოფექტურობის ღონისძიებების შედეგად დაზოგილ ენერგია

**Development of primary energy demand and of "negajoules" (EU-25)**



#### ნახ.3.3. ენერგიაზე მოთხოვნა უკროკავშირის ქვეყნებში<sup>4</sup>

<sup>4</sup> The Green Paper on Energy Efficiency; [http://ec.europa.eu/energy/efficiency/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/energy/efficiency/index_en.htm)

### 3.3.1. ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის მიმოხილვა

ევროკავშირის წევრი ქვეყნები მუშაობენ ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებაზე ეკონომიკის ყველა დარგში და საყოფაცხოვრებო სექტორში და იმავდროულად ზრდიან ენერგიის გამომუშვებას განახლებადი ენერგიების წყაროების გამოყენებით. 2007 წლის დასაწყისში, ევროკავშირმა. დაბალი ენერგონტრნიულობის ეკონომიკის განვითარებისთვის, შეიმუშავა ახალი ენერგეტიკული პოლიტიკა, 2007 წლის 8-9 მარტს, ევროკავშირის ქვეყნების პრემიერ- მინისტრები შეთანხმდნენ ევროპის ახალ ენერგეტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებით (EU-27) და მიზნად დაისახეს 2020 წლისათვის ენერგიის მთელ მოხმარებაში განახლებადი ენერგიის გამოყენების წილის 20%-მდე გაზრდა. ისინი ასევე შეთანხმდნენ 2020 წლამდე, სათბური გაზის ემისიების 30%-იან, ხოლო 2050 წლისათვის 60-80%-იან შეცირებაზე, იმ პირობით რომ სხვა ქვეყნებიც ასევე მიიღებენ აღნიშნულში მონაწილეობას. ისინი ასევე შეთანხმდნენ გააძლიერონ თანამშრომლობა ოთხი მაღალი პრიორიტეტის ტრანსევროპულ ქსელში, გააუმჯობესონ შიდა ენერგობაზრების ფუნქციონირება, ენერგიის მწარმებელი და გადამცემი კომპანიების უკეთესად გამიჯვნით, გაზარდონ ენერგომომარაგების უსაფრთხოება და ითანამშრომლონ ენერგიის სხვა იმპორტიორ ქვეყნებთან, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების წყაროების გამოყენების საკითხებში.

ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს ყველაზე უფრო ეფექტურ გზას არსებული ენერგეტიკული პრობლემების მოსავარებლად, რასაც ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო იზიარებს. ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანების მიღწევას ხელს უწყობს ბაზარზე დაფუძნებული ფინანსური ინსტრუმენტები, (ძირითადად გადასახადები, სუბსიდიები და CO<sub>2</sub> ემისის კვოტებით გაფრობის მექანიზმი) და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება.

ევროკომისის მიერ წარმოდგენილი ენერგეტიკული პაკეტი წარმოადგენს იმ მოძრაობის ნაწილს, რომელიც 2006 წლის მარტში დაიწყო მდგრადი, კონკურენტუნარიანი და უსაფრთხო ენერგიის შესახებ ევროკომისის მიერ მიღებული ენერგეტიკული სტრატეგიის განხორციელებით.

ევროკომისია მიმართავს წევრ ქვეყნებს გააკეთონ ყველაფერი, ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც სამ ძირითად მიზანს ეყრდნობა:

- **მდგრადობა** – აქტიური ბრძოლა კლიმატურ ცვლილებებთან განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის გამოყენებით;
- **კონკურენტუნარიანობა** – ევროპული ენერგოსისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება კონკურენტუნარიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის შექმნით;
- **ენერგიის მოწოდების უსაფრთხოება** – საერთაშორისო კონტექსტში ენერგიაზე მოთხოვნის და მოწოდების უკეთესი კოორდინირება.

2007 წლის ოქტომბერში, ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრებმა დაამტკიცეს ევროპის ენერგეტიკული პროგრამის გაგრძელება, რაც მიზნად ისახავს, 2007-2013 წლებში, მდგრადი ენერგიის განვითარების მხარდაჭერას. ამ პროგრამის წინა ნაწილი განხორციელდა 2003-2006 წლებში. ეს არის ევროკავშირის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი მიმართულების შექმნას და ყურადღების გამახვილებას ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების განვითარებას. პროგრამა მხარს უჭერს ენერგიის გამოყენების რაციონალურ, ეფექტურ და მდგრად მოდელებს და ადმინისტრაციული, საკომუნიკაციო და სხვა არა ტექნილოგიური ბარიერების მოხსნას. ამ თვალსაზრისით, მხარდაჭერა ექნებათ შემდეგ პროექტებს:

- ენერგეტიკული ტენდენციების სტრატეგიული კვლევები, სამომავლო საკანონმდებლო ზომების მოსამზადებლად, აგრეთვე სტანდარტების, ნიშანდების და სერტიფიცირების სისტემების შემუშავება;
- მდგრადი ენერგიის განვითარებისათვის სტრუქტურების და ინსტრუმენტების შექმნა, გაფართოება და რეორგანიზაცია, რაც მოცავს ადგილობრივი და რეგიონალური ენერგოსისტემების მართვას და ადექტური ფინანსური და საბაზო ინსტრუმენტების განვითარებას.
- მდგრადი ენერგოსისტემების და ტექნიკის განვითარებას, მათი გავრცელების ხელშესაწყობად და ინვესტიციების სტიმულირებისათვის.
- საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ტრენინგის სტრუქტურების განვითარება.
- ნოუ ჰაუს და საუკეთესო პრაქტიკის დაწერვის ხელშეწყობა.

### 3.3.2. ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პოლიტიკა აშშ-ში

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი, ენერგეტიკული რესურსებით სარგებლობას ოთხ ძირითად კატეგორიად ყოფის: ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო, კომერციული და სამრეწველო. ენერგოეფექტურობა აშშ-ში რეგულირდება, როგორც ფედერალურ ისე შტატის დონეზე, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის აღსანიშნავია აქტი ენერგოდაზოგვის ეროვნული პოლიტიკის შესახებ (1978წ), ენერგეტიკის საგადასახადო აქტი, რომელიც მიღებულია აშშ კონგრესის მიერ, როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის ნაწილი, ენერგოდაზოგვის აქტი (1987), რომელიც ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგოდაზოგვის 1975 წლის აქტის შემდეგ იქნა მიღებული და სხვადასხვა ენერგოეფექტურობის სტანდარტები. ბოლოდროინდელი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ხელს უწყობს ენერგოდაზოგვას და ენერგოეფექტურობას, არის ენერგეტიკული პოლიტიკის 2005 წლის აქტი, რომელიც წარმოადგენს ენერგოშემცველებზე მზარდი მოთხოვნილების პრობლემების მოვარების მცდელობას. ადგენს საგადასახადო შეღავათებს და სესხის გარანტიებს სხვადასხვა ტიპის ენერგეტიკულ პროდუქციაზე და მომსახურებაზე, მათ შორის:

- ამტკიცებს სესხის გარანტიას სათბური გაზების შემცირებისკენ მიმართულ ისეთ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, როგორებიც არის თანამედრო ტიპის ატომური რეაქტორები (PBMR), ნახშირის გამოყენების ”სუფთა ტექნოლოგიები” და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება;
- ხელს უწყობს ბიოსათბობის (ეთანოლის) წარმოების ზრდას, რომელსაც ურევენ ავტომობილების საწვავში. 2012წლისათვის ეთანოლზე მოთხოვნა 3-ჯერ გაიზრდება და 7.5 მილიარდი გალონს მიღწევს.
- უზრუნველყოფს საგადასახადო შეღავათებს მათთვის ვინც სახლებში განახორციელებს ენერგოდაზოგვის გაუმჯობესებებს; ადგენს საიმედობის ფედერალურ სტანდარტებს, რომლებიც არეგულირებენ ელექტროენერგეტიკული ფუნქციონირებას.

ენერგეტიკული პოლიტიკის აქტი № 2995 ადგენს შემდეგ საგადასახადო შეღავათებს:

- 1.3 მიღიარდი აშშ დოლარი ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვისათვის;
- 1.3 მიღიარდი აშშ დოლარი ალტერნატივული ავტომობილების და საწვავის (ეთანოლი, მეთანი, თხევადი გაზი, პროპანი) შექმნისა და გავრცელებისათვის.

აქტი ასევე შეიცავს ხელშემწყობ და წამახალისებელ დებულებებს იმ შენობებისათვის, რომლებიც ახორციელებენ თავიანთი ენერგოსისტების გაუმჯობესებას. 2006 და 2007 წელს განხორციელებულ ენერგეტიკულ პროექტებზე, ვრცელდება საგადასახადო გამოქვითვები 1.80 აშშ დოლარის ოდენობით კვადრატულ ფუტზე (19.38 აშშ დოლარი კვადრატულ მეტრზე). წამახალისებელი ზომები აქცენტირებულია შენობების განათების, გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების ენერგოუფექტურობის გაუმჯობესებაზე. მიღწეული შედეგები დარღება ASHRAE 2001 (გათბობის, გაციების და კონდიცირების ინჟინერთა ამერიკული ასოციაცია) სტანდარტებს. ამ პროგრამის მიზანია 20 წელიწადში ყველა შენობა გახადოს მაქსიმალურად ენერგოუფექტური. კომერციული შენობების საგადასახადო გამოქვითვები, შეიძლება გამოყენებული იქნეს ენერგოუფექტურობის ამაღლებისათვის გაწეული ინვესტიციების ამონაგების პერიოდის გასაუმჯობესებლად. ენერგეტიკული პოლიტიკა მთლიანად იმართება აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის, ენერგოუფექტურობის და განახლებადი ენერგიების ოფისის მიერ, რომელიც ამჟამად ზედამხედველობს ისეთ ფედერალურ პროგრამებს, რომორიცაა: ენერგოუფექტური შენობების ტექნოლოგიების დანერგვის მრავალწლიანი პროგრამა, თბოიზოლაციის გაუმჯობესების პროგრამა, ენერგოსისტემის მართვის ფედერალური პროგრამა, ენერგოსკოლების დაარსების პროგრამა.

ენერგოუფექტური შენობების ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამის ფარგლებში, 2015 წლისათვის დაგეგმილია დაახლოებით 15 მილიონი ენერგოუფექტური შენობის პროექტირება, მშენებლობა და ექსპლუოტაციაში მიღება.

ენერგოუფექტური შენობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს ან კომერციულ ნაგებობას, რომლის ენერგეტიკული მოთხოვნილება მინიმუმადებული შემცირებული და ისიც დაკმაყოფილებულია ენერგიის განახლებადი წყაროების მაქსიმალური გამოყენების ხარჯზე. გრძელვადიანი ენერგოუფექტურობის მიზნების მიღწევა დამოკიდებულია არა მხოლოდ არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ ახალი ტექნოლოგიების და გადაწყვეტილებების მიღებაზე, განსაკუთრებით კი განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გამოყენებაზე. სპეციალური სამშენებლო პროგრამა რომელიც მიზნად ისახავს საყოფაცხოვრებო მოწყობილობისა და კომერციული ტექნიკისათვის მინიმალური ენერგოუფექტურობის სტანდარტების დადგენას, მოიცავს 17 ტიპის საყოფაცხოვრებო და 11 ტიპის კომერციულ ტექნიკას. კომპანია Building America ხელს უწყობს ამ პროგრამის განხორციელებას, რომლის შედეგადაც სახლები 70%-ით ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და თანაც უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ იზრდება სამშენებლო ღირებულება. ამ კომპანიის სახლები შენდება ენერგოდამზოგი მასალების და სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენებით. “მშენებლობის ენერგოდაზოგვის კოდექსი” ხელს უწყობს ენერგოუფექტური სახლების მშენებლობას.

ენერგოდაზოგვის პროგრამა ეხმარება განახლებადი ენერგიების და ენერგოუფექტურობის ტექნოლოგიების განვითარებას აშშ-ში და მთელ მსოფლიოში. მიზნის მისაღწევად, პროგრამა გადაწყვეტილების მიმღებებისთვის, სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებისთვის, ინდიელი ტომებისთვის, და სხვა ქვეყნებისთვის უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, იმის დასაღენად, თუ რა ტიპის განახლებადი ენერგია და ენერგოუფექტურობის ტექნოლოგიაა მათთვის მისაღები.

ენერგეტიკის დეპარტამენტი, სპეციალური ვებგვერდის საშუალებით ავრცელებს ინფორმაციას ენერგოდაზოგვის მეთოდებისა, ახალი ტექნოლოგიების, სამშენებლო მასალების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და მათი გამოყენების მომგებიანობის შესახებ,<sup>5</sup> ამასთან ერთადის

<sup>5</sup> <http://www1.eere.energy.gov/consumer/tips/index.html>

აწვდის უახლეს ინფორმაციას ასევე სუფთა, განახლებადი ენერგიის გამოყენების შესახებ, ექმარება სახლების მფლობელებს დაძლიონ საწვავის მაღალი ფასები, ასევე ავტომობილის მართვის და მოვლა-შენახვის შესახებ სასარგებლო რჩევებს. ზოგიერთი ამ რჩევათაგანი მარტივად შესასრულებელია. სხვები საჭიროებრ უფრო მეტ ძალისხმევას და ინვესტირებას.

### 3.3.3. ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის პოლიტიკა იაპონიაში

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის იაპონიას ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის საკითხებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იაპონიაში არ იყენებენ ტერმინს “ენერგოეფექტურობა”. მის ნაცვლად ოფიციალურ დოკუმენტებში და სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში, გამოყენებულია ტერმინი “ენერგოკონსერვაცია” (ენერგოდაზოგვა) ან ენერგიის რაციონალური გამოყენება.

იაპონიის ენერგოდაზოგვის პოლიტიკა, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, მკაცრად რეგულირდება მთავრობის მიერ მთავრობა უპირატესობას ანიჭებს განახორციელოს ენერგოკონსერვაციის ღონისძიებები, როგორც მრეწველობაში ისე საყოფაცხოვრებო სექტორში, ვიდრე გამოიყენოს დარწმუნების მექანიზმები, ფინანსური და სხვა სტიმულები, თუმცა ამგვარი ზომებიც ფართოდ გამოიყენება. ენერგოკონსერვაციის ყველა საკითხს აკონტროლებს ბუნებრივი რესურსების სააგენტო და საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. იაპონიის ენერგოკონსერვაციის პოლიტიკა მუშავდება ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის საკონსულტაციო კომიტეტის მიერ. ენერგოკონსერვაციის ცენტრი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ენერგოკონსერვაციის პოლიტიკის დაგეგმვაში და განხორციელებაში, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ენერგიის ეფექტური გამოყენების, გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად. ცენტრში ოფიციალურად დასაქმებულია 122 პირი, 2005 წელს, ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 4, 527 მილიონ იენს. ყველა მნიშვნელოვანი იაპონური კორპორაციების ლიდერები მსახურობენ ცენტრის დირექტორთა საბჭოში.

ენერგოეფექტურობის პოლიტიკის პრინციპები ჩამოყალიბებულია ენერგიის რაციონალური გამოყენების ფუნდამენტურ პრინციპებში (მიღებულია 1993 წელს) და მოქმედებს ენერგიის რაციონალური გამოყენების შესახებ კანონთან ერთად (ჩვეულებრივ ცნობილი როგორც ენერგიის კონსერვაციის შესახებ კანონი), რომელიც მიღებულია 1979 წელს. კანონს საფუძვლად დაედო ორი გლობალური ნავთობ კრიზისი და მიზნად ისახავს ენერგიის კონსერვაციის ინიციატივის სტიმულირებას ენერგიაზე მთლიანი მოთხოვნის შესამცირებლად. ზემოხსენებულ კანონებს აძლიერებს კანონი ენერგიის კონსერვაციისა და გადამუშავების მხარდაჭერის შესახებ, რომელიც შემუშავდა ბიზნეს ოპერატორების დასახმარებლად, რომლებიც ნებაყოფლობით ახორციელებნ ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების რაციონალიზაციის პროექტებს. ამჟამად ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ხერხემალს იაპონიაში (მოხმარების თვალსაზრისით) ქმნიან შემდეგი ენერგოკონსერვაციის ღონისძიებები:

- კომერციული სექტორი – ენერგოდამზოგველი ღონისძიებების გატარების შესახებ ანგარიშის წარდგენა სავალდებულოა აზლად აშენებული ან გადაკეთებული შენობებისათვის (არა საცხოვრებელი). ამგვარი ანგარიშის წარდგენა სავალდებულოა ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოებისათვის.
- საცხოვრებელი სახლები და შენობები – კლიენტები, რომლებიც ცვლიან შენობებს და შენობების მფლობელები, გადიან ინსტრუქტაჟებს ან იღებენ რეკომენდაციებს შენობების პროექტირებასთან, მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. მიწის, ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის სამინისტრო აქვეყნებს ინსტრუქციებს საცხოვრებელი ფართის პროექტთან დაკავშირებით. 2,000 მ2 ან უფრო დიდი ფართობის

შენობების მშენებლებმა შესაბამის ორგანოებს, უნდა წარუდგინონ ცნობა ენერგოდამზოგველი ზომების გამოყენების შესახებ.


- **მაღალეფექტური ობიექტების დანერგვის ხელშეწყობა** (სუბსიდიები, საგადასახადო სისტემები, სესხები), ორიენტირებულია ენერგოდამზოგველი ობიექტების დანერგვაზე; განსაკუთრებით ენერგოდამზოგი კონდიციონერების და განათების საშუალებების დანერგვაზე კომერციულ სექტორში. იგი ასევე უზრუნველყოფს დაბალპროცენტიანი სესხების მიღებას იმ ბიზნესისათვის, რომელსაც წვლილი შეაქვს ენერგოკონსერვაციაში, კერძოდ ენერგოდამზოგი ტექნიკის შემოტანით და ენერგოდამზოგველი ბიზნესით.
- **იაპონიის Top Runner სტანდარტი.** იაპონიაში, როგორც ენერგოკონსერვაციის პროგრამის ძირითადი კომპონენტი საყოფაცხოვრებო, კომერციული და ტრანსპორტირების სექტორებისათვის არის **Top Runner სტანდარტი**, რომელიც ტექნიკის და მოწყობილობების ენერგოეფექტურობის ამაღლების ხელშესაწყობად, შემოღებული იქნა 1999 წელს. **Top Runner** სისტემა ორიენტირებულია პროდუქციაზე, რომელსაც უმაღლესი ენერგოეფექტურობა ახასიათებს, და ადგენს სტანდარტულ ღირებულებებს ენერგომოხმარების შემდგომი შემცირების პოტენციალის მიზევით. სამიზნე სტანდარტული ღირებულებები ძალიან მაღალია. ენერგიის კონსერვაციის შესახებ კანონი ადგენს ნიშანდების სისტემას **Top Runner** ტექნიკისათვის, რაც მყიდველს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია ტექნიკის და მოწყობილობების ენერგომოხმარების ეფექტურობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პროდუქციის ფასები, რომლებიც სცილდება სტანდარტულ ღირებულებას მაღალია, მთავრობა ხელს უწყობს და ხალხი დადგებითად აფასებს, რადგან **Top Runner** ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე ძველი პროდუქციის.

სტანდარტები შედგება ეტალონური ტექნიკისა და მოწყობილობებისაგან; შეფასების სტანდარტების საგნებისაგან; სადემონსტრაციო ერთეულებისაგან; და ენერგიის მოხმარების ეფექტურობის შეფასების მეთოდებისაგან. შეფასების სტანდარტები მოიცავს სამიზნე კატეგორიებს, ფისკალურ წელს, სტანდარტულ ღირებულებებს და შეფასების მეთოდებს

### ენერგომომსახურების კომპანიები


#### ენერგომომსახურების კომპანიების ბიზნესის მხარდაჭერა

ენერგომომსახურების კომპანიები კლიენტებს თავაზობენ ენერგოდაზოგვის სრულ მომსახურებას. ბიზნესს ორი ფორმა აქვს: გარანტირებული დაზოგვის შესახებ ხელშეკრულება, სადაც მომხმარებელი იხდის ბიზნესის ღირებულებას და საზიარო დანაზოგის შეთანხმება, სადაც ენერგომომსახურების კომპანია მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავს ენერგოდაზოგვასთან დაკავშირებულ პირველად ხარჯებს და შემდეგ ენერგოდაზოგვით მიღებულ სარგებელს, იყოფს კლიენტთან ერთად.



**სურათი 3.4. ენერგომომსახურების კომპანიების მხარდაჭერა და ბაზრის ბასტაბები.**  
 წყარო: <http://www.eccj.or.jp/eng/e3209esco.html>

ბოლო წლებში, ენერგომომსახურებასთან დაკავშირებული ბაზრები სწრაფ ვითარდება (2002 ფისკალური წელი, შესყიდვის განკარგულება: დაახ. 51.5 მილიარდი იენი). კვლევის მიხედვით მისი პოტენციური ბაზრის ზომა შეადგენს 2.470 მილიარდ იენს (წყარო: The ECCJ's ESCO Introduction Promotion Study Group Report). აშშ-ში 2000 წელს ენერგომომსახურების ბიზნესმა დაახლ. 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.




**სურათი 3.5. ენერგომომსახურების კომპანიების ბიზნესის განვითარება იაპონიაში,**  
წყარო: <http://www.eccj.or.jp/eng/e3209esco.html>

სეადასხავა ქვეყნებში არსებობს ენერგომომსახურების კომპანიების ბიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა გზა. საწყისი ინვესტიციების ნაწილობრივი სუბსიდირებით და დაბალპროცენტიანი სესხებით. ეს დახმარება ვრცელდება კერძო საწარმოებზე, რომლებიც ეწევიან ენერგომომსახურების ბიზნესს. ენერგომომსახურების კომპანიების პროექტის მოღელი შეიძლება შემოღებული იქნეს მშენებლობაში, მაგ METI შენობა 2004 წლის შემდგომ<sup>6</sup>.

<sup>6</sup> იაპონიის ეკონომიკის, გაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო

### Example of ESCO business introduction (at a hospital)



**Energy conservation effect by the introduction of ESCO:**  
**Approx. 25%**

სურათი 3.6 ენერგო მომსახურების კომპანიების ბიზნესის მავალითი სავადმყოფოში,  
წყარო: <http://www.eccj.or.jp/eng/e3209esco.html>

#### 3.3.4. ენერგო ეფექტურობა ბულგარეთში

ბულგარეთი წარმოადგენს კარგ მავალითს, თუ როგორ შეუძლია ყოფილ სოციალისტური ბანაკის ქვეყანას, ენერგოეფექტურობის ამაღლებისთვის, შექმნას სრულყოფილი სამართლებრივი გარემო, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც რომ ეს პროცესი დიდწილად სტიმულირებული იყო ევროკავშირის ძალისხმევით. ევროკავშირმა ბულგარეთის, როგორც ევროკავშირის პოტენციური წევრი ქვეყნის მიმართ წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნათა შორის, ჩართო ენერგოეფექტურობის საკითხებიც. ამიტომ ენერგოეფექტიანობის განვითარების დაგეგმვა და განხორციელება აქ უფრო ადვილი იყო ვიდრე სხვა პოსტ სოციალისტურ ან პოსტ საბჭოთა ქვეყნებში რომლებიც ევროკავშირის წევრობის რეალურ კანდიდატებად ჯერ არ მოიაზრებიან.

ბულგარეთში ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები რეგულირდება რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტებით, მათ შორის ენერგეტიკული აქტით, რომელიც მიღებულია 2003 წლის 3 დეკემბერს, მასში 2004 და 2005 წელს (ორჯერ) და 2006 წელს (სამჯერ)<sup>7</sup> შეტანილია ცვლილებები. ეს აქტი არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ენერგიის წარმოების, იმპორტის და ექსპორტის, გატარების, ტრანზიტის,

<sup>7</sup> <http://www.mi.govtment.bg/eng/norm/rdocs/mdoc.html?id=212967>

განაწილების, გათბობის, ბუნებრივი გაზის, ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების მიღსადებში გატარების, ელექტროენერგიით, გათბობით და ბუნებრივი გაზით ვაჭრობის და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების საკითხებთან, ასევე სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებას ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების, რეგულირების და კონტროლის მხრივ.

ამ აქტის მთავარ მიზანებს წარმოადგენს:

- ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის განვითარება და ენერგოუსაფრთხოების ამაღლება ენერგიის ეფექტური გამოყენების გზით.
- განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების მდგრადი განვითარება, რაც გარემოსდაცვითი ინტერესებიდან გამომდინარე მოიცავს ელექტროენერგიის წარმოებას ენერგიის განახლებადი რესურსებიდან;
- ეროვნული გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ხელშესაწყობად;
- მინისტრთა საბჭოს წინაშე ენერგოეფექტიანობის პროგრამის წარდგენა;
- ეროვნული ინდიკატური მიზნების ჩამოყალიბება განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის მიღების შესახებ და დასამტკიცებლად მინისტრთა საბჭოსთვის წარდგენა;
- წლიური ანგარიშის მომზადება ამგვარი მიზნების მიღწევის შესახებ, შესაბამისობის ხარისხის დაფიქსირება იმ ღონისძიებებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდა კლიმატის ცვლილებების პრევენციის მიზნით.

კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ მიღებული იქნა 2004 წელს. 2006 და 2007 წლებში მასში შეტანილი იქნა ცვლილებები. იგი არეგულირებს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ენერგოეფექტიანობის მხარდაჭერის და ენერგოეფექტური მომსახურების გაწევის სფეროში<sup>8</sup>.

კანონის მიზანს წარმოადგენს, სისტემური ზომების გატარებით, ენერგოეფექტურობის წახალისება, სახელწიფო, სამრეწველო, რეგიონალური და მუნიციპალურ ღონებზე, რაც წარმოადგენს ძირითად ფაქტორს ეკონომიკის, ენერგომომარაგების კონკურენტუნარიანობის გაზრდის და გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტრო პასუხისმგებელია ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებაზე. ეს სამინისტროებუ შეიმუშავებენ ბულგარეთის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პოლიტიკას. რომელთა მიზანს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის და ენერგეტიკის სექტორებში კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ინვესტიციების, სიახლეების, მეწარმეობის, ექსპორტის, საწარმო ბაზის მოდერნიზაციის წახალისება და მრეწველობაში ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების სტიმულირება და ენერგიის განახლებადი რესურსების გამოყენება<sup>9</sup>. ენერგეტიკის სამინისტრო მოქმედებს ენერგოეფექტურობის სააგენტოს მეშვეობით – ეს არის საბიუჯეტო დოტაციის აღმასრულებელი სააგენტო.<sup>10</sup> სააგენტო შეიმუშავებს პროგრამებს და პროექტებს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ელექტროენერგიის და სითბოს გამოსამუშავებლად, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. ის კოორდინირებას უწევს ენერგოეფექტურობის პროგრამებს და ანალიზს უკეთებს პროექტებს ენერგეტიკული ბალანსის მომზადებასთან დაკავშირებით.

ენერგოეფექტურობის სააგენტოს პრიორიტეტებია:

<sup>8</sup> <http://www.mi.govtment.bg/eng/norm/rdocs/mdoc.html?id=212967>

<sup>9</sup> <http://www.mi.govtment.bg/eng/>

<sup>10</sup> [http://www.seea.govtment.bg/index\\_en.php](http://www.seea.govtment.bg/index_en.php)

- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;
- ბუნებრივი გაზით მომარაგების გაუმჯობესება;
- ენერგოეფექტურობის ფონდის საკანონმდებლო რეგულირება;
- ბულგარეთის ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის პარმონიზაცია ევროპულთან;
- ენერგოეფექტურობის განვითარების ფინანსური შხარდაჭერა;

სააგენტოს საქმიანობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს პროგრამა “პარტნიორობა ევროკავშირში შესასვლელად”, რაც ითვალისწინებს:

- ბულგარეთის მომზადებას ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისათვის;
- კოპენჰაგენის 1993 წლის ეკონომიკური კრიტერიუმების განხორციელებას.
- ევროინტეგრაციას და მდგრად განვითარებას.

ბულგარეთის ენერგოეფექტურობის ფონდი დაარსდა ენერგოეფექტურობის აქტის საფუძველზე, რომელიც ბულგარეთის პარლამენტმა 2004 წელს მიიღო. ამ ფონდის საწყისი კაპიტალიზაცია გრანტებით განხორციელდა, მისი ძირითადი დონორები იყვნენ: გლობალური გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მეშვეობით – 10 მილიონი აშშ დოლარი, აგსტრიის მთავრობა – 1.5 მილიონი ევრო. ბულგარეთის მთავრობა 1.5 მილიონი ევრო და ზოგიერთი კერძო კომპანია<sup>11</sup>. ფონდი წარმოადგენს სესხის გამცემ და კრედიტის საგარანტიო უწყებას. იგი ამავე დროს არის საკონსულტაციო კომპანია და ტექნიკურ დახმარებას უწევს ბულგარულ საწარმოებს, მუნიციპალიტეტებს და კერძო პირებს ენერგოეფექტურობის საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში და უზრუნველყოფს მათ ფინანსური დახმარებით, თანადაფინანსებით ან ასრულებს სხვა ფინანსური დაწესებულებების წინაშე გარანტის როლს.

ამ ფონდის მუშაობა აგებულია სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობის პრინციპებზე. მას სრული მხარდაჭერა აქვს ბულგარეთის მთავრობის მხრიდან, მაგრამ ამავე დროს მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი და დამოუკუდებელია მთავრობისაგან.

დღესდღობით ფონდმა დაასრულა სამი პროექტი სამშენებლო სექტორში, ორი მოიცავს შენობების თბოიზოლაციას, ერთი თბოიზოლაციას და გათბობის სისტემის დამონტაჟებას. ერთი მსგავსი პროექტი განხორციელების ფაზაშია. ასევე განხორციელდა ორი პროექტი ქუჩის განათებების გასაუმჯობესებლად. ფონდი რეგულარულად ატარებს სემინარებს ენერგოეფექტურობის შესახებ. ყველა ეს პროექტი ხორციელდება ტენდერების საფუძველზე შერჩეული ენერგომომსახურების კომპანიების მიერ.

### 3.4. ენერგოეფექტური მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება

#### 3.4.1. ენერგოეფექტური შენობების პროექტირება და მშენებლობა

მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა შენობების ენერგოეფექტურობის საკუთარი სტანდარტები. ე.წ. “მწვანე შენობა” გულისხმობს შენობების მიერ ენერგიის, მოხმარების ეფექტურობის გაზრდას და მშენებლობის მავნე ზეგავლენის შემცირებას ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე,

<sup>11</sup> <http://www.bgeef.com/display.aspx>

უკეთესი პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციის, ექსპლუატაციის გზით, შენობის  
მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოეფექტური შენობის მრავალი აღტერნატიული პროექტი  
არსებობს, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგალითად: თბორეზისტენტულობის მაღალი  
მაჩვენებელი, კონტროლირებადი ვენტილაცია, გათბობის და გაგრილების დაბალი ხარჯები.  
შენობის ელემენტების და სამშენებლო ტექნიკის, გათბობის, ვენტილაციის, გაგრილების  
სისტემების ბოლოდროინდელმა პროგრესმა, შენობების პროექტირებაში, შესაძლებელი გახდა  
ყველაზე უფრო თანამედროვა ენერგოდაზოგვის იდეების განხორციელება, კომფორტის,  
ჯანმრთელობის ან ესთეტურობის დაუზარალებლად. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ამგვარი  
ტექნოლოგიის ჩამონათვალი:

- სტრუქტურული თბოიზოლირებული პანელები;
- თბოიზოლირებული ბეტონის ფუნდამენტები;
- სითბოს აღმდგენი ვენტილაციის სისტემები;
- იატაკებები გათბობა;
- დალუქელი წვის ბოილერები;
- ენერგოეფექტური ფანჯრები;
- დღის განათება;
- ჰელიო სისტემები;

### პასიური მზის სისტემის გათბობა

სტრუქტურული თბოიზოლაციური პანელები შედგება ორი ნაწილისაგან. შიდა ნაწილი მყარი  
ქაფის იზოლაცითა დამაგრებული. შედეგად ვიღებთ მყარ პანელს. სტანდარტული ზომა არის  
4,15X24 ზე (122-723 სმ). შენობის პროექტიდან გამომდინარე, შეიძლება მისი გაჭრა.  
პანელი რეალურად ენაცვლება შენობის კარკასში მოქცეულ ჭიშართა სისტემას, მას  
შეუძლია გაგრილების და გათბობის დატვირთვის 50%-ის შემცირება.

გარე კედლები ისევე კარგად უნდა იყოს თერმოიზოლირებული, როგორც შიდა ტიხრები.  
არასაქმარისად თბოიზოლირებულ გარე კედლებს უარყოფითი ზეგავლენა აქვთ ენერგიის  
გამოყენებაზე და კომფორტზე, განსაკუთრებით კი მაშინ თუ ოჯახი საცხოვრებლად  
გამოიყენებს სახლის ქვედა ნაწილს.

ინტენსიურად გამოიყენება სითბოს აღმდგენი სავენტილაციო სისტემა ან ენერგიის აღმდგენი  
ვენტილატორები, ისინი ზოგავენ ენერგიის დაახლოებით 80% -ს, გამონაბოლქვი ჰაერიდან  
ენერგიის (სითბოს), ახალ შემომავალ ჰაერისთვის მიწოდების (გაცვლის) გზით, ეს  
მოწყობილობები დანადგარის შეგნითაა დამონტაჟებული. ისინი ჩვეულებრივ მიმაგრებულია  
ჰაერის ცენტრალურ სისტემასთან, მაგრამ შეიძლება დამონტაჟებული იყოს  
დამოუკიდებლადაც. ასეთ სახლებს ესაჭიროებათ უფრო მცირე გათბობის სისტემები  
(14,65კვტ/სთ-ზე ნაკლები ძალზე ცივ კლიმატშიც კი). ზოგიერთი სახლისთვის მზის  
ენერგიაა, ენერგიის ძირითადი წყაროა. ასევე პოპულარული ხდება იატაკის გათბობა  
სტანდარტულ გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლით, მცირე ბოილერით, ღუმელით ან  
ელექტროგათბობით.

იატაკის გათბობის სამი ტიპი არსებობს:

- ჰაერი;
- ელექტროგათბობით
- ცხელი წყლით

თატაკის წყლით გათბობის დროს წყლის ტემპერატურა  $40-50^{\circ}\text{C}$  ჭოლია, რაც უფრო დაბალია ვიდრე ჩვეულებრივ სისტემებში. ეს ნიშნავს, რომ თატაკებისა გათბობის გამოყენება ალტერნატიულ ენერგორესურსების გამოყენებით მეტად ეფექტურია.




**სურათი 3.7. თანამედროვე თატაკების გათბობის სისტემის მიღები ღდება თატაკში, ჩვეულებრივ მყარზედაპირიან თატაკში.<sup>12</sup>**

დამატებითი კედლის ძირითადი არსი მდგომარეობს, თბური მასის კედელში დაფიქსირებაში. ეს ქმნის სითბოს დიდ მარაგს. ქვის კედელი შენდება ფანჯრებიანი კედლის უკან. კედელი ნელ ნელა შთანთქავს მზის ენერგიას. ღამით, როდესაც საჭიროა გათბობა, ონკანები იღება კედლის თავში და ბოლოში და ხდება ჰაერის ცირკულაცია. აღნიშნულ სისტემას არ ჭირდება მექანიკური ნაწილება და შეუძლია გათბობის 20%-ის დაკმაყოფილება. კედელს რამდენიმე საათი სჭირდება გასათბობად, დრო დამოკიდებულია მასის ზომაზე. ტიპიური  $10''$ <sup>13</sup> ბეტონის კედელს ესაჭიროება დაახლ 8-9 საათი გასათბობად. ღამით, როდესაც კედელი გრილდება სითბო გადადის საცხოვრებელ ფართზე.

არსებობს კედლის გათბობის სისტემის მრავალი ვარიაცია, სითბური მასის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. წყალი ერთ-ერთი ალტერნატივაა, რომელსაც სითბოს შენახვის კარგი თვისებები გააჩნია. ასევე შესაძლებელია კედელში, ფაზის შემცვლელი მასალების დამონტაჟება. ამ მასალებს აქვთ უნარი გათბობის შემთხვევაში, მყარი მასა გარდაქმნან თხევადად,. ფაზის შეცვლის პროცესში სითბოს დიდი ნაწილის შთანთქმა ხდება მასალაში, როდესაც მასალა გრილდება და უბრუნდება საწყის ფორმას, შენახული ენერგია გამოთავისუფლდება. ეს კარგი გზაა სითბური მასის შესამცირებლად და შენახული ენერგიის რაოდენობის გასაზრდელად.

<sup>12</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Underfloor\\_heating](http://en.wikipedia.org/wiki/Underfloor_heating)

<sup>13</sup> "-inch= 2,54 centimeters



სურათი 8. დამატებითი კედელი – პასიური მზის ენერგიით გათბობა (სქემა და სურათი).  
წყარო:<sup>14;</sup> <sup>15</sup>


### ენერგოეფექტური ფანჯრები

სახლი საშუალოდ სითბოს ან კონდიცირებული ჰაერის 30% კარგავს ფანჯრებიდან ასე რომ ფანჯრების არჩევას რალური ზეგავლენა აქვს გათბობის და გაგრილების ხარჯებზე.. ენერგოეფექტური ფანჯრები ზოგაც ენერგიას ე.ი. ზოგაც ფულს. ენერგეფექტური ფანჯრებში ჩადებული ინვესტიციის ამონაგების პერიოდი ვარირებს ორიდან ათ წლამდე. ენერგეფექტური ფანჯრების საწყისი ღირებულება, ნაწილობრივ კომპენსირდება შედარებით ნაკლები სიმძლავრის, ე.ი ნაკლები ღირებულების გაგრილების და გათბობის სისტემის გამოყენების ხარჯზე, რის საშუალებასაც სწორედ ენერგოეფექტური ფანჯრების გამოყენება იძლევა.

ორმაგ მინიანი ფანჯრები აკავებენ დაბალი თბოგამტარობის გაზს არგონს. ენერგოეფექტური შემინვა ამცირებს ზამთრის კონდენსაციას. მინის დაბალი ტემპერატურა იწვევს დაორთქვლას. ქვემოთ მოყვანილი სქემა უჩვეულებელი იმ ეტაპებს როდესაც შიდა ტენიანობა და გარეთა ტემპერატურე იწვებს სხვადასვა ტიპის მინების კონდენსაციას. ეს სქემა ეფუძნება მინის ცენტრში არსებულ მაღალ, და ნაპირებში არსებულ დაბალ ტემპერატურას საიდანაც ჩვეულებრივ იწყება კონდენსაცია.

<sup>14</sup> [http://www.energyefficientbuildingtechnologies.com/Trombe\\_wall\\_2.jpg](http://www.energyefficientbuildingtechnologies.com/Trombe_wall_2.jpg)

<sup>15</sup> [http://www.energyefficientbuildingtechnologies.com/trombe\\_wall\\_3.jpg](http://www.energyefficientbuildingtechnologies.com/trombe_wall_3.jpg)



### დიაგრამა 9. ფანჯრების არჩევას რეალური ზეგავლენა აქვს გათბობა-გავრილების ხარჯებზე

ჩარჩოს მასალები ასევე ზეგავლენას ახდენენ ენერგიის დაზოგვაზე. დიდი განსხვავება არსებობს ჩვეულებრივი ჩარჩოს მასალების საიზოლაციო ღურებულებაში. არსებობს ტიპიური თბოგადაცემის ღირებულება რაც საერთოა ჩარჩოების მასალებისათვის:

#### ჩარჩოს მასალა

ალუმინი (თბოიზოლირების გარეშე)	
ალუმინი (თბოიზოლირებით)	
ალუმინი ვინილით	
ზე და ვინილი	
გაძლიერებული ვინილი/ბოჭკოვანი მინა	

#### თბოგადაცემის ღირებულება

1.9-2.2
1.0
0.4-0.6
0.3 - 0.5
0.2 - 0.3

#### ენერგოეფექტური განათება

ელექტროგანათების ხარჯები შეადგენს ოჯახის ენერგეტიკული ბიუჯეტის დაახლოებით 25%-ს. კომპაქტურმა ფლუროსცენტულმა განათებამ და სინათლის გამომცემმა დიოდის ნათურებმა ენერგოფექტურობაში რევოლუციური სიახლე შემოიტანეს.


კომპაქტური ფლუროსცენტული ნათურები შესაძლებელია ჩაენაცვლოს ვარვარების ნათურებს, რომლებიც 3 – 4ჯერ მეტი სიმძლავრეს მოიხმარენ, რითაც განთებაზე დახარჯული ენერგიის 75% იზოგება. თუმცა კომპაქტური ფლუროსცენტული ნათურები უფრო ძვირი ღირს, ისინი 10-15 ჯერ უფრო დიდხანს ძლებენ. ამორი ლოვისმა Rocky Mountain Institute –დან

გამოიანგარიშა რომ 75 ვატიანი ვარვარების ნათურის ჩანაცვლება 18 ვატიანი კომპაქტური ფლუროსცენტული ნათურით (რაც იგივე რაოდენობის სინათლეს გამოსცემს), მისი გამოყენების მთელ პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით 1 ტონა კარბონ დიოქსიდის და 8 კილოგრამი სუპერ დიოქსიდის ემისია აღიკვეთება ატმოსფეროში, რასაც ემატება ელექტროენერგიის ხარჯების სერიოზული დანაზოგება.



**სურათი 3.10. სხვადასხვა კომპაქტური ფლუროსცენტული ნათურები**

სინათლის გამომცემი დიოდები ნაჩვენებია 3.11. სურათზე, ეს არის მცირე ზომის ნათურა რომელიც მეტად ენერგოეფექტურია. ბოლოდრონიდელმა ტექნოლოგიურმა გაუმჯობესებებმა შეამცირა ამ ნათურების ღირებულება, რამაც მათი გავრცელების ტემპები და არიალი გაზარდა. ამგვარი ნათურები ბევრად ეფექტურია ვიდრე 100 ვატიანი ვარვარების ნათურები, ხოლო თეთრი სინათლის გამომცემი დიოდები, ღამით სამჯერ უფრო ეფექტურია ვიდრე ვარვარების ნათურა. ამ ნათურების სამუშაო რესურსი ათი ათასობით საათის ტოლია, რაც უდიდესი გაუმჯობესებაა სხვა განათების ტექნოლოგიებთან შედარებით. ეს ნათურები რეზისტენტულია დარტყმის და სიცივის მიმართ და საუკეთესოა გარე განათებისათვის. 3-9 თეთრი სინათლის გამომცემი დიოდის ნათურები ეფექტურია მაგიდის ლამპებისათვის. 3 თეთრი სინათლის გამომცემი დიოდის ნათურები ერთად მხოლოდ 0.22 ვატის სიმძლავრისაა. ერთი ამგვარი ნათურა კარგად ანათებს გასასვლელებს და შეიძლება მუდმივად ჩართული იყოს. ასევე მათი გამოყენება შეიძლება ფანრებში.



**სურათი 3.11. ფოტო დიოდები**


### 3.4.2. ენერგოეფექტიანი ელექტროტექნიკა

საოჯახო ტექნიკა ენერგიის ჯამური მოხმარების 20 %-ს ხარჯავს. ახალი ტექნიკის შეძენისას, საჭიროა ორი ფაქტის გათვალისწინება.

- პირველი ეს არის შესასყიდი ფასი;
- მეორე არის ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები მისი გამოყენების მანძილზე.

მეორე ფასის გადახდა მოგიწევთ 10-20 წლის განმავლობაში ყოველთვიურად კომუნალური გადასახადების სახით. ენერგოეფექტური ტექნიკა უფრო ძვირი ღირს, მაგრამ დაბალი ენერგოდანახარჯები ახასიათებს.

თუ ადამიანები მხოლოდ EnergyStar® იარღიყის მქონე პროდუქტს იყიდიან, ამით დაზოგავენ ენერგოდანახარჯებს და ასევე შეამცირებენ სათბური გაზის ემისიებს დაახლოებით 30%-ით.



### სურათი 3.12. Energy guide იარღიყი.<sup>16</sup>

#### წყლის ეფექტური გათბობა

განვითარებულ ქვეყნებში, წყლის გათბობა ენერგოტევადობით მესამე საყოფაცხოვრებო ენერგოდანახარჯია. ის საშუალოდ შეადგენს კომუნალური გადახდების 14%-ს. არსებობს ოთხი გზა ამ დანახარჯების შესამცირებლად – ნაკლები ცხელი წყლის გამოყენება, წყლის გამათბობელის თერმოსტატის დაწევა, წყლის გამათბობელის და მიღების თბოიზოლაცია, ახალი, უფრო ენერგოფექტური წყლის გამათბობელის შემენა.

#### მენეჯმენტი

სათანადო შიდა მენეჯმენტის შეუძლია 30% ენერგიის დაზოგვა. საყოფაცხოვრებო დონეზე მენეჯმენტი მოიცავს:

- შიდა მენეჯმენტის კომიტეტების ან ჯგუფების დაარსებას;
- ენერგო მენეჯერების დანიშვნას;
- უსაფრთხოების საკითხებს;
- დანადგარების ექსპლოატაციის ეფექტურობის ამაღლებას.

#### კონტროლის სისტემა

ეს არის ენერგოდანადგარის მართვის ან რეგულირების საშუალება. იგი თანამედროვე შენობებში არეგულირებს ჰაერის პარამეტრებს (ტემპერატურა, ტენიანობა), და ინტეგრირებულია<sup>17</sup> გათბობის, გაგრილების და ვენტილაციის სისტემებთან. ამ კომპანენტების შექმნა HVAC<sup>18</sup> სისტემებში, მიმდინარეობს კონტროლის მაღალ ეფექტური სისტემის პარალელურად და მუდმივად ინერგება მთელს მსოფლიოში. ენერგიის დაახლობით 20% შეიძლება დაიზოგოს HVAC –ის სათანადო გამოყენებით.

#### რეგულირებად სიჩქარიანი ამძრავები<sup>19</sup>

<sup>16</sup> 3955551 images.lowes.com/product/050946/050946947891.pdf

<sup>17</sup> HAV- გათბობის და ვენტილაციის სისტემა

<sup>18</sup> HVAC-გათბობა, ენერგიის და ჰაერის კონდიცირება. მოიხსენება როგორც კლიმატ კონტროლი ვინაიდან გათბობის, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების სამი კომპონენტი მჭიდროდ დაკავშირებულია. ეს სისტემები უზრუნველყოფებ ვენტილაციას, ამცირებენ ჰაერის ინფილტრაციას, და ფართობებს შორის არეგულირებენ წნევას.

<sup>19</sup> <http://www.energy.wsu.edu/documents/engineering/motors/MotorDrvs.pdf>

ძრავების უმეტესობა გარკვეულ სიჩქარეზე ბრუნავს. თუმცა მუშაობის რეჯიმებიდან გამომდინარე, ზოგჯერ დაკლები სიჩქარეა საჭირო. სიჩქარის შენელებით ენერგიის მოხმარება მცირდება..

### შეშის ღუმელები

საქართველოში შეშის ღუმელების ტიპიური ეფექტურობა 35-40%-ია. ეს ნიშნავს რომ შეშის დაწვით მიღებული ენერგიების 60-65% იკარგება ატმოსფეროში. ენერგოეფექტური ღუმლების შექმნა გულისხმობს ამ ენერგიის უკეთ გამოყენებას და გამოყოფილი გაზების და სითბოს უფრო მეტი წილის დატოვებას თავად ღუმელში ან მის განურებულ ნაწილში. ასეთი ღუმლების ეფექტურობა 70-80%-ს შეადგენს. არსებობს ენერგოეფექტური ღუმლების მრავალი სხეობა. ქვემოთ, სურათ 3.22 მოცემულია საქართველოში წარმობული ზოგიერთი ღუმელი.



სურათი 3.13. საქართველოში წარმობული ღუმელები

ზემოხსენებული არ არის ტექნოლოგიების და ენერგოეფექტურობი ამაღლების ინსტრუმენტების ამომწურავი სია, რაც შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საქართველოში. თუმცა, აშკარაა რომ ენერგოეფექტურობის სფეროში, დიდი საერთაშორისო გამოცდილებაა დაგროვილი, რაც საქართველოსთვის სასარგებლო იქნება. საბოლოო არჩევანი უნდა გაკეთდეს საქართველოს შიდა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და საბაზრო პირობების, განვითარების პერსპექტივების და მიზნების ფონზე.

## თავი 4

### საქართველოს ენერგეტიკული ბალანსები

წინამდებარე თავში მოცემულია მასალა, რომელიც საჭიროა საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების და ენეგრიის განახლებადი რესურსების როლის განსაზღვრისათვის, როგორც მიმდინარე ეტაპზე ასევე პერსპექტივაში. კრებსით ენერგტიკულ ბალანსთან ერთად მოცემულია ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის ბალანსი სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისათვის, ასევე ნაჩვენებია ენერგიის მოხმარების დღევანდელი სტრუქტურა და განხილულია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები.

#### 4.1. 2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი

წინამდებარე კვლევაში ენერგეტიკული ბალანსისა და ენერგიის მოხმარების ანალიზი ემსახურება ორ მიზანს. პირველი – (1)შეფასდეს იმპორტირებული ენერგიის მნიშვნელობა საქართველოს ენერგეტიკული უზრუნველყოფის და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით; განისაზღვროს იმპორტირებულ ენერგეტიკულ რესურსებზე ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხი ენერგიის მოხმარების სეზონური ცვალებადობის გათვალისწინებით. მეორე, (2) სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვის გამოვლინდეს და შეფასდეს ენერგიის სხვადასხვა სახეობის მოხმარების და დაზოგვის შესაძლებლობები, რაც, ამავდროულად, პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

დღეისათვის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ არ მუშავდება და ქვეყნდება საქართველოს ყოველწლიური კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი. შესაბამისად, სათანადო მონაცემების და ინფორმაციის შეგსაგროვებლად საჭირო ხდება სხვადასხვა პირველადი წყაროების გამოყენება.


2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი საქართველოსთვის მოცემულია ცრილში 4.1 მონაცემები ეფუძნება სხვადასხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (საქართველო, საქავთობი, ნავთობის მწარმოებლების და იპორტიორთა ასოციაცია, სატყეო დეპარტამენტი და ა.შ.) წლიურ ანგარიშებს და წინასწარ მონაცემებს, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს სტატისტიკის დეპარტამენტის 2006 წლის ანგარიშში.

საქართველოს 2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი (ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი)											
#		ნახშ ირი	ნედლი ნავთობი	ნავთობ პროდუ ქტები	ბუნებ რ აირი	ჰიდრავლი კური ენერგია	განახლ ებადი	საუსე მასალა და ნარჩენ ები	ელექტროენე რგია	თბო ენერ გია	ჯამი
10	ადგილობრივი წარმოება	4	64		17	457	14	385			941
11	იმპორტი	3		792	1517				65		2377
12	ექსპორტი		-53	-3					-12		-68
13	მარაგის შევსება	-1	2	4	-3						2
15	პირველადი რესურსები $15=10+11-12-13$	6	13	793	1531	457	14	385	53	0	3252
20	თბოელექტროსად გურები, საქვაბეები			-6	-508	-457			638	32	-301
21	ნავთობის გადამამუშავბა		-13	12							-1
22	სხვა გარდაქმნები და დანაკარგები			-14	-346				-91		-451
30	ენერგიის მარაგი $30=15-20-21-22$	6	0	785	677		14	385	600	32	2499
40	სამრეწველო სექტორი $40=41+42+43+44$	2	0	92	167	0	0	0	116	12	389
41	მეტალურგია			3	5				43	3	54
42	ქიმია, ნავთობის ქიმია			17	27				36	3	83
43	არალითონური მასალები			15	18				13	2	48
44	სხვა პროდუქცია	2		57	117				24	4	204
50	ტრანსპორტი $50=51+52+53$	3		512	24				52	0	591
51	ავიაცია, ზღვაოსნობა			24	4				4		32
52	რკინიგზა და ავტოტრანსპორტი	3		448	14				36		501
53	სხვა ტრანსპორტი			40	6				12		58
60	სხვა სექტორები $60=61+62+63+64$	1		181	293		14	385	432	20	1326
61	სოფლის მეურნეობა			64	58		0	20	14	4	160
62	მომსახურება	1		16	28		6	24	16	16	107
63	ოჯახები			75	201		8	329	396	0	1009
64	სხვა			26	6		0	12	6	0	50
70	არაენერგეტიკული მოხმარება			0	193			0			193

ცხრილი 4.1 2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი

2006 წლის ენერგეტიკული ბალანსი არ არის ტიპიური, რადგან წლის დასაწყისში დროებით შეწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება რუსეთიდან, გაზაფხულზე კი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო გაჩერებული იყო ენერგეტიკული კიბელი გავიდა საპროგნოზო მაჩვენებლებზე.


საქართველოში ენერგიის მიწოდების/მოხმარების სტრუქტურა 2006 წლისათვის მოცემულია ნახ 4.1



#### **ნახ. 4.1. ენერგიის მიწოდების/მოხმარების სტრუქტურა**

2006 წლის ენერგეტიკული ბალანსი გვიჩვენებს ენერგიის მიწოდების და მოხმარების შემდეგ სტრუქტურულ სურათს:


- პირველადი ენერგიის მიწოდების 71% (47% ბუნებრივი აირი და 24% ნავთობი) მოდის იმპორტზე;
- შეშის მოხმარება თანაზომადია ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის;
- ენერგიის განახლებადი წყაროების (მცირე ჰესების გარდა) წილი ენერგეტიკულ ბალანსში უმნიშვნელოა და შეადგენს 0.5%;



**ნახ. 4.2. ენერგიის მოხმარება საქართველოში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)**

ენერგიის მოხმარების სტრუქტურა მოცემულია ნახ. 4.3-ზე, საიდანაც:

- საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (პერსონალური ტრანსპორტის ჩათვლით) გამოყენებული ენერგია შეადგენს ქვეყნაში ენერგიის საერთო მოხმარების 53%, რაც 3-ჯერ აღემატება სამრეწველო და 10-ჯერ - სამურნეო და მომსახურების სექტორებში ენერგიის ხარჯვის მაჩვენებელს;
- მნიშვნელოვანია ბუნებრივი აირის გარდაჭმის დანაკარგები (301 ათასი ტ.ნ.ე.). ის შესაძლებელია განახევრდეს თბოელექტროსადგურებში თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიების (კომბინირებულ და კოგენერაციულ ციკლი) გამოყენებით;



**ნახ. 4.3. საქართველოში სასარგებლობდ მოხმარებული ენერგიის სტრუქტურა**

ენერგიის მიწოდება ერთ სულ მოსახლეზე კილოგრამ ნავთობის ეკვივალენტში (kgoe) მოცემულია ცხრილში 4.2

	კგნე.	ბუნებრივი ერთეულები
ენერგიით (ჯამური)	მომარაგება	738
ბუნებრივი გაზით მომარაგება	348	427 მ <sup>3</sup> /წლ
ნავთობპროდუქტები	178	-
ელექტროენერგია	160	1863 კვტსთ/წლ

#### ცხრილი 4.2. ენერგიის მიწოდება ერთ სულ მოსახლეზე

ცხრილიდან ჩანს, რომ ენერგიის მიწოდება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში უფრო ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში<sup>1</sup>; ერთ სულ მოსახლაზე ენერგიის მოხმარების დაბალი დონე მიუთითებს ერთი მხრივ, ჩამორჩენაზე ეკონომიკის ენერგოტევადი დარგების განვითარებაში, მეორე მხრივ ზელსაყრელ კლიმატურ პირობებზე, თუმცა არ ცვლის ძირითად დასკვნას საქართველოში ენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალის არსებობის შესახებ.


## 4.2. ელექტროენერგიის ბალანსი

### 4.2.1. ელექტროენერგიის 2006 წლის ბალანსი

2006 წლის განმავლობაში ელექტროენერგიით ქვეყნის უზრუნველყოფის პროცესი არსებითად არ შეფერხებულა. შესაბამისად, ამ პერიოდის სურათი ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურისა და სეზონურობის თვალსაზრისით შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ტიპური სურათი საქართველოსთვის, მისი განვითარების მიმდინარე ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 1 ივნისიდან ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა, რითაც სავარაუდოა რომ რამდენადმე შეიცვალა ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა სხვადასხვა სამომხმარებლო ჯგუფებში. მიუხედავად იმისა, რომ არ ჩატარებულა აღნიშნული ცვლილების დეტალური ანალიზი, მაჯამებელი შედეგებიდან ჩანდა, რომ ამ ცვლილებით გამოწვეული ეფექტი არ იყო მნიშვნელოვანი. ამიტომ, ზუსტი შეფასებებისათვის საჭირო დეტალური ანალიზი ამ ეტაპზე მივჩინდეთ არა არსებითად.

2006 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოხმარების ბალანსის დეტალები მოცემულია დანართში 2. ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა 2006 წლის განმავლობაში ნაჩვენებია ნახ. 4.1


<sup>1</sup> <http://earthtrends.wri.org/text/energy-resources/variable-351.html>



ნახ. 4.4. ელექტროენერგიის მოხმარების სეზონური ცვლილება საქართველოში 2006 წელს

განსხვავებით ელექტროენერგიის მოხმარებისაგან, 2006 წელს ელექტროენერგიის მიწოდების (გამომუშავების) სურათი არ იყო ტიპური, რაც გამოწვეული იყო ენერგეტიკული სარემონტო სამუშაოების მიზეზით, გაზაფხული-ზაფხულის თვეებში გაჩერებით,. ზაფხულის თვეებში ხორციელდებოდა როგორც ელექტროენერგიის იმპორტი, ისე ელექტროენერგიის გენერაცია ადგილბრივ თბოლელქროსადგურში, რაც ბოლო წლებში ენერგოსისტემის მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმად ითვლება.


4.2-ნახაზზე ნაჩვენებია ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების სეზონური გრაფიკი (2006 წელი).



ნახ. 4.5. ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების სეზონური გრაფიკი (2006 წელი)

2006 წლის აგვისტოში მინიმუმამდე შემცირდა ელექტროენერგიის იმპორტი და სექტემბრიდან ენერგოსისტემამ დაიწყო გადასკლა მუშაობის ჩეულებრივ რეჟიმზე. ამრიგად, 2006 წელს საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატებოდა სხვა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში აღინიშნება იმპორტირებული ელექტროენერგიის შემცირების და ბუნებრივი აირით მისი ჩანაცვლების და შესაბამისად თბოელექტროსადგურში ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდების ტენდენცია.

4.3 ნახ.ზე ნაჩვენებია ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების სტრუქტურა 2006 წელს.



#### ნახ. 4.6. ელექტროენერგიის მიწოდების სტრუქტურა (2006 წელი)


2006 წელს ელექტროენერგიის მოლიანი მიწოდება/გამომუშავება და მოხმარება 2%-ით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. ბოლო წლებში ელექტროენერგიის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა არ აღინიშნება (ცხილი 4.3).

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
	მლნ	მლნ	მლნ	მლნ	მლნ	მლნ	მლნ
	კვტსთ	კვტსთ	კვტსთ	კვტსთ	კვტსთ	კვტსთ	კვტსთ
ჯამური წარმოება	7446.0	69 420.0	7256.0	7163.0	6706.0	7100.0	7419.9
ჰესები	59 056	55 715	67 429	65 279	58 929	60 700	53 160
თესები	1540.4	1370.5	513.5	635.1	813.2	1030.6	2103.8
იმპორტი	611.5	877.6	713.2	844.2	1210.0	1399.0	777.6
ექსპორტი	210.5	523.3	244.5	109.3	-	120.0	96.0
მოხმარება	7847.0	7296.3	7724.7	7898.0	7916.0	8379.0	8197.4
წმინდა იმპორტი	401.0	354.3	468.7	735.0	1210.0	1279.0	681.6

ცხილი 4.3. ელექტროენერგიის მიწოდების და მოთხოვნის დინამიკა 2000-2006 წლებში (ძლიერებული კვტსთ/წ).

მოთხოვნის/მოხმარების სტაბილურობა შესაძლებელია განპირობებული იყოს ორი განსხვავებული მიზეზით. პირველი: გამანაწილებელი კომპანიების მიერ თანხების ამოღების გადიდებამ შეამცირა მოხმარება იმ მომხმარებლებში, რომლებიც მანამდე არ იხდიდნენ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს. მეორე: ტარიფის გაზრდამ განაპირობა ელექტროენერგიის უფრო ყარიათიანი ხარჯება მომხამრებლების მხრიდან, რაც, ბუნებრივია, მოტივირებულია თანხების დაზოგის სურვილით.

2000 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა კანონიერი მოხმარების წილი საერთო მოხმარებაში. ელექტროენერგიის ის ნაწილი, რომელიც პრაქიკულად იკარგებოდა 2000 წელს, დღეისათვის ეკონომიკურ ბრუნვაშია მოქცეული. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა თუმცა, ელექტროენერგიის საფასურის ამოღება კვლავაც საჭიროებს სრულყოფას გამანაწილებელი კომპანიების მხრიდან. ეს წარმოადგენს არსებით ფაქტორს ელექტროენერგიის მოხმარების ეფექტურობის ასამაღლებლად.



ნახ. 4.7. ელექტროენერგიის ბალანსი საქართველოში 2005-2006 წლებში (მლნ კვტ \*სთ)

დიაგრამა. ცხადყოფს, რომ 2006 წელს აღინიშნებოდა ადგილობრივი ელექტროგენერაციის გადიდების და იმპორტის შემცირების ტენდენცია. ეს ხდებოდა მოუხედავად პიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებისა.


#### 4.2.2 2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მოდელი

2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსი შედგენილი იყო ჩვენს მიერ, 2007 წლის იანვარ-აგვისტოს<sup>2</sup> და 2006 წლის სექტემბერ-დეკემბრის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. ანუ, 2006 წლის სექტემბერ-დეკემბრის მონაცემები გამოყენებული იყო 2007 წლის სექტემბერ-

<sup>2</sup> 2007 წლის ივლის-აგვისტოს მონაცემები დაზუსტდება შესწავლის ბოლოს, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ამ პერიოდის ნამდვილი მონაცემები. მანამდე ჩვენ გამოვიყენებთ პირობით მონაცემებს ამ ორი თვისათვის.

დეკემბრის მონაცემების სახით. 2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მოდელის დეტალები მოცემულია დანართში – 3.


მოდელის შედეგისას დავუშვით, რომ ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებლები 2006 და 2007 წლებში ერთმანეთის მსგავსია. უმნიშვნელო განსხვავება ამ მაჩვენებლებს შორის, როგორც ეს ნახ.4.8-დან ჩანს, გამოწვეულია ენგურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებით. ვთვლით, რომ სექტემბრიდან ენგურჰესი დაუბრუნდა მუშაობის ნირმალურ რეჟიმს და საქართველოს ენერგეტიკული სისტემა გადავიდა ჩვეულებრივ სამუშაო პირობებში<sup>3</sup>.



ნახ. 4.8. ელექტროენერგიის მოხმარების მოდელი 2006 და 2007 წლებისათვის.

4.9 ნახ.ზე მოცემულია ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების მოდელი 2007 წლისათვის


<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაშვება ზუსტად ვერ ითვალისწინებს ელექტროენერგიის იმ რაოდენობას, რომლის იმპორტირებაც შესაძლოა საჭირო გახდეს 2007 წლის ზამთარში. გვესმის რა ამ მომენტის მნიშვნელობა, მას გავითვალისწინებოთ ძირითადი დასკვნების ფორმულირებისას.



**ნახ. 4.9. ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების სეზონური გრაფიკი 2007 წლისათვის**

დიაგრამაზე მკაფიოდ ჩანს ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების ურთიერთქმედების ხასიათი საერთო გენერაციაში:

- ჰიდროელექტროსადგურებზე გამომუშავება სტაბილურად მაღალია ზაფხულის პერიოდში, რამდენადმე მცირდება შემოდგომაზე და კვლავ მატულობს ზამთარში;
- თბოელექტროსადგურები მუშაობენ მხოლოდ ზამთარში და აუსებენ გამომუშავების დეფიციტს;
- ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება ზამთარში, მიწოდების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.




**ნახ 4.10. ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების სტრუქტურა 2007 წელს**

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს წარმატებით იქნა გამოყენებული ზაფხულში ექსპორტის პოტენციალი, ელექტროენერგიის მეზობელ ქვეყნებთან სეზონური გაცვლის მიზნით. ამგვარი გაცვლა სასარგებლოა ყველა მონაწილე მხარისათვის. მსპო-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2007 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოდან ექსპორტირებული იყო 614.4 გვტ<sup>3</sup>სთ ელექტროენერგია<sup>3</sup>.

### ელექტროენერგიის ღირებულების სეზონური ცვლილება

საერთო ელექტროგენერაციაში სხვადასხვა საშუალებებით შეტანილი წვლილის სეზონური ცვლილება იწვევს ელექტროენერგიის მიწოდების ღირებულების ასთვე სეზონურ ცვლილებას. მაგალითად, თბოელექტროსადგურების და იმპორტირებული ელექტროენერგიის წილის გადიდება ზამთრის პერიოდში ზრდის ელექტროენერგიის მიწოდების ღირებულებას ზამთარში. ნახ. 4-ზე ნაჩვენებია ელექტროენერგიის გენერაციის ტარიფის ყოველთვიური ცვლილება. გრაფიკი ავაგეთ საქართველოს ეროვნული ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული ტარიფების გამოყენებით<sup>4</sup>.



### ნახ. 4.11. ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფის სეზონური ცვლილება


ნახაზიდან ჩანს, რომ ელექტროენერგიის მიწოდების/გამომუშავების ღირებულება ზამთრის თვეებში ორჯერ მეტია, ვიდრე ზაფხულის თვეებში, როცა პე-ების ელექტროგამომუშავება საკმარისია ელექტროენერგიაზე ქვეყნის საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დანართ 4-ში მოცემულია გაანგარიშების დეტალები.

ელექტროენერგიის მოხმარების მოდელი ქვეყნის მასშტაბით მოცემულია ნახ. 4.9-ზე.

<sup>3</sup> ელექტროენერგიის გაცვლა მეზობელ ქვეყნებთან სათანადოდ უნდა აისახოს წინამდებარე ანალიზში მას შემდეგ რაც გაცვლის ოპერაცია დასრულდება.

<sup>4</sup> სემების №18 დადგენილება, დათარიღებული 2006 წლის 15 მაისით, და მომდევნო დადგენილებები.


## ელექტროენერგიის მოხმარების მოდელი 2007



ნახ. 4.12. ელექტროენერგიის მოხმარების სეზონური გრაფიკი 2007 წლისათვის (მოდელი)

ნახ. 4.12-დან ჩანს, რომ გამანაწილებელი კომპანიების მიერ ელექტროენერგიის მოხმარებას აქვს ტიპური სეზონური ხასიათი – ზამთარში მაღალია, ზაფხულში – დაბალი<sup>5</sup>. პირდაპირი მომხმარებლის მოხმარება საპირისპირო ხასიათისაა – ზაფხულში მაღალია, ზამთარში – დაბალი. მოუხედავად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა, ამ ორი ფაქტორის ჯამური ეფექტი რჩება ელექტროენერგიის სეზონური მოხმარების ტიპური სურათის ფარგლებში – ზამთარში მაღალია, ზაფხულში – დაბალი. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში ადგილი აქვს ელექტროენერგიის გამომუშავების სიჭარეს რაც საქართველოს ენერგოსისტემას ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალებას აძლევს. 2007 წლის მოდელში არ არის გათვალისწინებული ელექტროენერგიის იმპორტი ზამთრის თვეებში, რამდენადაც ბოლო პერიოდში აღინიშნება იმპორტის შემცირების და თბოელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდის ტენდენცია. თუმცა, იმპორტის მაჩვენებელი მოდელში დაზუსტდება მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ნაჩვენები იქნება ფაქტობრივი იმპორტის მოცულობები.


ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა ნაჩვენებია ნახ. 4.13 –ზე.



**ნახ. 4.13. საბითუმო მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა**

ნახ. 4.13-დან ჩანს, რომ მსხვილი საბითუმო მომხმარებლები არიან ენერგო-პრო ჯორჯია (30%), თელასი (23%) და მსხვილი მრეწველობის საწარმოები ანუ , პირდაპირი მომხმარებლები (23%).

ნახ. 4.14-ზე ნაჩვენებია პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა.



#### **ნახ. 4.14. ელექტროენერგიის მოხმარება პირდაპირი მომხმარებლების მიერ**

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა წარმოადგენს უმსხვილეს პირდაპირ მომხმარებელს, რომელსაც მოჰყვება რკინიგზა და თბილისის წყალი. ამ საწარმოების ენერგოუდიტმა შესაძლებელია გამოავლინოს ელექტროენერგიის დაზოგვის პოტენციალი, რასაც არსებითი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსისათვის.

#### **4.2.3. პიდროელექტროორესურსების სიჭარბე**

გასული წლების გამოცდილება, ასევე სხვადასხვა საექსპერტო შეფასებები გვიჩვენებს, რომ საქართველოში არ ხდება არსებული პიდროენერგეტიკული რესურსების სრული გამოყენება რის გამოც შესაძლებელია მოხდეს წყლის არაპროდუქტიულ ხარჯვას პიდროელექტროსადგურებზე.

არსებობს ჰეს-ებზე წყლის კარგვის ორი მიზეზი:

1. ჰეს-ების გაუმართავი მუშაობა და უწესივრობები პიდროტექნიკურ ნაგებობებზე. მაგალითად, 2001 წელს ჰეს-ების დანაღვარების და პიდროტექნიკური ნაგებობების არასრულყოფილი მომსახურების, - ასევე წყალდიდობის პერიოდში წყლის მაღალი ფილტრაციის გამო ხდებოდა წყლის კარგვა, რაც 1.5 მილიარდი კვტსთ ელექტროენერგიის ექვივალენტური იყო. აქედან 0.6 მლრდ. კვტ\*სთ ელექტროენერგიის დანაკარგი/არგამომუშავება გამოივალება იყო ენგურჟესის კაშხლის წყალსაღრული მოწყობილობის გაუმართაობით. იგივე მიზეზით 2002 წლის 5 თვეს განმავლობაში ენგურჟესზე დაიკარგა/არ გამომუშავდა 250 მლნ. კვტ\*სთ ელექტროენერგია, ხოლო დანარჩენ პიდროელექტროსადგურებზე, - 312 მლნ. კვტ\*სთ. 2004-2006 წლებში ეს-ებზე ჩატარდა აღდგენითორი სამუშაოები, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა წყლის არაპროდუქტიული ხარჯვა.
2. წყლის გადაშვება/დაღვრა ზედმეტი ელექტროენერგიის წარმოების თავიდან ასაცილებლად შემცირებული მოთხოვნილების – მაისი-ივლისის – პერიოდში. ამ დროს წყლის ჩადინება მდინარეებში მნიშვნელოვნად იზრდება, ხილო ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად მცირდება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს წყლის არაპროდუქტიული ხარჯვა ჰესებზე. სპეციალისტების შეფასებით ყოველწლიურად შესაძლებელია 700-800 მლნ. კვტ\*სთ ჭარბი ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც შეადგენს ქვეყნის შიდა მოხმარების 10% და დღევანდელი ტარიფებით 30 მილიონი ლარის ეკვივალენტურია. 2007 წელს ამ რესურსის დიდი ნაწილი წარმატებით გამოიყენდა საექსპორტოდ.

სეზონური დისბალანსის პრობლემა ახალი არ არის საქართველოს ენერგოსისტემისათვის. ის არსებობს საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან, როდესაც მოხდა საქართველოს ენერგოსისტემის განმხოლოება/იზოლირება სხვა ენერგეტიკული სისტემებისაგან. მანამდე ეს პრობლემა არ არსებობდა, რამდენადაც საქართველოში წარმოებულ ჭარბ ელექტროენერგიას ჰყავდა მომხმარებელი მეზობელი ენერგოსოფტემების სახით. აუცილებელია, რომ ელექტროენერაციის განვითარების ახალ სტრატეგიაში გათვალისწინებული იყოს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა.


მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში საქართველოს გააჩნია ჭარბი პიდროენერგეტიკული რესურსები, ამას არ აქვს პირდაპირი და დადებითი ზეგავლენა ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე. საქართველოში არსებული გამომუშავება-მოხმარების სეზონური დისბალანსი საჭიროებს ჭარბი ელექტროგამომუშავების საკითხის უფრო დეტალურ შესწავლას და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას.

ამ პრობლემის მოგვარების პოტენციური შესაძლებლობებია:

1. სეზონური ტარიფების დაწესება – იაფი ელექტროენერგია ზაფხულში. ეს სტიმულს მისცემს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს გაზარდოს წარმოება/ელექტროენერგიის მოხმარება ზაფხულში;
2. ენერგიის სეზონური გაცვლის სტაბილური რეგიონალური მექანიზმების შემუშავება, მათ შორის რეგიონალურ ენერგო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
3. გენერაციის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რაც ითვალისწინებს ელექტროენერგიის სეზონური დისბალანსის საკითხებს.

### 4.3. ბუნებრივი გაზის ბალანსი

ელექტროენერგიის ბალანსის მსგავსად, ბუნებრივი გაზის ბალანსი 2006 წელს ასევე ატიპიური იყო ელექტროენერგიის გენერაციის მიზნით გაზის ჭარბი იმპორტის გამო.




ნახ. 4.15. საქართველოში გაზის თვითური მოხმარების სტრუქტურა 2006 წელს

როგორც ნახ. 4.15-დან ჩანს, წლის განმავლობაში ხდებოდა გაზის გამოყენება ელექტროენერგიის საწარმოებლად. გაზის მოხმარების სეზონური ცვალებადობა უფრო

მნიშვნელოვანია თბილისში (ყაზტრანსგაზ-თბილისი) ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში (იტერა-ჯორჯია) რაც იმას მიუთითებს რომ გაზის გამოყენება გასათბობად უფრო ინტენსიურია თბილისში ვიდრე სხვაგან (იხ დანართი 5.)


ნახ. 4.16-ზე ნაჩვენებია გაზის მოხმარება სხვადასხვა საბითუმო მომხმარებლების მიერ.



**ნახ. 4.16. საქართველოს 2006 წლის გაზის მოხმარების სტრუქტურა (ათასი კუბმეტი)**


როგორც დიაგრამიდან ჩანს, გაზის უდიდესი წილი (36%) გამოიყენებოდა ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის ხოლო ყველაზე მსხვილი საბითუმო მომხმარებელი არის ყაზტრანსგაზ-თბილისი (21%).

გაზის ბალანსის უფრო ტიპიური მოდელის შესამუშავებლად, 2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მოდელის ანალოგიურად, ჩვენ შევადგინეთ 2007 წლის გაზის მოდელური ბალანსი, რაც ეფუძნება 2007 წლის იანვარ-ივნისისის და 2006 წლის სექტემბერ-დეკემბრის ფაქტობრივ მონაცემებს (ივლის-აგვისტოს მონაცემები საპროგნოზოა) (დანართი 5.)



**ნახ. 4.17. გაზის თვიური მოხმარების მოდელი**


2007 წლის გაზის მოხმარების მოდელში, ყაზტრანსგაზ-თბილისი ინარჩუნებს მის სეზონურ მოხმარების ხასიათს; თბილისადგურები არ გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას ზაფხულში და შესაბამისად ამ მიზნით გაზი ზაფხულში არ გამოიყენება; გაზის გამოყენება ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად 2006 წელთან შედარებით შემცირებულია (ნახ. 4.15).



**ნახ. 4.18. გაზის მოხმარების წლიური მოდელი**


გაზის მოხმარების მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნას გაზის გასათბობად გამოყენების შესაფასებლად. ამ მიზნით ჩვენ გამოვქითავთ გაზის წლიურ მოხმარებას ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად და სხვა კომპონენტს (ძირითადად საჭმლის მომზადება და ცხელი წყლის

მიწოდება) რაც უცვლელი რჩება წლის მანძილზე (იმ დაშვებით რომ უდრის ივნისის მოხმარებას) დანარჩენი ცვლადი სეზონური კომპონენტი განეკუთვნება გაზის გამოყენებას გასათბობად (ნახ. 4.16.)



ნახ. 4.19. გაზის მოხმარების სეზონური ხასიათი

ამგვარი დაშვებებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ რომ გაზის მოხმარება გასათბობად ეკონომიკის ყველა სექტორში (ცისფერი ხაზი) შეადგენს დაახლოებით 280-330 მილიონ კუბურ მეტრს (იხ.დანართი 6.). შესაბამისად, 4.20 ნახ.ში მოცემულია გაზის საბოლოო მოხმარების პირობითი სურათი.



ნახ. 4.20. გაზის მოხმარება სხვადასხვა დანიშნულებით

გაზის სხვადასხვა მომწოდებლებთან და მათ ფასებთან დაკავშირებული არაერთგვაროვნების გამო, ამჟამად არ გვაქვს შესაძლებლობა რაიმე არსებითი პროგნოზის გაკეთება გაზის მიწოდების სტრუქტურის და პოტენციური ფასების შესახებ. ამ ანგარიშის მომზადების

მომენტისათვის გამოხცადდა რომ გაზის ფასი აზერბაიჯანული მომწოდებლის მიერ გაიზრდება საერთაშორისო საბაზრო დონეზე.

#### **4.4. საქართველოს ენერგეტიკული დამოკიდებულება და კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მოდელი**

ენერგეტიკული უსაფრთხოება შეიძლება პირობითად განიმარტოს როგორც ენერგეტიკული უზრუნველყოფის მოკლევადიანი და გრძლევადიანი საიმძღობა და ხელმისაწვდომ ფასად. ამგვარი განმარტება შეიძლება გავრცელდეს ინდივიდუალურ მომზმარებლებზე, მომზმარებელთა ჯგუფებზე ან მთლიანად ქვეყანაზე. ენერგო უსაფრთხოების აბსოლუტური ზომა ქვეყნის დონეზე საჭიროებს სხვადასხვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი რისკების ანალიზს ქვეყნის საგარეო ენერგო მომარაგების ტექნიკურ, საბაზრო და პოლიტიკურ ფაქტორების გათვალისწინებით. ენერგეტიკული უსაფრთხოების ეს ფაქტორები სპეციფიურია კონკრეტული ქვეყნებისათვის და მათი კონკრეტული რეგიონალური ვითარებისათვის. ენერგოუსაფრთხოების ვრცელი ანალიზი, ყველა ამ ფაქტორს გათვალისწინებით რთული ამოცანაა და სცილდება ამ შესწავლის ჩარჩოებს. ნაცლვად ამისა, ჩვენ უბრალოდ ვუშვებთ, რომ კონკრეტული ტიპის ენერგიის იმპორტის შემცირება შესაბამისად ამცირებს ქვეყნის ენერგო დამოკიდებულებას და ამდენად, მიწოდებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებით, იზრდება ენერგო უსაფრთხოება.

##### **4.4.1. კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მოდელი**

ენერგო ბალანსი წარმოადგენს ქვეყნის ენერგო იმპორტზე დამოკიდებულების ანალიზის ძირითად ინსტრუმენტს. საქართველოს შემთხვევაში, ენერგო უსაფრთხოების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მისი დამოკიდებულება წიაღისეული სათბობის იმპორტზე მეზობელი ქვეყნებიდან (მთლიანი ენერგო მომარაგების 71%). ქვეყნის ენერგო დამოკიდებულების მეორე კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს მისი ენერგიის მოხმარების და მიწოდების სეზონურობა.


ქვეყნის ენერგო დამოკიდებულების საკითხების გასაანალიზებლად გვესაჭიროება ენერგო ბალანსი რომელიც ასახავს ტიპიურ მოსალოდნელ მოხმარების მოდელს უახლოესი პერიოდისათვის. ამ მიზნით, ჩვენ შევადგინეთ მთლიანი ენერგო ბალანსის მოდელი 2007 წლისათვის. გამოვიყენეთ 2006 წლის ფაქტობრივი კრებსითი ბალანსი, 2007 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მოდელი და 2007 წლის გაზის ბალანსის მოდელი იმ დაშვებით, რომ სხვა ტიპის ენერგიის (გარდა ელექტროენერგიისა და გაზისა) მიწოდება და მოხმარება დარჩება არსებითად იგივე რაც 2006 წელს იყო. ჩვენი ვარაუდით, ამგვარი ენერგო ბალანსი საკმარისად ასახავს ტიპიურ მოსალოდნელი ენერგეტიკულ სიტუაციას საქართველოში უახლოეს მომავალში.

ბალანსის მოდელი წარმოდგენილია ცხრილში 4.4..

საქართველოს ენერგეტიკის ბალანსის მოდელი (ნავთობის ექვივალუნტი კილოტონა)											
#		ნახშირი	ნედლი ნაეთობი	ნაეთობაზრიგული ტები	ბუნებრივი გაზი	პიღრავ ლიტრი ენერგია	ღგანას ლებადი	შეშადა ნაოჩენები	ელექტრო ენერგია	თბო ენერგია	ჯამი
10	პროდუქცია	4	64		17	574	14	385			<b>1058</b>
11	იმპორტი	3		792	1462				23		<b>2280</b>
12	ექსპორტი		-53	-3					<b>-32</b>		<b>-88</b>
13	მარაგის შევსება	-1	2	4	-3						<b>2</b>
15	პირველადი წარმოება 15=10+11-12 13	6	13	793	1476	574	14	385	-9.21	0	3252
20	ელექტროსადგურები , ბოილერები			-6	-401	-574			708	32	<b>-241</b>
21	ნაეთობგადამამუშავე ბლები		-13	12							<b>-1</b>
22	სხვა გარდაქმნები და დანაკარგები			-14	<b>-346</b>				-91		<b>-451</b>
30	ენერგო მარაგი 30=15 20 21-22	6	0	785	677		14	385	600	32	<b>2499</b>
40	სამრეწველო სექტორი 40=41+42+43+44	2	0	92	167	0	0	0	116	12	<b>389</b>
41	მეტალურგია			3	5				43	3	<b>54</b>
42	ქიმიური მასალები და ნაეთობქმია			17	27				36	3	<b>83</b>
43	არა ლითონის მასალები			15	18				13	2	<b>48</b>
44	სხვა პროდუქცია	2		57	117				24	4	<b>204</b>
50	ტრანსპორტირება 50=51+52+53	3		512	24				52	0	<b>591</b>
51	ავიაცია, ზღვაოსნობა			24	4				4		<b>32</b>
52	რკინიგზა და ავტოტრანსპორტი	3		448	14				36		<b>501</b>
53	დაუკონკრეტებელი ტრანსპორტი			40	6				12		<b>58</b>
60	სხვა სექტორები 60=61+62+63+64	1		181	293		14	385	432	20	<b>1326</b>
61	სოფლის მეურნეობა			64	58		0	20	14	4	<b>160</b>
62	მომსახურება	1		16	28		6	24	16	16	<b>107</b>
63	ოჯახები			75	201		8	329	396	0	<b>1009</b>
64	დაუკონკრეტებელი			26	6		0	12	6	0	<b>50</b>
70	არა ენერგო მოხმარება			0	193			0			<b>193</b>

#### ცხრილი 4.4. 2007 წლის ენერგეტიკული ბალანსი საქართველოში


2007 წლის ბალანსის ნიმუში, ჩვენ გამოვიყენებთ ბუნებრივი გაზის იგივე თბოუნარიანობას (8070 კბალ/მ<sup>3</sup>) რაც 2006 წლის ენერგო ბალანსშია გამოყენებული. თუმცა, 2007 წელს აზერბაიჯანული გაზის მაღალი წილის და მისი მაღალი თბოუნარიანობის გამო, შეიძლება საჭირო გაზდეს გაზის საშუალო თბოუნარიანობის გადახედვა, მას შემდეგ რაც ცნობილი იქნება აზერბაიჯანის და რუსეთის გაზის ფაქტური თანაფარდობა.



ნახ. 4.18. პირველადი ენერგიის მიწოდების სტრუქტურა 2007წ

ქვენის მთლიანი ენერგო ბალანსის მოდელის საფუძველზე მიღებული ძირითადი დასკვნები არსებითად იგივეა რაც 2006 წლის ბალანსთან მიმართებაში:

- მთლიანი ძირითადი ენერგო მოწოდების 69% მოდის იმპორტირებულ რესურსებზე
- იმპორტირებული ენერგიის 46% შეადგენს ბუნებრივი გაზი და 25%-ს ნავთობპროდუქტები
- უდიდესი შიგა ენერგორესურსი არის პიდრო ენერგია (18%) რასაც მოყვება შეშა (12%) თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ნავთობპროდუქტებს და სამრეწველო ნედლეულად გამოყენებულ გაზს, ენერგო მოწოდების სტრუქტურა საქართველოში იქნება 4.19 დიაგრამის შესაბამისი.



ნახ. 4.19. ენერგიის მიწოდების სტრუქტურა საქართველოში ენერგეტიკული მიზნებისათვის


როგორც ჩანს, ენერგომოთხოვნილების 57% დაკმაყოფილება ზდება იმპორტირებული ბუნებრივი გაზის მეშვეობით.

#### 4.4.2. ენერგოდამოკიდებულების პარამეტრები

ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგიაზე შეიძლება შეფასდეს ამ გარეშე რესურსების წილით მთლიანად ძირითად ენერგო მომარაგებაში. როგოც ერთიანი ენერგო ბალანსიდან ჩანს, ეს პარამეტრი საქართველოსათვის 70%-ს შეადგენს. თუ არ განვიხილავთ ნავთობპროდუქტებს და ყურადღებას გავმახვილებთ მხოლოდ ენერგეტიკულ გამოყენებაზე, მაშინ ენერგიაზე მოთხოვნის 56.7% კმაყოფილდება იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ხარჯზე ხოლო დანარჩენი ჰიდრო რესურსებით და შეშით.

საქართველოს ენერგოდამოკიდებულება მკვეთრად სეზონურია, ზაფხულში ახასიათებს კლება, ხოლო ზამთარში მატება (იხ.დანართი 7). ზამთარში გაზრდილი დამოკიდებულება მძაფრდება იმ ფაქტითაც რომ ამ დროს მომწოდებელთა სიმძლავრეები, ისევე როგორც ტრანსპორტირების შესაძლებლობები უფრო დატვირთულია, და ამდენად უფრო ძნელდება რომელიმე კონკრეტული წყაროდან მოწოდების შეწყვეტის კომპენსირება<sup>5</sup>.

საქართველოში ენერგიის გამოყენების სეზონური ხასიათი ნაჩვენებია 4.20 ნახ.ში. აქ ჩვენ არ გვითვალისწინოთ ენერგო მატარებლები გარდა ჰიდროენერგიისა, გაზისა და შეშისა. სხვა ენერგიის წყაროები ამჟამად მხოლოდ მცირე როლს ასრულებენ საქართველოს ერთიან ენერგო მოხმარებაში..




ნახ. 4.20. ერთიანი ენერგო-მოხმარების სეზონური სტრუქტურა

<sup>5</sup> ამ შესწავლაში არ ვითვალისწინოთ ენერგოსისტემის მუშაობის სტაბილურობის და შესაძლო მოკლევადიანი დეფიციტის საკითხებს.

საქართველო ენერგოდეფიციტურია მთელი წლის მანძილზე. თუმცა ზაფხულში აღინიშნება ჰიდროგლიკური ენერგიის სიჭარბე, მას ჯერ ისევ არ შეუძლია ჩაანაცვლოს წლის იმავე პერიოდში იმპორტირებულ გაზი როგორც ენერგიის მოცულობით ასევე მისი დანიშნულებით.

ენერგოუსაფრთხოების და გარეშე დამოკიდებულების ანალიზისას, აუცილებელია ამ სეზონურობის გათვალისწინება. გარეშე ენერგო მომარაგების შეწყვეტა უფრო საზიანო იქნება ზამთარში, როდესაც იმპორტის წილი მაღალია, ვიდრე ზაფხულში, როდესაც ადგილობრივ ჰიდროენერგიის შესაძლებლობები უფრო მაღალია. ამ სეზონურობის გასათვალისწინებლად, შემოგვაქვს ენერგეტიკული დამოკიდებულების სეზონურობის ინდექსი (ედსი), რაც განისაზღვრება როგორც თითოეულ თვეში იმპორტირებულ ენერგიის რაოდენობის ფარდობამთლიან ენერგო იმპორტზე წლის განმავლობაში. ენერგომიწოდების გაზრდის ან მოხმარების შემცირების ღონისძიებების შეფასებისას, სასურველია მისი ყოველთვიური მახასიატებლები შევწონოთ ედსი-თან რითაც სხვადასხვა ღონისძიების ამ მახასიატებლით შედარების საშუალება შეიქმნება. ედსი-ს ნახ. მოყვანილია ნახ.4.21.



ნახ. 4.21. ენერგო დამოკიდებულების სეზონური ინდექსი

ენერგეტიკული დამოკიდებულების სეზონური ინდექსი თვალნათლივ აჩვენებს იმპორტზე დამოკიდებულების ზრდას ზამთარში.


ელექტროენერგია და გაზი მხოლოდ ნაწილობრივ არის ურთიერთჩაცვლებადი. ამდენად, ენერგოუსაფრთხოების საკითხების ანალიზისას, საჭიროა ამ ორივე ენერგო მატარებელზე გამახვილდეს ყურადღება და გათვალისწინებული ქნას ელექტროენერგიის და გაზის ბალანსები.

ვინაიდან საქართველოში არ არის წიაღისეული სათბობის მნიშვნელოვანი მოპოვება, თბოელექტროსადგურებს პირდაპირ ვერ შეაქვთ წვლილი ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობაში და ენერგო უსაფრთხოებაში. ახალი თბოელექტროსადგურების აშენების შედეგს წარმოადგენს იმპორტირებული წიაღისეული სათბობის ელექტროენერგიად გარდაქმნის მეტი სიმძლავრე. თბოელექტროსადგურების საშუალებით შესაძლებელი ხდება ელექტროენერგიის ნაცვლად გაზის

იმპორტი, რაც არასაიმედო ელექტროენერგიის მოწოდების პირობებში შეიძლება დივერსიფიკაციად ჩაითვალოს, ხოლო სწავა შემთხვევაში ზრდის იმპორტირებულ გაზე დამოკიდებულებას. თბოელექტროსადგურები უპირველესად საჭიროა ენერგო სისტემის სტაბილურობისათვის და ჰიდრო-სადგურების წარმოების ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მათი წვლილი ენერგოუსაფრთხოებაში მეორადი მნიშვნელობისაა.

ამ მიზეზით ჩვენ ცალკე პარამეტრს ვიყენებთ ენერგო მომარაგების გარეშე იმპორტზე დამოკიდებულების დასახასიათებლად.

ESDIE წარმოადგენს ანალოგური ენერგეტიკული დამოკიდებულების სეზონურ ინდექსს ელექტროენერგიისათვის, რომელიც ზომავს გარეშე ენერგო მომარაგებაზე სეზონურ დამოკიდებულებას ელექტროენერგიის გამოსაყენებლად და უჩვენებს სიღრმისეულ სეზონურ ქცევას (ნახ. 4.22.)



ნახ. 4.22. ელექტროენერგეტიკული სეზონური დამოკიდებულების ინდექსი

ეს დიაგრამა უჩვენებს ელექტროენერგიის მოწოდების გაზრდის ან მოხმარების შემცირების ზომების დიდ მნიშვნელობას ზამთრის თვეებში და ასევე უჩვენებს რომ თუ რომელიმე ზომას შეუძლია ელექტროენერგეტიკული ბალანსზე ზაფხულში დადგებითად ზემოქმედება, მისი მონაწილეობა ენერგო დამოუკიდებლობაში ნული იქნება, თუკი არ განხორციელდება რაიმე დამატებითი ზომა (მაგ. ენერგიის გაცვლა, ან ზოგიერთი სახის ენერგიის შენახვა) ეფექტის მდგრადი გადატანით, როდესაც ქვეყანა მაქსიმალურადაა დამოკიდებული გარეშე ენერგო მომარაგებაზე.


#### 4.5. მოხმარება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით

უნიკალურობის და ენერგო დაზოგვის შეფასება საჭიროებს უფრო დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის უნიკალური მომხმარებაზე სამომხმარებლო კატეგორიების მიხედვით. სადისტრიბუციო კომპანიებში მონაცემთა ხარისხი და ხელმისაწვდომობა ყოველთვის არ იძლევა საკმარისად დეტალური ანალიზის საშუალებას. ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტობრივ მონაცემებს დაგურთხთ ექსპერტთა შეფასებები და ჩვენი კვლევები.

გსპ/ენერგო-პრო-ს მომხმარებლები დაყოფილი არიან საქმიანობის კატეგორიების მიხედვით რაც შესაძლებელს ხდის მათი მოხმარების დეტალურ ანალიზს. თუმცა, მონაცემები ყოველთვის სანდო არ არის, რასაც მიუთითებს ზოგიერთი კატეგორიის მომხმარებელთა მოხმარების უჩვეულო სეზონურ ქცევა. სამომხმარებლო კატეგორიების მიხედვით მოხმარების დეტალური მონაცემები მოვანილია დანართ 4.5-ში. აქ მხოლოდ წარმოგიდენთ ერთიან მონაცემებს გამანაწილებელი კომპანიის დონეზე.

#### თელასი


თელასის მომხმარებლები დაყოფილია ოთხ ძირითად კატეგორიად: საყოფაცხოვრებო, კომერციული, საბიუჯეტო და ცენტრალური. თვიური მოხმარების ნიმუში ამ სამომხმარებლო კატეგორიების მიხედვით მოცემულია ნახ. 4.23-ში.



ნახ. 4.23. თელასის ელექტროენერგიის შესყიდვის და მოხმარების მოდელი

საყოფაცხოვრებო მომხმარებლები წარმოადგენენ უმსხვილეს სამომხმარებლო კლასს, რომლის წილი თელასის წლიურ ელექტროენერგიის შესყიდვაში შეადგენს 37% და დარიცხვის 53%. დანაკარგების წილი - 30% - ისევ მაღალია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დასაშვები წლიური ტექნიკური დანაკარგი არ უნდა აჭარბებდეს 12.4- %ს. დანაკარგების

სეზონური მოდელი შეესატყვისება მთლიან მოხმარებას და მის მაქსიმუმს აღწევს ზამთარში, როდესაც საქართველო მაქსიმალურადაა დამოკიდებული ენერგო იმპორტზე.




**ნახ. 4.24. თელასის წლიური მოხმარების სტრუქტურა**

საყოფაცხოვრებო სექტორის მომხმარებლების მოხმარება სეზონურად ცვალებადობს და მიუთითებს ელექტროენერგიის გამოყენებაზე გასათბობად. თელასის უფრო დეტალური ელექტროენერგიის შესყიდვის და მოხმარევის ყოველთვიური მოდელი მოცემულია დანართ 8 ში.


#### გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია/ენერგო-პრო ჯორჯია

გსპ-ის, გაერთიანებული ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო კომპანიის აქტივები შეისყიდა ენერგო-პრომ 2007 წლის ივნისში. ამდენად, 2006 წლის და 2007 წლის დასაწყისის მონაცემები მოპოვებული იქნა ცალკეული გამანაწილებელი კომპანიების დარიცხვის სისტემებიდან, ხოლო მომდევნო ანალიზი და პროგნოზი გამომდინარეობს ენერგო-პროს გაერთიანებული მონაცემებიდან (იხ. დანართი 9). გსპ/ენერგო-პრო-ს მოხმარების სტრუქტურა მოცემულია 4.25 ნახ.ში.



**ნახ. 4.25. ენერგო -პრო-ს წლიური მოხმარების სტრუქტურა**

გსპ-ენერგო-პრო-ს საყოფაცხოვრებო მოხმარება უფრო მცირეა ვიდრე თელასის, ხოლო დანაკარგების პროცენტი უფრო მაღალია. მაღალი ჯამური დანაკარგი გამოწვეულია უფრო მაღალი ტექნიკური და კომერციული დანაკარგებით ენერგო-პრო-ს ქსელში.




**ნახ. 4.26. გსპ/ენერგო -პროს ენერგო მოწოდების და მოხმარების მოდელი**

გსპ -ს ელექტროენერგიის შესყიდვას უფრო ნაკლებად გამოხატული სეზონურობა ახასიათებს რაც გამოწვეულია საყოფაცხოვრებო მოხმარების მცირე წილით, და მიუთითებს ელექტროენერგიის უფრო ნაკლებ მოხმარებაზე გათბობის მიზნებისათვის.

#### აჭარის ენერგოკომპანია


აჭარის დარიცხვის მონაცემები მიღებულია ენერგო-პრო საქართველოსაგან და წარმოადგენს პერიოდს ვიდრე ენერგო -პრო შეისყიდიდა აჭარის ენერგოკომპანიის აქტივებს.

ნახ. 4.27 უჩვენებს დარიცხვის სეზონურ ცვლილებას ჯამურად და სამომხმარებლო კატეგორიების მიხედვით. მოხმარების მრუდის რყევა გამოწვეულია მონაცემთა ხარისხით რომელიც მიღებულია აჭარის დარიცხვების მონაცემთა ბაზიდან (დანართი 10)



ნახ. 4.27. აჭარის ენერგიის მიწოდების დამოხმარების მოდელი


ნახ. 4.28 ში მოცემული სქემა უჩვენებს აჭარის სადისტრიბუციო კომპანიის წლიური მოხმარების სტრუქტურას მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით.



ნახ. 4.28. აჭარის წლიური ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა


## კახეთი

კახეთის მოხმარების მცირე პროცენტს შეიადგენს სხვა სადისტრიბუციო კომპანიებთან შედარებით.



ნახ. 4.29. კახეთის წლიური ენერგო მოხმარების სტრუქტურა

ამ ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის კახეთის სადისტრიბუციო კომპანიის მონაცემები არ არის მიღებული. ამდენად ჩვენ აღვადგინეთ სეზონური სურათი ბსპ-ს სამომხმარებლო მოდელის მიხედვით და გამოვიყენეთ კახეთის ინფორმაცია 2006 წლის მაისის მომხმარების სტრუქტურის შესახებ (დანართი 4.8.)



ნახ. 4.30. კახეთის ენერგო მომარავების და მოხმარების მოდელი (რეკონსტრუქცია)

საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარება უფრო ნაკლებ სეზონურია ვიდრე თელასის შემთხვევაში, რაც მიუთითებს რომ ელექტროენერგია გასათბობად ნაკლებად გამოიყენება.

## კომერციული დანაკარგები ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებში

ცხრილი 4.5 აჯამებს ტექნიკურ და კომერციულ დანაკარგებს ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებში.


	ელექტრო-ენერგიის შესყიდვა (მლნ კვტსთ)	ტექნიკური დანაკარგები (მლნ კვტსთ)	დარიცხვა (მლნ კვტსთ)	კომერციული დანაკარგები (მლნ კვტსთ)	კომერც. დანაკარგ. %
თელასი	1,955.4	242.5	1,398.8	314.1	16.1%
ენერგო-პრო	2,394.0	358.4	1,468.1	567.5	23.7%

### ცხრილი 4.5. გამანაწილებელ კომპანიებში კომერციული დანაკარგები (გვტსთ)

ელექტროენერგიის კომერციული დანაკარგები გამოინარიშდა ელექტროენერგიის შესყიდვის მოცულობიდან სემკე-ის მიერ დამტკიცებული დასაშვები ტექნიკური დანაკარგების გამოკლებით.<sup>6</sup> დანაკარგების დანარჩენი რიცხვები, მოპარვის დონეები გამანაწილებელ კომპანიებში მაღალი სიზუსტითაა მოცემული. ეს რიცხვები ასევე წარმოადგენს მოპარვების შემცირების შედეგად მიღებულ დაზოგვის პოტენციალს. ექსპერტთა შეფასებების მიხედვით, ეს დანაკარგები შეიძლება განახევრდეს ორ წელიწადში, ეკონომიკური ეფექტურობის ზომების გამოყენებით.

### გაზის მოხმარება თბილისში


თბილისში გაზის მოხმარების შესახებ ინფორმაცია მიღებულია ყაზტრანსგაზ-თბილისისაგან (დანართი 11). ეს მონაცემები უჩვენებს დანაკარგების დიდ წილს, რაც 42%-ს შეადგენს, რაც საყოფაცხოვრსებო მომხმარებლების დარიცხვას უტოლდება. არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების დარიცხვები შეადგენს თბილისში მთლიანი გაზმომარაგების მხოლოდ 14%-ს.



### ნახ. 4.31. ყაზტრანსგაზ-თბილისის წლიური მოხმარების სტრუქტურა

<sup>6</sup> სემკე-ის დადგენილება № 17, 2006 წლის მაისი.

ბუნებრივი გაზის მოხმარება მკვეთრი სეზონურობით ხასითდება. მაგალითად დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი გაზი თითქმის 7 –ჯერ მეტია აგვისტოში მოხმარებულზე. მაღალი დანაკარგებში, რომელიც ასევე სეზონურობით ხასიათდება უდიდესი ნაწილი უკავია კომეციულ დანაკარგებს (დატაცებას). ამდენად არგადამხდელი მომხმარებლების გამოვლენა და მათვის ბუნებრივი გაზის შეწყვეტა მნიშვნელოვნად შეამცირებს დანაკარგებს, რაც ბუნებრივი გაზის დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალია.



#### ნახ. 4.32. ფაზტრანსგაზ-თბილისის გაზის მიწოდების და მოხმარების მოდელი

ბუნებრივი გაზის მოხმარება უფრო მკვეთრად სეზონურია ვიდრე ელექტროენერგიისა. რაც აიხსნება ზამთარში გათბობისათვის ბუნებრივი გაზის მასიურ გამოყენებით. ამიტომ აუცილებელია ამ მიზნით გამოყენებული გაზის დაზოგვის შესაძლებლობების გამოვლენა.

#### სხვა გაზგამანაწილებელი კომპანიები

საქართველოს ქალაქებში და რეგონებში მრავალი გაზგამანაწილებელი კომპანია არის, რომელთა დიდი ნაწილი იტერა-საქართველოს მფლობელობაში. უმეტესი მათგანიდან ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით ბუნებრივი გაზის მოხმარების შესახებ. ამიტომ ბუნებრივი გაზის თბილისის მოხმარების სტრუქტურა განვაზოგადეთ მთელ ქვეყანაზე.


## 5. თავი

ენერგომოხმარების ეფექტურიანობის გაზრდის პოტენციალი  
საქართველოში

### 5.1 ენერგოეფექტურიანობის პოტენციალი საყოფაცხოვრებო სექტორში

#### 5.1.1 ელექტროენერგიის მოხმარების თავისებურებები საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში

საქართველოს მოსახლეობის წილი ელექტროენერგიის საერთო მოხმარებაში შეადგენს 30-35%. შესაბამისად, ენერგოდაზოგვა საყოფაცხოვრებო სექტორში აქტუალური ამოცანაა. ნახ. 5-1-ზე ნაჩვენებია მოსახლეობის წილი ელექტროენერგიის მოხმარებაში რამოდენიმე მსხვილი ენერგოგამანაწილებელი კომპანიის მაგალითზე.




ნახ. 5.1. მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების წილი საერთო მოხმარებაში

მოყვანილი მონაცემები უყრდნობა გამანაწილებელი კომპანიების ელექტროენერგიის გაყიდვის მონაცემებს (დანართები 8, 9, 10.) და არ ითვალისწინებს ელექტროენერგიის აღურიცხავად მოხმარებას.

მოსახლეობის ელექტროენერგიის მოხმარება ხასიათდება მკვეთრი სეზონურობით. მოხმარების მინიმუმის შეფარდება მაქსიმუმთან (უთანაბრობის კოეფიციენტი) აღწევს 55%-მდე. ნახ. 5.2. (თელავის მონაცემები). მოხმარების უთანაბრობა განსაკუთრებით მაღალია მსხვილ ქალაქებში, სადაც მომხმარებლების ერთი ნაწილი იყენებს ელექტროგამათბობელ მოწყობილობას ზამთრის პერიოდში, ხოლო ზაფხულში გარკვეული დროით ტოვებს მუდმივ

საცხოვრებელს და მიღის დასასვენებლად. სოფლებსა და რაიონებში ყოველთვიური ელექტრომობმარება უფრო თანაბარია ვიდრე ქალაქებში. აქ მოსახლეობა ელექტროენერგიას მოიხმარს ძირითადად განათებისათვის, ხოლო გათბობა-ცხელწყალმომარაგებისათვის იყენებს ბუნებრივ გაზს და შეშას. რაც შეეხება ჰაერის კონდიცირებას, მისი წილი ელექტროენერგიის საერთო მოხმარებაში, როგორც პირველადი შესწავლა გვიჩვენებს, უმნიშვნელოა და ვერ ახდენს სერიოზულ გავლენას ელექტრომოხმარების სეზონურ ზასიათზე.



**ნახ. 5.2. საქართველოს მოსახლეობის ელექტროენერგიის ყოველთვიური გრაფიკი**

მოხმარების

### 5.1.2 საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები და მათი ელექტროენერგიის მოხმარების მახასიათებლები

ელექტროენერგიის დაზოგვის თვალსაზრისით მომხმარებლისათვის არსებითია საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობების ხარჯვის მაჩვენებლების ცოდნა. ეს, ერთი შერივ, გვაძლევს საკუთარი ენერგომოხმარების შეფასების საშუალებას და თავიდან გვაცილებს მოულოდნელობებს ენერგომომწოდებელ კომპანიასთან ანგარიშეწორებისას და, მეორე შერივ, გვეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში აზალი მოწყობილობის შეძენის დროს. ამასთან, მოწყობილობის მაჩვენებლების ცოდნა გვიყალიბებს მათი ყაირათიანი გამოყენების ჩვევებს და გვიზოგავს ფულს.

ქვემოთ მოცემულია სტანდარული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ელექტრომოხმარების მაჩვენებლების ცხრილები 5.1, 5.2. ცხრილში-5.1 მოყვანილია იმ ხელსაწყოების მახასიათებლები, რომლებიც შედარებით დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ადგილობრივ ბაზარზე. მათი მუშაობის ხანგრძლოვობა და ელექტრომოხმარება მიღებულია შეფასებით, პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ საორიენტაციო სიდიდეები. ცხრილში 5.2, მოცემულია უფრო იშვიათად გამოყენებული ელექტროხელსაწყოების მახასიათებლები.

სხვადასხვა ელ. მოწყობილობები	(საშუალო სიმძლავრე, ვტ)	მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/თვე	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/დღ	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/წელ
მაცივრები	80	24.0 სთ/დღ	58	2	701
ტელევიზორები	90	6.0 სთ/დღ	16	1	197
ელექტროენერგიის გამპაუტერები	1 000	15 წთ/დღ	8	0	93
პერსონალური კამპაუტერები	150	3.5 სთ/დღ	16	1	192
სარეცხი მანქანები	750	30 წთ/დღ	11	0	137
ფენი	1 200	5.0 წთ/დღ	3	0.10	37
ელექტროჩადანი	1 200	5.0 წთ/დღ	3	0.10	37
კონდიციონერები "ზამთარი-ზაფხული"	900	5.0 სთ/დღ	135	5	1 643
ელ. წყალგამაცხელებლები		ზამთარში 3 სთ/დღ	135	5	1 643
1 500		ზაფხულში 4 სთ/დღ	180	6	2 190

ცხრილი 5.1. ძირითადი საყოფაცხოვრებო ელექტრონელსაწყოების ტიპიური მაჩვენებლები

სხვადასხვა ელ. მოწყობილობები	საშუალო სიმძლავრე, ვტ	მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/თვე	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/დღ	ელექტროენერგიის მოხმარება, კვტ*სთ/წელ
ჭურჭლის ელ. სარეცხი ავტომატი	1 100	0.50 სთ/დღ	17	0.55	201
ტოსტერი	550	10 წთ/დღ	3	0.09	33
ბლენდერი	180	10 წთ/დღ	1	0.03	11
ვენტილატორი	50	5.00 სთ/დღ	8	0.25	91
ელექტროგრილი	1 200	5 წთ/დღ	3	0.10	37
ფავის ელექტროსაფეხვავი	300	5 წთ/დღ	1	0.03	9
ფავის მოსალებელი ავტომატი	1 300	5 წთ/დღ	3	0.11	40
სამზარეულოს კომბაინი	650	5 წთ/დღ	2	0.05	20
ელექტრო პურისაჭრელი	100	5 წთ/დღ	0	0.01	3
ელექტრო ხორციაკები	250	5.0 წთ/დღ	1	0.02	8
ელექტრო წვნისაწური	240	1.0 წთ/დღ	0	0.00	1
კარტოფილის ფრის მოსამზადებელი ელექტრო ელ.აპარატი	2 300	5.0 წთ/დღ	6	0.19	70
იატაკის საპრიალებელი	1 000	5.0 წთ/დღ	3	0.08	30
მიკროტელლური ღუმელები	1 100	20.0 წთ/დღ	11	0.37	134
ჯამი			63	2	761

ცხრილი 5.2. სხვა საყოფაცხოვრებო ელექტრონელსაწყოების ტიპიური მაჩვენებლები

### **5.1.3 ელექტროენერგიის მოხმარება საყოფაცხოვრებო სექტორში**

ელექტროენერგიის მოხმარების მიხედვით საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორი შეიძლება დაიყოს სამი კატეგორიის მომხმარებლად. პირველ კატეგორიაში პირობითად გაერთიანებულია მომხმარებელი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ელექტრომოხმარებაა 5-100 კვტ\*სთ. ასეთი მომხმარებელი თბილისის მასშტაბით არის დაახლოებით 145 ათასი (36%). მეორე კატეგორიის მომხმარებელი საშუალოდ მოიხმარს 100-300 კვტ\*სთ/თვე ელექტროენერგიას. მისი რაოდენობა თბილისში არის დაახლოებით 160 ათასი (40%). მესამე კატეგორიის მომხმარებელი მოიხმარს 300 კვტ\*სთ/თვე-ზე მეტ ელექტროენერგიას. მისი რაოდენობაა 40 ათასი (10%). არსებობს პასიური მომხმარებელიც (დაკეტილი საცხოვრებელი ბინების სახით), რომელიც მოიხმარს 5 კვტ\*სთ/თვე-ზე ნაკლებ ელექტროენერგიას. უკანასკნელი ჩვენი განხილვის საგანი არ ყოფილა დაზოგვის პოტენციალის არასებობის გამო.

სამუშაოს ფარგლებში შეფასდა ელექტრომოხმარების წლიური დინამიკა თითოეული კატეგორიის მომხმარებლისათვის.

### **5.1.4. ანალიზის მეთოდი და ძირითადი შედეგები**


ანალიზს საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ ჩატარებული ენერგოაუდიტის შედეგები. ენერგოაუდიტი ჩატარდა თითოეულ კატეგორიიდან გამოყოფილი 10 მომხარებლისათვის. აუდიტის დროს ივნებოდა წინასწარშედგენილი და მომხმარებლებისათვის წინასწარ დარიგებული კითხვარები (იხ. დანართი 12). აუდიტორი სწავლობდა აბონენტის ენერგეტიკულ მოწყობილობას და ამ მოწყობილობის მუშაობის (დატვირთვის) რეჟიმებს.

შესწავლის შედეგების განზოგადების საფუძველზე დგებოდა ელექტროენერგიის მოხმარების ტიპური სურათი თითოეული კატეგორიის მომხმარებლისათვის.


დანართ 13-ში მოცემულია ელექტროენერგიის ყოველთვიური მოხმარების დინამიკა სხვადასხვა მომხმარებლისათვის. შედეგები მიღებულია გადახდის ქვითრების ანალიზით.

ქვემოთ მოყვანილია თითოეული კატეგორიის მომხმარებლებისათვის ჩატარებული შესწავლის განზოგადებული შედეგები.


პირველი კატეგორიის ერთი ტიპური მომხმარებლის ელექტრომოხმარების სურათი და სტრუქტურა ნაჩვენებია შესაბამისად ნახ. 5.3. და 5.4-ზე. მეორე და მესამე კატეგორიის მომხმარებლების - ნახ. 5.5., 5.6., 5.7., 5.8.-ზე. ჯამური მოხმარების დინამიკა თითოეული კატეგორიის მომხმარებლებისათვის (თბილისის მასშტაბით) ნაჩვენებია შესაბამისად ნახაზებზე 5.9., 5.10., 5.11.. განსხვავება შეფასებით და გადახდის ქვითრებით მიღებული მოხმარების მნიშვნელობებს შორის არ აღემატება 30%.




**ნახ. 5.3. “5-100 კვტ \*სი/თვე” – კატეგორიის ერთი ტიპური მომხმარებლის ელექტროენერგიის მოხმარება**




**ნახ. 5.4. “5-100 კვტ \*სი/თვე” – კატეგორიის მომხმარებლის ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა**



**ნახ. 5.5. “100-300 კვტ \*სთ/თვე” – კატეგორიის ერთი ტიპური მომხმარებლის ჯლუქტროენერგიის მოხმარება**




**ნახ. 5.6. “100-300 კვტ \*სთ/თვე” – კატეგორიის მომხმარებლის ელუქტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა**




**ნახ. 5.7. " >300 კვტ \* სთ / თვე " - კატეგორიის ერთი ტიპური მომხმარებლის ელექტროენერგიის მოხმარება**


" >300 " კატეგორიის მომხმარებლის ელექტრომობმარების სტრუქტურა



**ნახ. 5.8. " >300 კვტ \* სთ / თვე " - კატეგორიის მომხმარებლის ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა**




**ნახ. 5.9. “5-100 კვტ \*სთ/თვე” – კატეგორიის მომხმარებლების ქლუქტროენერგიის ჯამური მომხმარების დინამიკა**



**ნახ. 5.10. “100-300 კვტ \*სთ/თვე” – კატეგორიის მომხმარებლების ქლუქტროენერგიის ჯამური მომხმარების დინამიკა**


**2006, თბილისი, ჯამური, ">300" კატეგორიის  
მოშხმარებლების ელექტრომოხმარება**



**ნახ. 5.11. ">300 კატ\*სთ/თვე" – კატეგორიის მოშხმარებლების ელექტროენერგიის  
ჯამური მოხმარების დინამიკა**

შედარებისათვის ნახ. 5.12-ზე მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის მოშხმარებლების ყოველწლიური ელექტროენერგიის მოშხმარების სტრუქტურა. ნახაზიდან ჩანს, რომ განსაკუთრებით მაღალია განათების, მაცივრების, ელექტროწყალშემთბობისა და ელექტროგათბობის მოხმარება. ყველა სხვა სახის ელექტრომოხმარება მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ელექტროენერგიის მოხმარების სტრუქტურა სხვადასხვა კატეგორიის ერთი მოშხმარებლისათვის



**ნახ. 5.12. სხვადასხვა კატეგორიის მოშხმარებლების ელექტროენერგიის საშუალო  
თვიური მოხმარების სტრუქტურა**

**“5-100 კვტ\*სთ/თვე”** – კატეგორიაში ელექტროენერგიის მოხმარების უდიდესი წილი მოდის განათებასა (40%) და ელ. გათბობაზე (30%). ამ კატეგორიის მომხმარებელი გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის ძირითადად იყენებს ბუნებრივ აირს. აირზე მომუშავე გამათბობლები განთავსებულია ერთ რომელიმე ოთახში. ელექტროენერგია გამოიყენება მხოლოდ, როგორც გათბობის დამატებითი წყარო დანარჩენი ოთახებისათვის, განსაკუთრებით ცივ თვეებში. ელექტროგათბობის (თანაგათბობის) სადღედამისო ხანგრძლივობა ასეთ პერიოდებში არ აღმატება 1-1.5 საათს. მომხმარებელი იყენებს უპირატესად პატარა, დაბალი სიმძლავრის მაცივრებს. ხშირად მაცივრების გამოყენებას (განსაკუთრებით ძველებური ტიპის) აქვს სეზონური ხასიათი – ისინი ჩართულია მხოლოდ ზაფხულის თვეებში. ის, რომ ამ კატეგორიის მომხმარებლის განათებისა და ელექტროგათბობის მოხმარება, როგორც ეს ნახ.5-13-დან ჩანს, უტოლდება “>300 კვტ\*სთ/თვე” – კატეგორიის მომხმარებლის ერთსახელა მოხმარებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ “5-100 კვტ\*სთ/თვე” – კატეგორია აერთიანებს დიდი რაოდენობის (35-40%) მომხმარებელს.

**“100-300 კვტ\*სთ/თვე”** – კატეგორიაში ელექტროენერგიის მოხმარების ძირითადი წილი მოდის განათებაზე (35%), მაცივრებზე (20%) და ელექტროწყალშეთბობაზე (15%). ამ კატეგორიის მომხმარებელი გათბობისათვის იყენებს ბუნებრივ აირს. გამათბობებლად უპირატესად გამოიყენება მცირე - 2-5 კვტ სიმძლავრის (ე.წ. კარმას ტიპის) აპარატები. დამატებითი ელექტროგათბობა თითქმის არ გამოიყენება. მომხმარებლების მცირე ნაწილს აქვს ცენტრალიზებული გათბობა ინდივიდუალური ქვაბების ბაზაზე. ცხელწყალმომარაგებისათვის მომხმარებლების უმრავლესობა იყენებს ელექტროწყალსათბობ ავზებს (“არისტონი”, “თერმექსი” და სხვ.) ან პირდაპირდენით გამაცხელებლებს (“ატმორებს”).

**“>300 კვტ\*სთ/თვე”** – კატეგორიაში ელექტროენერგიის მოხმარების უდიდესი წილი მოდის ელექტროწყალშეთბობაზე (30%), განათებაზე (25%) და ელექტროთანაგათბობაზე (15%). ამ კატეგორიის მომხმარებელი გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის ძირითადი იყენებს ბუნებრივ აირს. ელექტროენერგია გამოიყენება მხოლოდ როგორც გათბობის დამატებითი წყარო ცივ თვეებში (თანაგათბობა 3 სთ/დღ). მომხმარებლების გარკვეულ ნაწილს აქვს გათბობა-ცხელწყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა ინდივიდუალური ქვაბების ბაზაზე. თუმცა, როგორც შესწავლაში აჩვენა, მათი დიდი ნაწილი, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ცხელწყალმომარაგებისათვის იყენებს ელექტროწყალსათბობ ავზებს და პირდაპირდენით გამაცხელებლებს.

შედეგებიდან ჩანს, რომ ელექტროენერგიის დაზოგვის მნიშვნელოვანი რესურსი არის განათებაში, რომელიც შეადგენს საერთო მოხმარების 25-40%. ამიტომ, სამუშაოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევილი განათებაში ენერგოდაზოგვის პოტენციალის შესწავლას.

### 5.1.5. განათება

ენერგოდაზოგვის პოტენციალის შესწავლას სამუშაოში წინ უძლოდა მოსახლეობაში განათების არსებული მდგომარეობის შესწავლა. ეს, როგორც წესი, დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნეელებთან: საჭირო იყო მოცულობითი სტატისტიკური მასალის შეგროვება-განზოგადება მოსახლეობაში არსებული ნათურების ტიპების, რაოდენობების, გამოიყენების თავისებურებების, ნათების რეჟიმებისა და სხვა, შესახებ. ასევე საჭირო იყო ენერგოეფექტური ნათურების საქართველოში არსებული ბაზრის შესწავლა და ეკონომიკური კრიტერიუმების შემუშავება ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასების თვალსაზრისით.

ამოცანა გაიყო ორ – ტექნიკურ და ეკონომიკურ ნაწილად. ქვემოთ შევჩერდებით საკითხის ტექნიკურ მხარეზე.

საქართველოს მოსახლეობაში ამჟამად არსებული განათების ხელსაწყოების ტიპების, გამოყენების თავისებურებებისა და ხარჯვის მაჩვენებლების შესწავლა ჩატარდა თბილისის მაგალითზე. შესწავლა ემყარებოდა ენერგოუდიტის ჩატარებას, რის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ (დანათი 12). შესწავლის შედეგები მუშავდებოდა საანგარიშო მოდელში, რომელშიც ნათურების პარამეტრებთან ერთად შედიოდა სხვა ელექტრონულსაწყოების ხარჯვის მაჩვენებლები. მოდელში, შეფასებით, ერთმანეთისაგან იმიჯნებოდა განათებისა და ელექტრონურგიის სხვა სახის მოხმარების სიდიდეები. ამ დროს დამეტებით გამოიყენებოდა საქართველოში მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის სეზონური დამოკიდებულების მოდელი, რომელიც წინასწარ იყო მიღებული საქართველოს მიღებული ბუნებრივი განათების და კლიმატის სეზონურობის გათვალისწინებით (იხ. დანართი 19). არსებული ვარვარების ნათურების საშუალო სიმძლავრედ მიღებული იყო 75 ვტ.

შესწავლამ აჩვენა, რომ გამოყენებული ნათურების რაოდენობა და ტიპები მნიშვნელოვნადაა განსხვავებული სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისათვის. უკვე გამოყენებული ენერგოუფექტური (ფლუორესცენციური) ნათურების წილი “100-300 კვტ\*სთ/თვე” კატეგორიის მომხმარებლებში შეადგენს 25-30%; “>300 კვტ\*სთ/თვე” კატეგორიის მომხმარებლებში – 15-20% ხოლო 5-100 კვტსთ/თვე კატეგორიის მომხმარებლებში ბევრად მცირეა. ნათების რეჟიმის მიხედვით ნათურები იყოფა ბუნებრივ გარე განათებაზე დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ნათურებად (მაგ., დამოუკიდებელია ნათურები ბინის “ბენე” აღგილებში – ჰოლში, სააბაზანოში, ტუალეტში და სხვ.). დატვირთვის (ნათების ხანგრძლივობის) მიხედვით ნათურები პირობითად იყოფა სამ ჯგუფად: ხანგრძლივი ნათების ანუ დატვირთული ნათურები – ეს არის ნათურები მუდმივი თავმოყრის ოთახებში; ხანმოკლე ნათების ანუ დაუტვირთავი ნათურები – ეს არის ნათურები ნაკლები სიხშირით თავმოყრის ოთახებში; და ხანმოკლე, სეზონურობის თვალსაზრისით თანაბარი ნათების ნათურები – ეს არის ნათურები დამხმარე დანიშნულების ოთახებში (ტუალეტი, ჰოლი, სააბაზანო, და სხვ.), რომელთა დატვირთვის ხანგრძლივობა არ არის დამოკიდებული ბუნებრივ გარე განათებაზე. ნათურების თითოეული ჯგუფის შეფასებითი რაოდენობები, ხარჯვის მაჩვენებლები და დაზოგვის პოტენციალი თავმოყრილია ცხრილში 5.3. დაზოგვის პოტენციალის (ტექნიკური) შეფასება ითვალისწინებდა არსებული ვარვარების ნათურების სრული გამოცვლის პირობას 3-4-ჯერ უფრო ეკონომიური ფლუორესცენციური ნათურებით.

შეფასებებით დადგინდა, რომ განათებაში მიღწევადი დაზოგვის წილი ელექტროენერგიის საერთო მოხმარებაში შეადგენს 15-40% შესაბამისად “5-100 კვტ\*სთ/თვე” და “>300 კვტ\*სთ/თვე” კატეგორიის მომხმარებლებისათვის. ეს არსებითა დაზოგვის შედეგების საქართველოს სხვა რეგიონებზე გავრცელების თვალსაზრისით.

**ნათურების რაოდენობები, ხარჯის მაჩვენებლები და დაზოგვის პოტენციალი**

მრთი ტიაზრი მომხმარებლისათვის	"5-100" კატეგორიის მომხმარებელი	"100-300" კატეგორიის მომხმარებელი	">300" კატეგორიის მომხმარებელი	საშუალო სიმძლავრე
<b>ნიაურების საერთო რაოდენობა</b>	8 ცალი	18 ცალი	25 ცალი	
ენერგოეფექტური ნათურები	0 ცალი	5 ცალი	4 ცალი	20 3ტ
ვარგარების ნათურები	8 ცალი	13 ცალი	21 ცალი	75 3ტ
<b>ბუნებრივ გარე განათებაზე დამოუკადებელი ნათურები:</b>				
სანგრძლივი ნათების ენერგოეფექტური ნათურები	0 ცალი	5 ცალი	4 ცალი	
სანგრძლივი ნათების ვარგარების ნათურები	3 ცალი 1 241	6 ცალი 1 824	5 ცალი 2 242	
სანგრძლივი ნათების სანგრძლივობა	სო/წელ	სო/წელ	სო/წელ	
სანმოკლე ნათების ვარგარების ნათურები	3 ცალი	4 ცალი	12 ცალი	
სანმოკლე ნათების სანგრძლივობა	310 სო/წელ	304 სო/წელ	374 სო/წელ	
<b>ბუნებრივ გარე განათებისაგან დამოუკადებელი ნათურები:</b>				
სანმოკლე თანაბარი ნათების ვარგარების ნათურები	2 ცალი	3 ცალი	4 ცალი	
სანმოკლე თანაბარი ნათების სანგრძლივობა	292 სო/წელ	292 სო/წელ	292 სო/წელ	

თაბილისის მოსახლეობისათვის				
ნათურების საერთო რაოდენობა, (ათასი ცალი)	1159	2851	1001	5011
დატვირთული ვარგარების ნათურები, (ათასი ცალი)	435	950	200	1585
დაუტვირთავი ვარგარების ნათურები, (ათასი ცალი)	435	634	481	1549
სანმოკლე თანაბარი ნათების ვარგარების ნათურები, (ათასი ცალი)	290	475	160	925
დატვირთული ეფექტური ნათურები, (ათასი ცალი)	0	792	160	952
განათების ელექტროენერგიის შეფასებით, (ათ.კვეტ *სო/წელ)	56893	183732	57843	298468
დაზოგვა ეფ. ნათ. გამოყენებით ვარ. ნაცვლად, (ათასი კვეტ *სო/წელ)	28050	9 2705	27245	148000

**ცხრილი 5.3. ნათურების რაოდენობები, ხარჯის მაჩვენებლები და დაზოგვის პოტენციალი**

ცხრილ – 5.4.-ში მოცემულია განათებაში ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასების შედეგები საქართველოს მსხვილი რეგიონებისათვის.

	ელექტროენერგიის დაზოგვა განათებაში მღწნ კვტ *სო/წელ	მომხმარებლების რაოდენობა	დაზოგვა ერთ მომხმარებელზე კვტ *სო/წელ
თბილისი	145	396000	375
გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია (ენერგო-პრო)	200	757000	264
აჭარა	25	93000	267
ჯამი	370	1,246,000	

**ცხრილი 5.4. ენერგოდაზოგვის პოტენციალი განათებაში**

**5.2. ენერგოეფექტიანობის პოტენციალი ბუნებრივი გაზის მოხმარებაში**

**5.2.1. ბუნებრივი აირის მოხმარების თავისებურებები საყოფაცხოვრებო სექტორში**


საქართველოში ბუნებრივ გაზის მოხმარების 470 ათასზე მეტი აბონენტი და ეს რიცხვი სწრაფად იზრდება. მოსახლეობაში ბუნებრივი გაზი გამოიყენება საჭმლის მომზადებისათვის,

გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის. აირის მოხმარების წლიური მაჩვენებლები საქართველოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობისათვის მოცემულია ცხრილში 5.5. (აქ მოყვანილი სიდიდეები დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ). ნახ. 5.13-ზე მოცემულია რეგიონების მიერ ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარების დინამიკა.

	აბონენტების რაოდენობა	სურთო მოხმარება, მლნ. ნებებ/წელ	მოხმარება საჭმლის მომზად. (შეფ.), მლნ.ნებებ/წელ	მოხმარება გამომოა- ცხელწყალმომარაგებ ისათვის, (შეფ.), მლნ.ნებებ/წელ	მოხმარება ცხელწყალმომარაგებისა თვის, (შეფ.), მლნ.ნებებ/წელ	მოხმარება გათბობისათვის (შეფ.), მლნ.ნებებ/წელ
თბილისი	304 500	183.5	72	112	22.3	89.2
შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“	5 000	1.3	0.5	0.8	0.2	0.7
სს „მცხეთა-გაზი“	4 000	1.7	0.7	1.0	0.2	0.8
ქართლი	23 120	8.8	3.4	5.3	1.1	4.3
ქვემო ქართლი	47 790	12.2	4.8	7.4	1.5	6.0
ქახეთი	20 200	5.2	2.1	3.2	0.6	2.6
ამერეთი	65 700	12.9	5.0	7.8	1.6	6.2
გურია	370	0.1	0.0	0.1	0.01	0.04
ჯამი	470 680	225.7	98.1	127.6	25.5	102.1

### ცხრილი 5.5. ბუნებრივი აირის წლიური მოხმარება საქართველოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობისათვის.

მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის 60%-ზე მეტი ხმარდება გათბობასა და ცხელწყალმომარაგებას. ეს ფაქტი მიუთითებს ბინების სითბური დანაკარგების შემცირებისა და ცხელი წყლის რაციონალურად გამოყენების დიდ პოტენციალზე და მნიშვნელობაზე



ნახ. 5.13. ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარების დინამიკა თბილისის მოსახლეობისათვის

ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ანალიზისთვის, ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების ამ კანონზომიერებას გავავრცელებთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

### 5.2.2. გათბობა

საქართველოს მოსახლეობა გათბობა-ცხელწყალმომარაგებისათვის იყნებს ბუნებრივ აირს, ელექტროენერგიას და შეშას. შეშა ძირითადათ გამოიყენება სოფლებსა და არაგაზიფიცირებულ რაიონებში. შეშის მოხმარების შესახებ ამჟამად არსებული საექსპერტო და ოფიციალური მონაცემები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ვფიქრობთ, ეს საკითხი იმსახურებს სერიოზულ შესწავლას მომავალი პროექტების ფარგლებში.

რაც შეეხება ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გამოყენებას, სამუშაოში შეფასდა გათბობა-ცხელწყალმომარაგებაში მათი მოხმარების მოცულობები. შეფასებებისას ვიყენებდით მსხვილი რეგიონული გაზგამანაწილებელი ენერგოკომპანიების (“ყაზტრანსგაზ-თბილისი”, შპს “აჭარის ბუნებრივი აირი”, სს „მცხეთაგაზი“, ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის გაზგამანაწილებელი ენერგოკომპანიები) მონაცემებს. ამასთან ერთად, შევისწავლეთ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 20-მდე ინდივიდუალური აბონენტის ყოველთვიური მოხმარება, რის საფუძველზეც შევეცადეთ აირის საერთო მოხმარებიდან მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოგვეყო საჭმლის მომზადებისათვის საჭირო მოხმარება. ეს სიდიდე, ჩვენი შეფასებით, ერთი აბონენტისათვის შეადგენს 0.55-1.1 ნ.კუბ.მ აირს დღელამეში. გათბობისა და ცხელწყალმომარაგების მოხმარების გასამიჯნად გამოვიყენეთ თბილისის ცენტრალური თბომომარაგების სისტემების პრაქტიკაში არსებული პროპორცია, რომლის თანახმადაც ზაფხულის (არაგათბობის სეზონის) სითბური დატვირთვა შეადგენდა წლიური სითბური დატვირთვის 15-20%. შეფასებებში მიღებული იყო ასევე შემდეგი სიდიდეები: ბუნებრივი აირის თბოუნარიანობა - 8060 კკალ/ნ.კუბ.მ; გამათბობელი აპარატების გარდაქმნის (მარგი ქმდების) კოეფიციენტი – 75% (ეს არის საშუალო ეფექტურობა ინდივიდუალური, “კარმას” ტიპის გამათბობებისათვის).

ცხრილში 5.6. ნაჩვენებია საქართველოს უმეტეს რეგიონებში ბუნებრივი აირის წლიური მოხმარება საჭმლის მომზადებისათვის, გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის.

თბილისი	აბონენტების როოფებობა	მოხმარება საჭმლის მომზად. (შეფ.), მლნ.ნ.კუბ/წელ	მოხმარება გათბობა-ცხელწყალმომარაგებისათვის, (შეფ.), მლნ.ნ.კუბ/წელ	მოხმარება ცხელწყალმომარაგებისათვის, (შეფ.), მლნ.ნ.კუბ/წელ	მოხმარება გათბობისათვის (შეფ.), მლნ.ნ.კუბ/წელ
304 500	72	112	22.3	89.2	
შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“	5 000	0.5	0.8	0.2	0.7
სს „მცხეთაგაზი“	4 000	0.7	1.0	0.2	0.8
ქართლი	23 120	3.4	5.3	1.1	4.3
ქვემო ქართლი	47 790	4.8	7.4	1.5	6.0
კახეთი	20 200	2.1	3.2	0.6	2.6
იმერეთი	65 700	5.0	7.8	1.6	6.2
გურია	370	0.0	0.1	0.01	0.04
ჯამი	470 680	98.1	127.6	25.5	102.1

ცხრილი 5.6. ბუნებრივი გაზის მოხმარება სხვადასხვა დანიშნულებით საქართველოს რეგიონებში

### 5.2.3. დათბუნება

საქართველოში საცხოვრებელი ბინების უდიდესი ნაწილი აშენებულია საბჭოთა პერიოდში, იმ დროისათვის მოქმედი სამშენებლო სტანდარტების შესაბამისად. ხშირად ეს სტანდარტები ირღვევოდა ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა უხარისხო პროექტირება, შეუსაბამობა პროექტთან, უხარისხო საშენი მასალების გამოყენება, მშენებლობის პროცესის ხელოვნური დაქქარება, არაკონდიციური ნაგებობების გადაცემა ექსპლუატაციაში და სხვ. შესაბამისად, ნაგებობათა ხარისხი იყო უკიდურესად დაბალი და ბინების დიდი ნაწილი სწრაფად ამორტიზდებოდა. თუმცა, დღეისათვის არსებული საცხოვრებელი ბინების უმეტესობა ამორტიზებულია და მათი ენერგოეფექტურობა ძალიან დაბალია. ამას ადასტურებს ბოლო წლებში ენერგოეფექტურობის სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები. უმოკლესი გზა ასეთ ბინებში ენერგოდანაკარგების შემცირებისათვის არის ინფილტრაცია-ექსფილტრაციის დანაკარგების (რაც სხვადასხვა შეფასებებით შეადგენს საერთო ენერგოდანაკარგების 20-35%) შემცირება ანუ კარ-ფანჯრების დათბუნება.

დათბუნებაში არსებული ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასებისათვის სამუშაოში განვიხილეთ მხოლოდ საცხოვრებელი სახლები. ადმინისტრაციული და საოფისე შენობებისათვის შეფასებები არ ჩაგვიტარებია იმიტომ, რომ მოქმედი საოფისე და ადმინისტრაციული შენობები უმეტესად ახალშენებული ან ახალშეკეთებულია; მათი დეტალური შესწავლისათვის არ გვგონდა საკმარისი დრო და ამასთანავე ვვარაუდობთ, რომ ამ შენობების ენერგოეფექტურობა დამაკმაყოფილებელია. სხვა საოფისე ფართები განთავსებულია ძირითადად სტანდარტულ საცხოვრებელ ბინებში როგორც გაქირავებული ფართები.

სამუშაოში განვიხილეთ მხოლოდ ქალაქის ტიპის დასახლებები, სადაც გათბობისათვის ძირითადათ იყენებენ ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიას. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის აღრინდელი მონაცემებით (ახალი მონაცემები არ არსებობს) თბილისში საცხოვრებელი სახლების 60-65% არის მრავალბინიანი (სტანდარტული მაღალსართულიანი სახლები), 20-25% - ინდივიდუალური სახლები (კერძო ბინები), დანარჩენი – შერეული ტიპისაა (ამ ნაწილს არ განვიხილავთ). სხვა ქალაქებში 40-45% არის მრავალბინიანი, 40%-მდე - ინდივიდუალური სახლები.

ჩვენი შეფასებით თბილისში დასათბუნებელია საცხოვრებელი სახლების ~85% (იხ. დანართი 14). აქედან ~35% თბუნება ყოველწლიურად მოსახლეობის სახსრებით. შესაბამისად, დასათბუნებელი რჩება ~50%. ცხრილ- 5.7.-ში მოცემულია ამ რაოდენობის საცხოვრებელი სახლების გარე კარ-ფანჯრების კვადრატურა და დასათბუნებელი პერიმეტრი თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის (შეფასებით).

მრავალბინიანი სტანდარტული სახლები	გარე ფანჯრების დასათბუნებელი პერიმეტრი, მლ. მ	გარე ფანჯრების ფართ., მლ. კვ.მ
თბილისი	2.7	1.5
სხვ. ქალაქ.	2	1.1
ინდივიდუალური სახლები		
თბილისი	2.4	1.2
სხვ. ქალაქ.	4.1	2.1

ცხრილი 5.7. 50% საცხოვრებელი სახლების გარე კარ-ფანჯრების კვადრატურა და დასათბუნებელი პერიმეტრი თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის

ცხრილში 5.8. მოცემულია ადგილობრივ ბაზარზე დათბუნების სამუშაოების და ძირითადი მასალების ღირებულება.

სამუშაოს და მასალების დასახელება ა		თირგმულება	
გარუფანჯრების დაბუნება	30	ლარი/კვ.მ	
სხვენის დათბუნება	7	ლარი/კვ.მ	
ძველი ქარუფანჯრების შეცვლა "შეტალო-პლასტიკით"	130	ლარი/კვ.მ	
მასალების ღირებულება			
საფანჯრე მინა	12	ლარი/კვ.მ	
საკეტები	1	ლარი/ცალი	
ჭანჭიკები	0.03	ლარი/ცალი	
საღებავი	3.5	ლარი/კვ	
ქრა	8	ლარი/კვ.მ	
"შტაპინი"	0.5	ლარი/ზ	
ანჯაშა	0.8	ლარი/წყვილი	
კუთხოვანა	0.4	ლარი/ცალი	
საგოზავი	3	ლარი/კვ.მ	
საიზოლაციო ღრუბელი	0.2	ლარი/ზ	
ტყავი	5	ლარი/კვ.მ	

ცხრილი 5.8. დათბუნების სამუშაოების და მასალების ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე

ყველაზე იაფი დათბუნების ღირებულება, რაც ითვალისწინებს მხოლოდ საიზოლაციო ღრუბელის გამოყენებას (0.2 ლარი/ზ), ზემოთ აღნიშნული მასშტაბის კამპანიაში შეადგენს დაახლოებით 900 ათასი ლარს სტანდარტული მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის და 1.3 მლნ. ლარს ინდივიდუალური სახლებისათვის. ამ გზით განხორციელებული დათბუნების ეფექტი დაზოგვაში შეადგენს გათბობაზე დახარჯული ენერგიის  $50\% * 20\% = 10\%$ .

ცხრილში 5.9. მოცემულია ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით გათბობის სიდიდეები და ენერგოდაზოგვაში დათბუნების პოტენციალი საქართველოს მსხვილი რეგიონებისათვის.

თბილისი	გათბობა ბუნებრ. აირით, მლნ.კვტ*სთ/წელ	გათბობა ელ. ენერგიით, მლნ.კვტ*სთ/წელ	გათბობა, კამი, მლნ.კვტ*სთ/წელ	დაზოგვა გათბობაში დათბუნებით, მლნ.კვტ*სთ/წელ
	628	67	694	69
შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“	5	0.5	5	0.5
სს „მცხეთაგაზი“	6	0.6	6	0.6
ქართლი	30	3	33	3
ქვემო ქართლი	42	4	46	5
ქახეთი	18	2	20	2
იმერეთი	44	5	49	5
გურია	0.28	0.03	0.31	0.03
ჯამი	718	77	795	79

ცხრილი 5.9. ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით გათბობის სიდიდეები და დათბუნების პოტენციალი ენერგოდაზოგვაში

ქვეყნის მასშტაბით დათბუნებით ენერგოდაზოგვის პოტენციალის შესაფასებლად ჩვენს მიერ შეფასებულ იქნა გათბობაზე დახარჯული ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის რაოდენობა (იხ. თავი 4)

გათბობაზე იხარჯება 250-330 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი (იხ. თავი 4 და დანართი 6). გათბობაზე დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობის შეფასება უფრო რთულია, ვინაიდან ზამთარში ელექტროენერგიის მოხმარების მატება (დაახლოებით 1-1.6 ტვსთ) განპირობებულია როგორც გათბობით ასევე განათებით. თუ ვიგულისხმეთ, რომ ამ მატების ნახევარი ანუ დაახლოებით 500-800 მლნ კვტსთ ელექტროენერგია მოდის გათბობაზე. როგორც გამანაწილებელი კომპანიების სტატისტიკა გვიჩვენებს, აქედან ძირითადი ნაწილი მოდის დატაცებული გაზის და დატაცებული ელექტროენერგიის წილად. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი გაზის დატაცება ზამთარში მკვეთრად მატულობს თბილისის ტერიტორიაზე და ნაკლებად იტერა საქართველოს მფლობელობაში მყოფ რეგიონალურ გაზგამანაწილებელ კომპანიებში, რაც ორი შესაძლო მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: 1) რეგიონებში გათბობისათვის შეშის გამოიყენება 2) რეგიონებში კომერციული კარგვების უფრო მკაცრი კონტროლი თბილისთან შედარებით.

ზემოთ მოყვანილი ლოგიკით შეგვიძლია შევაფასოთ დათბუნებით მიღწევადი შესაძლო დაზოგვის მოცულობა. თუ პირდაპირ გამოვიყენებთ დათბუნების ენერგოდაზოგვითი ეფექტის შეფასებას, გამოდის, რომ დათბუნებით შეიძლება დაიზოგოს დაახლოებით საშუალოდ 300 მლნ\*10%=30მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი რაც ექვივალენტურია დაახლოებით 280 მლნ კვტსთ ენერგიისა, ამასთან ერთად დაზოგილი ელექტროენერგიის სახით დაოზოგება 800მლნ\*10%=80მლნ კვტსთ ენერგია. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ფართომასშტაბიანი დატაცების პირობებში ენერგოდაზოგვის მიზნით დათბუნების ჩატარება ნაკლებ მოსალოდნელია. ამიტომ, უპირველესი ენერგოდაზოგვითი ღონისძიება არის გამანაწილებელ კომპანიებში დატაცების უკეთესი კონტროლი. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია გათბობაზე დახარჯული ელექტროენერგიის და გაზის რაოდენობის მინიმუმ განახევრება. მაშინ დათბუნების მოტივაცია შეიქმნება და დათბუნების საშუალებით შესაძლებელი იქნება  $1/2 * 290 * 10\% = 14$  მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზის და  $1/2 * 800 * 10\% = 40$  მლნ კვტსთ ელექტროენერგიის დაზოგვა.


## 5.3. ენერგოუფექტიანობის პოტენციალი არასაყოფაცხოვრებო სექტორში

### 5.3.1 მიღობა

საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოუფექტიანობის პოტენციალის შესაფასებლად მომხმარებლები დაიყო სამ ჯგუფად: კომერციულ მომხმარებლებად, სად არის საბიუჯეტო მომხმარებლები? საწარმოებად და “პირდაპირ” მომხმარებლებად. ასეთი დაყოფა განპირობებული იყო იმით, რომ ენლექტროგამანაწილებელ კომპანიებში ელექტრომოხმარების არსებული მონაცემები დაჯგუფებული იყო ასეთივე სქემით.

სამუშაოში ვერ მოხერხდა არასაყოფაცხოვრებო სექტორში შემავალი უკლებლივ ყველა ტიპის მომხმარებლის შესწავლა. თუმცა, დამუშავდა და გაანალიზდა უმსხვილესი ენერგოგამანაწილებელი კომპანიების – სს თელასის, “ენერგო-პრო ჯორჯიას” და აჭარის ენერგოკომპანიის მონაცემები. ელექტროენერგიის მოხმარების სურათი საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორისათვის, ამ კომპანიების მონაცემებით ნაჩვენებია ნახ. 5.14-ზე.

### ელექტრომოხმარება საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორში



ნახ. 5.14. საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორის ელექტროენერგიის მოხმარება მსხვილი ენერგოკომპანიების მონაცემებით

### 5.3.2. სირთულეები

არასაყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასება მაღალი სიზუსტით რთული ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, როგორც წესი, საჭიროა ცნობილი იყოს მომხმარებლის ენერგოუზრუნველყოფის მიგა სტრუქტურა, დანადგარებისა და ხელსაწყოების ტექნიკური მდგომარეობა, ეფექტიანობა, მათი მუშაობის და დატვირთვის რეჟიმები,

ენერგომოხმარების სტატისტიკა; საწარმოების შემთხვევაში კი დამატებით, წარმოების დატვირთვის გრაფიკი, სამომავლო გეგმა და ა.შ. ამგვარი ინფორმაციის შეგროვება ფაქტობრივად მოითხოვს სრულფასოვანი ენერგოაუდიტის ჩატარებას თითოეული მომხმარებლისათვის, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია დიდ დროსა და რესურსებთან. დროში არსებული შეზღუდვის გამო მოცემულ სამუშაოში გათვალისწინებული იყო აღნიშნული ამოცანის გამარტივება და მეტწილად შემოფარგვლა უკვე არსებული მასალების ანალიზით და ადრე შესრულებული სამუშაოების შედეგების განზოგადებით. თუმცა, თბილისის მასშტაბით მოხერხდა რამოდენიმე ტიპის მომხმარებლის შერჩევითი შესწავლაც. ასეთი იყო: სკოლები, საბავშვო ბაღები, უნივერსიტეტები, პოლიკლინიკები, ოფისები, კვების ობიექტები, საპარიკმახეროები, აფთიაქები და სხვა.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა ენერგოდაზოგვის პოტენციური ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელია გავრცელდეს ზემოთ ჩამოთვლილი ტიპის ობიექტებზე. ესენია: განათების, გათბობის, ცხელწყალმომარაგებისა და კონდიცირების ეფექტური მოწყობილობების დაყენება, ასევე მაღალეფექტური მაცივარ-დანადგარების გამოყენება მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე.

უფრო რთული იყო ენერგოდაზოგვის პოტენციური ღონისძიებების განსაზღვრა ტექნოლოგიატევადი ობიექტებისათვის. ეს მოითხოვდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ დეტალურ შესწავლას. თუმცა, ცნობილი იყო, რომ ამ ობიექტების ენერგოენერგიის მოხმარებაში უდიდესი წილი ეკუთვნოდა მოძველებული ტიპის ელექტროძრავებს. ასევე ცნობილი იყო მრავალი სხვადასვენა ტიპის ტექნოლოგიაზევადი საწარმოების ადრე ჩატარებული შესწავლის შედეგები და ის ფაქტი, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში არ მომხდარა აღნიშნული საწარმოების გადაიარაღება. ეს საშუალებას გვაძლევდა განგვესაზღვრა ენერგოდაზოგვის სტანდარტული ღონისძიებები ასეთი საწარმოებისათვის და შეგვეფასებინა დაზოგვის მიახლოებითი პოტენციალი ქვეყნის მასშტაბით.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებებისას ვხელმძღვანელობდით ენერგოდაზოგვის მინიმალური, მაგრამ სარწმუნო პოტენციალის შეფასებით. შესაბამისად, არასაყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოდაზოგვის რეალურად არსებული პოტენციალი ქვეყნის მასშტაბით ბევრად უნდა აღემატებოდეს ჩვენს მიერ მიღებულ შედეგს.


ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომის ფარგლებში მომხმარებლები დაჯგუფდა გამოყენებული მოწყობილობების ტიპებისა და ტექნოლოგიური პროცესების ხასიათის მიხედვით, შემდეგნაირად:

- სს თელასის კომერციული მომხმარებლები:
  - მცირე ზომის კომერციული დაწესებულებები
  - სავაჭრო ობიექტები
  - სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები
  - სამედიცინო ობიექტები
  - ოფისები და სხვა;
- ენერგო-პრო ჯორჯიას მომხმარებლები:
  - ძრავებიანი საწარმოები
  - აპარატურატევადი საწარმოები
  - სასწავლო დაწესებულებები
  - საკოლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები
  - ოფისები
  - სითბოს მომხმარებელი საწარმოები

- სასტუმროები
  - სამედიცინო დაწესებულებები
  - საგაჭრო ობიექტები
  - საზოგადოებრივი კვების ობიექტები
  - ტრანსპორტი
  - სხვა – დანარჩენი ობიექტები;
- პირდაპირი მომხმარებლები:
- ფერო
  - კასპიცემენტი
  - რუსთავცემენტი
  - მაღნეული
  - ენერჯიინვესტი
  - მეტრო
  - თბილისის გარე განათება
  - თბილისის წყალკანალი
  - სხვა – დანარჩენი ობიექტები;
- აჭარის ენერგოკომპანიების მომხმარებლები:
- წყალკანალი
  - მსხვილი მომხმარებლები
  - სხვა მომხმარებლები რატომ გადავაგდეთ?

ელექტროენერგიის მოხმარების სურათი ამ მომხმარებლებისათვის ნაჩვენებია ნახ. 5.15-ზე, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიას მონაცემები მოცემულია დანართში 9 და დანართში 15.

#### 2006, ელექტრომოხმარება არასაყოფაცხოვრებო სექტორში



**ნახ. 5.15. ელექტროენერგიის მოხმარება არასაყოფაცხოვრებო სექტორში (მსხვილი ენერგოკომპანიების მონაცემებით)**

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში ელექტროენერგიის მოხმარების მონაცემები არ იყო სრულყოფილი იმისათვის, რომ გამოგვევლინა ცალკეული ტიპის მომხმარებლების ენერგომოხმარების თავისებურებები. ამასთან, მოხმარების ცვლილების

დინამიკას წლის განმავლობაში არ ჰქონდა ლოგიკური ხასიათი. ეს ართულებდა ენერგოდაზოგვის ღონისძიებების განსაზღვრას კონკრეტული მომხმარებლებისათვის.

ჩვენი აზრით, ინფორმაციის უზუსტობის მიზეზი საქართველოს რიგ რეგიონებში (თბილისის გარდა) იყო ის, რომ ენერგიის (ელექტროენერგია ბუნებრივი აირი) მოხმარების აღრიცხვის მოწესრიგების ახალი დაწყებულია და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამასთან, მომხმარებლების დიდ ნაწილში გასულ წელს მიმდინარეობდა ენერგოუზრუნველყოფის სისტემების შექმენება. შესაბამისად, მონაცემები, რომელთა შეგროვებაც მოხერხდა, არ ატარებდა ტიპურ ხასიათს. ასეთ პირობებში საჭირო გახდა საექსპერტო შეფასებებით შემოფარგვლა.

### 5.3.3. ანალიზის მეთოდი

ენერგოდაზოგვის პოტენციალის დადგენისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებდა:

- ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობების მსგავსების ნიშნით დაჯგუფებული მომხმარებლების ჯამური მოხმარების განსაზღვრას არსებული მონაცემებით;
- ენერგომოხმარების სტრუქტურის (მოხმარების განაწილება შიგა პროცესებზე) საექსპერტო შეფასებას;
- ენერგოდაზოგვის შესაძლებლობების განსაზღვრას და პოტენციალის შეფასებას;
- შეფასებების განზოგადებას და შედეგების სანდოობის განსაზღვრას.

სამუშაოში გამოყენებულ იქნა ენერგოეფექტურობის ადრე განხორციელებული პროექტების მონაცემები. ამ პროექტების ნაწილის ზოგადი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 5.10. უფრო დეტალური ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ მოცემულია დანართში 16.

მომხმარებლების ჯამური მოხმარების მაჩვენებლები, ენერგომოხმარების სტრუქტურა და ენერგოდაზოგვის პოტენციალი განისაზღვრა გაანგარიშებითი ცხრილით – დანართი 17. შეფასებებში გათვალისწინებული იყო ენერგოდაზოგვის სტანდარტული ღონისძიებები – ენერგოეფექტური განათება, გათბობა, ცხელწყალმომარაგება და ვწნტილაცია-კონდიცირება.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ პროცესებს, აქ უმეტესი მომხმარებლებისათვის გათვალისწინებული იყო არსებული ელ. ძრავების შეცვლა მაღალეფექტური (მათ შორის ცვლადსიჩქარიანი) ელ. ძრავებით. ამასთან, სითბოს მომხმარებლებისა და ხის დამუშავების საწარმოებისათვის, დამატებით, გათვალისწინებული იყო ნარჩენი სითბოს გამოყენების შესაძლებლობა.


ობიექტი	ენერგოდაზოგვის/ენერგოეფექტურის ის განსაკუთრებული ღონისძიება	ენერგოდაზოგვის/ენერგოეფექტურის ქტურობის სტანდარტული ღონისძიება			ენერგოდაზოგვის/ ენერგოეფექტურობის პოტენციალი
		დათბუნება	განათვა	გათბობა	
წყალსაღწევი	o წყლის ტექნიკური დანაკარგების შემთხვება წყლის მოხმარების კულტურის ამაღლება				ელექტროენერგია: 14 მლნ. კვტ*სთ/წ.
შპს “ვუდ-სერვისი”	o მერქნის ნარჩენების გამოყენება				ელექტროენერგია: 1.3 მლნ. კვტ*სთ/წ.
თბილისის მეტროპოლიტენი, მ/ს “თავისუფლების მოებანი”	o მკვებავი ძაბვის სტაბილიზაცია o წევის აგრეგატის ოპტიმალური მართვა o ელ. მატარებლის მართვის ოპტიმიზაცია				ელექტროენერგია: 1.4 მლნ. კვტ*სთ/წ.
შპს რესთავის “ქართული ცემენტი”	o ნამუშევარი ცხელი აირების სითბოს გამოყენება				ბუნებრივი აირი: 50-60 %/წ.
თბილისის №4 პურის ქარხანა	o წყლის ორთქლისა და შეკუმშული ჰაერის გაუმოვებების აღმოცენვა o მომცემულებული ქვაბებისა და საცხობი ღუმელების შეცვლა თანამდებობების დანადგარებით o თბილისოლაციების აღდენა				ბუნებრივი აირი: 20-25 %/წ.
მუხარის წყალსაქანი სადგური	o ელ. ძრავების, ტუმბოების, ტრანსფორმატორების მუშაობის რეაინიტის აღდენა				ელექტროენერგია: 0.5 მლნ. კვტ*სთ/წ.
თბილისის მეტროპოლიტენი, მ/ს “წერეთელი”, “პოლიტექნიკური”	o ავარიული განათების მოდერნიზაცია o ძაბვის სტაბილიზაცია				ელექტროენერგია: 1.1 მლნ. კვტ*სთ/წ.
ნაყინის ქარხანა “თოლია”	o სამაცივრო დანადგარის შეცვლა o ძაბვის სტაბილიზაცია				ელექტროენერგია: 0.054 მლნ. კვტ*სთ/წ.
ვაკის სოსისის ქარხანა	o სამაცივრო დანადგარის შეცვლა o მილსადენების თბური იზოლაცია				ელექტროენერგია: 0.17 მლნ. კვტ*სთ/წ.
თბილისის №1 ბაკვთა ქალინიკა		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.037 მლნ. კვტ*სთ/წ.
სასტუმრო “ბაკური”			⊕		ელექტროენერგია: 0.021 მლნ. კვტ*სთ/წ.
თბილისის ახალგაზრდული სახლი		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.039 მლნ. კვტ*სთ/წ.
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.069 მლნ. კვტ*სთ/წ.
სკოლა სოფ. რევლში		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.024 მლნ. კვტ*სთ/წ.
აზერბაიჯანული სკოლა ბოლნისში		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.074 მლნ. კვტ*სთ/წ.
სანდზმელთა სახლი “ჭავარა”	o გათბობა მზის კოლექტორებით	⊕	⊕		ელექტროენერგია: 0.049 მლნ. კვტ*სთ/წ.
თელავის საბავშვო ბაღი		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.079 მლნ. კვტ*სთ/წ.
ფერმერული მუურნება, კახთი, ქვემო სოდაშენი	o ბიოდანადგარი				ელექტროენერგია: 0.048 მლნ. კვტ*სთ/წ.
ტანისცმლის ატელიე		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.012 მლნ. კვტ*სთ/წ.
მინიმარკეტი თბილისში		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.012 მლნ. კვტ*სთ/წ.
რესტორანი უნივალში		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.049 მლნ. კვტ*სთ/წ.
რესტორანი “არაგვი”		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.125 მლნ. კვტ*სთ/წ.
თბილისის 56-ე საშ. სკოლა		⊕	⊕	⊕	ელექტროენერგია: 0.017 მლნ. კვტ*სთ/წ.

**ცხრილი 5.10. ენერგოეფექტურობის ადრე განხორციელებილი პროცესების ზოგადი მაჩვენებლები**

### 5.3.4. შედეგები

ზემოთ აღწერილი მიდგომის და ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა ენერგოდაზოგვის პოტენციალის თუნდაც მინიმალური, მაგრამ სარწმუნო მნიშვნელობის განსაზღვრას შეზღუდულ დროში და მწირი მონაცენების საფუძველზე, დადგინდა, რომ არასაყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოდაზოგვის პოტენციალი ქვეყნის მასშტაბით არის არანაკლები, ვიდრე 540 მლნ. კვტ\*სთ/წ. ენერგოდაზოგვის პოტენციალის შეფასება საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორში და მისი განაწილება ენერგოკომპანიების მიხედვით ნაჩვენებია ნახ. 5-16-ზე.

**ენერგოდაზოგვის პოტენციალი საქართველოს არასაყოფაცხოვრებო  
სექტორში**



**ნახ. 5.16. ენერგოდაზოგვის პოტენციალი საქართველოს არასაყოფაცხოვრებო სექტორში**

ჩვენი შეფასებით, სამუშაოს ფარგლებში მიღებული შედეგები ასახავს საქართველოს არასაყოფაცხოვრებო ენერგომოხმარების მთლიანი ენერგოეფექტიანობის პოტენციალის 40-50%-ს, რაც აუცილებლელია გათვალისწინებული იქნეს ენერგოეფექტურობის სამომავლო ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვისათვის.

## თავი 6.

### ენერგოფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების შეფასება

#### 6.1. ენერგოფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების კლასიფიკაცია და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები

ენერგოფექტიანობის პოტენციალის სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს განმარტებული, მისი ტექნიკური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ამიტომ წინამდებარე სამუშაოს მიზნებისათვის შემოვიდეთ შემდეგი ცნებები:

- **ენერგოფექტიანობის ტექნიკური პოტენციალი** – ენერგოფექტიანობის გარკვეული ღონისძიებების სრული დანერგვის ეფექტი, როცა მხედველობაში არ მიიღება მასთან დაკავშირებული ხარჯები და მისი სრული განხორციელებისთვის აუცილებელი დრო;
- **ენერგოფექტიანობის ეკონომიკური პოტენციალი** – ეკონომიკური თვალსაზრისით განხორციელებადი რენტაბელური ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის დაზოგვას;
- **რეალური ენერგოფექტიანობის პოტენციალი** – ენერგოფექტიანობის ამაღლების ეკონომუკურად რენტაბელური ღონისძიებების დანერგვის პოტენციალი, მათი დანერგვის ტემპების (გავრცელების) გათვალისწინებით.

ენერგოფექტიანობის პოტენციალის ანალიზისას აუცილებელია მომზმარებელების და სახელმწიფოს ინტერესების შედარებითი ანალიზი. რეალურად, ზოგიერთ შემთხვევაში მომზმარებლებისთვის და სახელმწიფოსთვის ენერგოფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების ეკონომიკური პოტენციალი განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, თუ სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათების შემოღებით (მაგ. მოგების გადასახადის განაკვეთის და დღვ-ს შემცირება ან გაუქმება გარკვეული დროით), ენერგოფექტური საყოფაცხოვრებო აპარატურის გაიაფება, მოსახლეობას აძლევს მათი შეძენის და გამოყენების სტიმულს, სახელმწიფოსთვის ეს ღონისძიებები ამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს. ამავე დროს არსებობს ისეთი ღონისძიებები, რომელთა დანერგვა პირდაპირ ეკონომიკურ ეფექტს არ აძლევს მოსახლეობას, მაგრამ საჭიროა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით (მაგ. ენერგოფექტიანობის ამაღლების ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და უსაფრთხოების ამაღლებისაკენ), სწორედ ამიტომ მათი შედარებითი ანალიზი მოგვცემს ზუსტ პასუხს როგორ, როდის და რა მოცულობით გამოვიყენოთ აღნიშნული ღონისძიებები.

ენერგოფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათზე გასაწევი ხარჯებიდან გამომდინარე. ხარჯების მიხედვით ღონისძიებები შეიძლება პირობითად დაიყოს 3 ჯგუფად : ხარჯის არმქონე, დაბალი ხარჯის მქონე და მაღალი ხარჯის მქონე. აღნიშნულ ღონისძიებებს დანერგვისას ჭირდება პროპაგანდის, ორგანიზების და დაფინანსების სხვადასხვა დონე.

ხარჯის არმქონე ღონისძიებებს მაგალითად განეკუთნება ენერგოშემცველების გამოყენების შეცვლა (მაგ. ელექტროენერგიის შეცვლა ბუნებრივი გაზით, იქ სადაც ეს შესაძლებელია დამატებითი ხარჯების გაღების გარეშე) ან შენობების ჰერმეტიზაციის ამღლება ფანჯრების და კარებების ღრეჩოების დაგმანვითი გზით, ხელთ არსებული ნებისმიერი მასალის გამოყენებით. ამ შემთხვევაში საკმარისია საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მასალებისა და მეთოდების შესახებ.

დაბალ ხარჯის ღონისძიებებს მიეკუთვნება ჩვეულებრივი ვარვარების ნათურების შეცვლა ფლუორესცენტული ნათურებით და შენობების შედარებით უფრო სერიოზული

ჰერმეტიზაცია, როდესაც საჭირო ხდება შესაბამისი იაფფასიანი მასალების შემწილა და სპეციალისტების დახმარება.

მაღალ ხარჯიან ღონისძიებებს განეკუთვნება ხის ჩარჩოებიანი ფანჯრების შეცვლა, მაღალი ჰერმეტულობის მქონე მეტალოპლასტიკის ორმაგშემინვიანი ფანჯრებით ან ძველი ენერგოტენადი ელექტროდანადგარების და აპარატურის შეცვლა ახალი, ენერგოეფექტური აპარატურით. ეს გზა მაღალრენტაბელურია თუმცა უფრო ძნელად განხორციელებადი ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები უფრო მიმზიდველი გახდეს ამა თუ იმ სუბიექტისთვის, მას გარანტირებულად უნდა მოჰკონდეს მაღალი სარგებელი. 4.1 ცხრილში მოცემულია ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების სარგებლიანობის დონეები, რომელიც, ჩვეულებრივ სტიმულს აძლევს სახელმწიფოს, საწარმოებს მოსახლეობას და სხვა დაინტერესებულ პირს, ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების დანერგვისათვის

საჭირო ამონაგების განაკვეთი (%)	
მთავრობა	4-12%
მსოფლიო ბანკი	10%
სარგებლიანობა მოსახლეობისათვის(აშშ, შვეიცარი)	6-8%
სარგებლიანობა მოსახლეობისათვის (ბრაზილია, ტაილანდი)	10-12%
ინდუსტრია	15-20%
მოსახლეობა	35-70%

**ცხრილი 6.1. ამონაგების განაკვეთები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა დაინტერესებული პირის მოქმედების სტიმულირებისთვის<sup>1</sup>**

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობისთვის ინვესტიციაზე საჭირო ამონაგები გაცილებით მაღალია, ვიდრე სამრეწველო მომხმარებლისთვის, მთავრობისთვის ან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისათვის.

ენერგოეფექტიანობის ამაღლებაზე ფიქრისას სახელმწიფოს მიერ გასათვალისწინებელი ფაქტორები და კრიტერიუმები გაცილებით მეტია, ვიდრე ცალკეული მომხმარებლისთვის, ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ენეროეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების ზეგავლენის შესწავლა შემდეგ საკითხებზე:

- ქვეყნის ენერგეტიკის უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობაზე;
- საშინაო და საგარეო სავაჭრო ბალანსებზე;
- სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხებზე;
- ტარიფებზე;
- საბიუჯეტო ხარჯებზე;
- გარემოზე და ა.შ

<sup>1</sup> რესურსების ინტეგრირებული დაგეგმვა – გაერო-ს გარემოს დაცვითი პროგრამა UNEP (1997)

სახელმწიფოს გადაწყვეტილება, ხელი შეუწყოს ან სუბსიდიებით დაეხმაროს ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს, შეიძლება ეფუძნებოდეს ზემოთ მოყვანილ ერთ ან რამდენიმე ფაქტორს. ამავე დროს სახელმწიფოს ენერგოეფექტიანობის ამაღლების პოლიტიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს კველა ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით და ჰარმონიზებული სხვა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკასთან, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, სოციალური დაცვის, გარემოს დაცვის და სხვა.

## 6.2. ნათურების შეცვლა, როგორც ენერგოეფექტიანობის ამაღლების ღონისძიება

ამ ნაწილში წარმოგენილი იქნება, საქართველოს სამომხმარებლო სექტორში, ენერგოეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიების - ვარვარების ნათურების ფლუორესცენტული ნათურებით შეცვლის მოსალოდნელი შედეგები. გაკეთებული იქნება შეფასება, როგორც სამომხმარებლო (მიკრო) დონეზე, ასევე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით (მაკრო).

### 6.2.1. წინა ისტორია და მთავარი პარამეტრები

ვარვარების ნათურების, ფლუორესცენტული ნათურებით შეცვლა, წარმოადგენს ერთ-ერთ უმარტივეს და ალბათ ყველაზე მომგებიან ღონისძიებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოში ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ამჟამად, ფლუორესცენტული ნათურები დიდი რაოდენობით გამოიყენება მხოლოდ დაწესებულებებში და კომერციულ სექტორში, ხოლო სამომხმარებლო სექტორში კვლავაც ჭარბობს ვარვარების ნათურების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა იციან ფლუორესცენტული ნათურების ეკონომიკურობის შესახებ, მათი მაღალი ფასი და შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა აფერხებს მათ გავრცელებას. ქვემოთ მოყვანილია ვარვარების და ფლუორესცენტული ნათურების ის მახასიათებლები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია ნათურის შეცვლით ენერგიის დაზოგვის პოტენციალის შეფასებაში.

	ვარვარების ნათურა	ფლუორესცენტული ნათურა
ნათურის სამუშაო რესურსი (სთ)	500სთ /1000სთ	4000სთ /10000სთ
ელექტროენერგიის მოხმარება	100%	25% /20%
ფასი (ლარი)	0.5 / 2	7/23
იმპორტირების ფასი (აშშ დოლარი)	\$0.2/\$0.9	\$3/\$10
დაყენების ფასი (ლარი)	0.5	0.5
დაყენებული ნათურების რაოდენობა	80%	20%
წილი განათებაზე დახარჯულ ელექტროენერგიაში	94%	6%
ელექტროენერგიის დაზოგვა შეცვლის შემდეგ	განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის 70%	

**ცხრილი 6.2. ფლუორესცენტულ და ვარვარების ნათურების მირითადი მახასითებლები და  
შეფასებებთან დაკავშირებული დაშვებებ**

ამჟამად, გაყიდვაშია ფლუორესცენტული ნათურების ორი ტიპი: შედარებით იაფი ნათურები (ჩინური ან თურქული) ღირს 6-7 ლარი. უფრო ძვირი, ევროპული წარმოების ნათურები, კი ღირს 15-24 ლარი. განსხვავება ნათურების ამ ორ ტიპს შორის არ არის კარგად შესწავლილი და დოკუმენტაციურად დასაბუთებული, ხოლო მომხმარებელი, რომელიც არ არის დარწმუნებული უფრო ძვირი ნათურების უკეთეს ხარისხში, უმრავლეს შემთხვევაში, უპირატესობას ანიჭებს უფრო იაფს.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, გამოთვლებისთვის გამოვიყენეთ იაფ ფლუორესცენტული და ვარვარების ნათურები, რომლებიც რეალურად უფრო მეტი იყოდება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იაფი ნათურების რეალური ხარისხი ხშირად უარესია, ვიდრე ეს მოცემულია მათ შეფუთვაზე, ამავე დროს ელექტროენერგიის დაბალი ხარისხი არ იძლევა მათი რესურსის სრულად გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ გამოთვლებისთვის შევამცირეთ ზოგიერთი პარამეტრი, მაგალითად ნაცვლად ჩვეულებრივი 10-12 ათასი საათი სამუშაო რესურსისა, ავიდეთ 4 ათასი. ამავე დროს ამ ნათურების ენერგიის მოხმარება უდრის ეკვივალენტური ვარვარების ნათურის მოხმარების 25%-ს და არა 20%-ს, როგორც ამას უთითებენ გამსაღებლები.

WEG-მა ჩაატარა თბილისის ოჯახებში ნათურების განაწილების და ფლუორესცენტული ნათურების გავრცელების მოკლე შესწავლა, რომლის შედეგებმაც ცხადყო, რომ თბილისში ფლუორესცენტული ნათურების წილი განათებაში, ნათურების მთელი რაოდენობის მხოლოდ 10-15%-ს შეადგენს. რეგიონებში სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი კიდევ უფრო დაბალი იქნება. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო შთაბეჭდილება ფასანაური-გუდაურსა და დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას. მარტივი გამოთვლებიდან ჩანს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფლუორესცენტული ნათურების რაოდენობა 20%-ს შეადგენს, მათი წილი განათების მთელ დატვირთვაში 6%-ზე ნაკლებია, და რომ ნათურების შეცვლით ელექტროენერგიის დაზოგვის პოტენციალი ქვეყნის მასშტაბით, შეადგენს განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის 70%-ს.

გაანგარიშებებში გამოყენებულია სხვადასხვა სიმძლავრის ვარვარების და ფლუორესცენტული ნათურების განაწილების შემდეგი დაშვებები:

არსებული ვარვარების ნათურიები		შემცვლელი ფლუორესცენტული ნათურები	
სიმძლავრე ვტ		სიმძლავრე ვტ	
40	<b>25%</b>	9	25%
60	<b>25%</b>	15	14%
75	18%	20	39%
100	<b>30%</b>	25	22%
>=150	<b>2%</b>		
საშუალო სიმძლავრე 71.5		შეცვლის საშუალო სიმძლავრე 17.63	


### ცხრილი 6.3. არსებული ვარვარების ნათურების და მათი შემცვლელი ფლუორესცენტული ნათურების განაწილება სიმძლავრის მიხედვით

<sup>2</sup> კარგი იქნებოდა თუ მომხმარებელთა ასოციაციები ან სპეციალური სახელმწიფო უწყებები გამოიკვლევინენ და გამოაქვეყნებდნენ სხვადასხვა ტიპის ელექტროდანადგარების შედარებით სარგებლიანობას, მათ შორის, სხვადასხვა ნათურებისაც

## 6.2. ეკონომიკური შეფასება სამომხმარებლო დონეზე (მიკრო დონე)

ნათურების შეცვლის ეკონომიკური შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემები 6.2 და 6.3 ცხრილებიდან. განხილულია ორი ვარიანტი: 1. ვარვარების ნათურების გამოყენება და მათი გამოცვლა ნათურის მუშაობის რესურსის ინტერვალებით; 2. შეცვლა ფლუორესცენტული ნათურებით. შეცვლის ხარჯი ორივე შემთხვევაში უდრის 0.5 ლარს. განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის საშუალო ტარიფი შეადგენს 16.0 თეთრი/კვტ/სთ.,

ამ ორი ვარიანტის შედარებისას ნათურის შეცვლის უფრო მაღალი კაპიტალური ხარჯი დარღება განათების და ვარვარების ნათურების შეცვლის ხარჯს (იხ. დანართი 18). ამგვარი შეფასების შედეგები მოცემულია 4.1 სურათზე.



ნახ. 6.1. ამოგების პერიოდი და დაბრუნების შიდა განკვეთი ნათურის შეცვლისთვის<sup>3</sup>

მოსახლეობის უმეტესობის მიერ, ეკონომიკური გადაწყვეტილებები უმეტესად მიიღება ანაზღაურების მარტივ კრიტერიუმზე დაყრდნობით, ვიდრე ფულადი ნაკადის დისკონტირების და ამონაგების შიდა განაკვეთის გათვალისწინებით. ამიტომ წარმოდგენილია ორივე პარამეტრი გამოსაცვლელი ნათურის ნათების სხვადასხვა პერიოდისთვის. აშკარაა, რომ ნათურის გამოცვლის მოგებიანობა დამოკიდებულია კონკრეტული ნათურის ფაქტიურ გამოყენებაზე. რამდენადაც მეტია ნათების დრო, იმდენად მეტია ელექტროენერგიის დაზოგვა.

ნათების ხანგრძლივობა სთ/დღ	შან (IRR)	ამოგების წლები
0.4	23.4%	4.2
4	234%	0.42

## ცხრილი 6.4

ნახ. 6.1 გვიჩვენებს, რომ ვარვარების ნათურების შეცვლა ფლუორესცენტული ნათურებით, თითქმის ყველა მოქმედი ნათურის შემთხვევაში, მეტად ეფექტური ღონისძიებაა. მაგალითად ამონაგების შიდა განაკვეთი 20%-ზე მეტია, ხოლო ანაზღაურების პერიოდი – თითქმის 4

<sup>3</sup> მარჯვენა ვერტიკალურ ღერძზე გადაზომილია შან ანუ შინაგანი ამოგების ნორმა (IRR)

წელია იმ ნათურებისთვის, რომლებიც დღეში საშუალოდ 25 წუთია ჩართული. თუ ნათურა დღეში 4 სთ-ზე მეტ ხანსაა ანთებული, მაშინ მის გამოცვლაში ჩადებული ინვესტიცია ანაზღაურდება 5 თვეზე ნაკლებ დროში.

### 6.3. ეკონომიკური შეფასება სახელმწიფოს დონეზე (მაკრო დონე)

#### 6.3.1. გადაცემის და განაწილების დანაკარგები


1 კვტ/სთ ელექტროენერგიის მომხმარებლისთვის მიწოდებაზე, ელექტროგადაცემის ქსელში ( $>110$  კვ) იკარგება 4.41%, განაწილების ქსელში ( $<110$  კვ) კი - 12.4% (სს თელასისთვის).<sup>4</sup> ამგვარად, როგორც ამას მარტივი გამოვლა გვიჩვენებს:

**1 კვტ/სთ ელექტროენერგიის დაზოგვა,**  
**1.19 კვტ/სთ ელექტროენერგიის გენერაციის ეკივალენტურია.**

#### 6.3..2. ენერგიის საგარეო დამოკიდებულების ეფექტი

ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის მიერ მოტანილ მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს ენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება. ეს სარგებელი კარგად უნდა გაანალიზდეს. როგორც მე-3 თავშია (ენერგიის ბალანსი) ახსნლი, საქართველოში ენერგიის დამოკიდებულებას აქვს აშკარად გამოხატული სეზონური ხასიათი ამიტომ, ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის ღონისძიებები უნდა გაანალიზდეს ენერგიის მოხმარების სეზონურობის გათვალისწინებით.

მოსახლეობის მიერ განათების მიზნით ელექტროენერგიის გამოყენების სეზონური ხასიათი მოცემულია სურათზე 6.2:




#### ნახ. 6.2. განათების გამოყენების სეზონურობა საყოფაცხოვრებო სექტორში

<sup>4</sup> სემეკ-ის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება № 17 „საქართველოს ენერგეტიკის სისტემის ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების შესახებ”

მოცემული მრუდი გვიჩვენებს განათებაზე ელექტროენერგიის მოხმარების ცვლას წლის განმავლობაში ივლისთან მიმართებაში (აღებულია როგორც 1). იგი გამოყვანილი იქნა დღის საათების ხანგრძლივობის სეზონური ცვლილებების, გარემოს განათების ინტენსივობის, ამინდის პირობების სეზონური ცვლის (ღრუბლიანი და წვიმიანი დღეები) გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობა ხშირად იცვლის ადგილს ზაფხულში. დასვენების პერიოდში, (იხ. დანართი 19).

ბოლო დროს აღინიშნება ელექტროენერგიის იმპორტის შემცირების ტენდენცია. ამან ბუნებრივია შეამცირა საგარეო დამოკიდებულება ელექტროენერგიაზე, მაგრამ ამავე დროს თბოელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდის გამო, გაიზარდა ბუნებრივი გაზის იმპორტი, ანუ ელექტროენერგიაზე გარე მომწოდებელზე დამოკიდებულება, შეიცვალა ბუნებრივი გაზის გარე მომწოდებელზე დამოკიდებულებით. შესაბამისად, ელექტროენერგიის მოწოდების საგარეო დამოკიდებულება იზომება თბოელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობით (სადაც საწვავად გამოიყენება იმპორტირებული გაზი), რაც პარამეტრიზებული იქნა ESDIE-ს (ელექტროენერგეტიკული დამოკიდებულების სეზონურობის ინდექსი) დახმარებით (იხ. ნახ. 3).

ენერგეტიკული პოლიტიკის სხვადასხვა მიღების შედარების მიზნით, ნათურების შეცვლით მიღებული ენერგიის დაზოგვის ეფექტი შევადარეთ ახალი პიდროელექტროსადგურებზე მიღებული იგივე რაოდენობის ელექტროენერგიის დამატების ეფექტს. მაგალითად გამოვიყენეთ ლაჯანურის ჰეს-ის 2006 წლის ელექტროენერგიის გამომუშავება. 6.3 სურათზე მოცემულია ენერგიის დაზოგვის და პიდროგენერაციის ნორმალიზებული მრუდების შედარება.




### ნახ. 6.3. პიდროგენერაციისა და განათების დაზოგვის ნორმალიზებული სეზონური მახასიათებლები

პიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულ-ზაფხულში, მინიმუმი კი შემოდგმა-ზამთარში (გარდა წლიური რეგულირების ჰესებისა „ხრამი-1“-ის მსგავსად). მეორეს მხრივ, ენერგიის დაზოგვის მაქსიმალური პოტენციალი გვაქვს ზამთრის პერიოდში, როცა ადგილი აქვს ენერგიის მაქსიმალურ მოხმარებას.<sup>5</sup>

<sup>5</sup> უფრო მეტი მიღომა იქნებოდა განათების მრუდის შედარება ცალკე, წყალსაცავიანი და მდინარის ჩამონადენზე მომუშავე ჰესებთან, თუმცა ეს ამოცანა ცდება წინამდებარე სამუშაოს ფარგლებს.


მათი სხვადასხვა მახასიათებლების გამო, ერთი და იგივე რაოდენობის ელექტროენერგიის დაზოგვას და ჰიდროგენერაციას, შეუძლია თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის სხადასხვა მოცულობის შეცვლა, როგორც ეს გამოთვლილა დანართში 20 და მოცემულია ნახატზე 6.4.



ნახ. 6.4. ენერგოდაზოგვითა და ჰიდროგენერაციით, თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებული ეკვივალენტური რაოდენობის ელექტროენერგიის ჩანაცვლების პოტენციალი

განსხვავება გამომდინარეობს ორი მიზეზიდან: 1. 1კვტ/სთ ელექტროენერგიის დაზოგვა სინის 1.19 კვტ/სთ ელექტროენერგიის გენერაციის საჭიროებას (იხ. გ. 6.3.1) 2. დაზოგვის პოტენციალი კონცენტრირებულია უფრო ზამთრის პერიოდში მაშინ, როცა ჰიდროელექტროენერგიის პოტენციალი კონცენტრირებულია უფრო ზაფხულში, როცა არ მუშაობენ თბოელექტროსადგურები და როცა ადგილი აქვს ჰიდროელექტროენერგიის სიჭარებს.

